

**არჩევნებზე ადგილობრივი  
დამკვირვებლების სახელმძღვანელო**



არჩევნებზე ადგილობრივი დამკვირვებლების სახელმძღვანელო გამოქვეყნებული  
იქნა **მშობლიური დამოკრატიული ინსტიტუტებისა** და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) მიერ 2003 წელს. პეტლიკაციის ქართული ენაზე თარგმნა და  
მისი გამოქვეყნება განხორციელდა საქართველოში **მშობლიური მისიის** ფინანსური  
მხარდაჭერით **მშობლიური მისიის** დამოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა  
ოფისის წინასწარი თანხმობით.

თბილისი, 2008 წელი.

არჩევნებზე  
ადგილობრივი  
დამკვირვებლების  
სახელმძღვანელო

առաջնորդական

1  
არჩევნების შეფასება

2  
დაკვირვების პროგრამის შემუშავება

3  
კანონმდებლობის ანალიზი

4  
საარჩევნო დავების მონიტორინგი

5  
ამომრჩეველთა რეგისტრაციისა და საარჩევნო  
ოლქების საზღვრების შეფასება

6  
საარჩევნო ადმინისტრაციის მონიტორინგი

7  
პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების  
რეგისტრაციის მონიტორინგი

8  
საარჩევნო კამპანიის მონიტორინგი

9  
მოძრა მონიტორინგი

10  
ხელი მიღებისა და ხევების დათვლის პროცესზე დაკვირვება

11  
ხეათა დაჯამება, გადაჭიავისა და საკოლონო შედეგების  
გამოცხადების პროცესზე მონიტორინგი

12  
ანგარიში და რეკომენდაციები

# სარჩევი

<b>შესავალი . . . . .</b>	<b>10</b>
<b>1. პრეზენტაციის შეფასება . . . . .</b>	<b>12</b>
ა) არჩევნებსა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საქონისო სტანდარტები . . . . .	13
ბ) საქონისო სტანდარტების გამოყენება არჩევნების შეფასებისას . . . . .	16
გ) ეროვნული სტანდარტების გამოყენება არჩევნების შეფასებისას . . . . .	18
დ) შედარება გასულ არჩევნებთან . . . . .	19
<b>2. დაგენერაციის პროცესის შემუშავება . . . . .</b>	<b>20</b>
ა) მოთხოვნათა შეფასება . . . . .	21
ბ) დაგეგმვა და ონსტრიტუციური საკითხები . . . . .	23
გ) პროგრამის სტრუქტურა და ფუნქციები . . . . .	27
დ) ეროვნული საქმიანობა . . . . .	28
ე) რეგიონალური და აღგილობრივი საქმიანობები . . . . .	30
ვ) მიუკერძოებლობა . . . . .	31
ზ) აკრედიტაცია . . . . .	33
<b>3. განვითარებულობის ანალიზი . . . . .</b>	<b>34</b>
ა) სამართლებრივი ანალიზის მნიშვნელობა . . . . .	35
ბ) კანონმდებლობის ანალიზის ჩარჩო . . . . .	36
გ) საარჩევნო დავების ცხრილების შემუშავება . . . . .	42
<b>4. საარჩევნო დავების მონიტორინგი . . . . .</b>	<b>46</b>
ა) საარჩევნო დავების მოგვარების მონიტორინგი . . . . .	47
ბ) საარჩევნო დავების ანალიზი . . . . .	50
<b>5. ამომრჩეველთა რეგისტრაციისა და საარჩევნო ორგანიზაციის შეფასება . . . . .</b>	<b>54</b>
ა) ამომრჩეველთა რეგისტრაციის მნიშვნელობა . . . . .	55
ბ) ამომრჩეველთა სიების/რეგისტრაციის ხარისხის შეფასება . . . . .	56
გ) ამომრჩეველთა სიებისა და მოსახლეობის მონაცემთა ბაზის შედარებითი ანალიზი . . . . .	57
დ) ამომრჩეველთა სიების გამოკვლევა . . . . .	58
ე) კომპიუტერული ტესტირება . . . . .	59
ვ) საჯარო-საინფორმაციო კამპანიების მონიტორინგი . . . . .	61
ზ) ამომრჩეველთა სარეგისტრაციო ცნობების მონიტორინგი . . . . .	62
თ) ამომრჩეველთა სარეგისტრაციო ტრიბუნალების მონიტორინგი . . . . .	63
ი) საარჩევნო ოლქების საზღვრების დაგენის მონიტორინგი . . . . .	63

<b>6.</b>	<b>საარჩევნო აღმინისტრაციის მონიტორინგი</b>	<b>64</b>
ა)	საარჩევნო აღმინისტრაციის სტრუქტურა	65
ბ)	ძირითადი საკითხების შეფასება	66
<b>7.</b>	<b>პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების რეგისტრაციის მონიტორინგი</b>	<b>70</b>
ა)	პოლიტიკური პარტიების რეგისტრაცია	71
ბ)	პოლიტიკურ კანდიდატთა რეგისტრაცია	71
გ)	ქალებისა და ეროვნული უმცირესობების რეგისტრაცია	73
<b>8.</b>	<b>საარჩევნო კამპანიის მონიტორინგი</b>	<b>74</b>
ა)	შეხვედრები პოლიტიკურ პარტიებთან და კანდიდატებთან	76
ბ)	შეხვედრები მედიასთან	77
გ)	შეხვედრები საჯარო მოხედვებთან	77
დ)	კამპანიასთან დაკავშირებული ღონისძიებების მონიტორინგი	78
ე)	უსაფრთხოების სამსახურების ქმედებათა მონიტორინგი	79
ვ)	კამპანიის დანახარჯებისა და წყაროების, ასევე შემოწირულობების მოცულობის მონიტორინგი	80
ზ)	სახელმწიფო რესურსების არამიზნობრივი გამოყენების მონიტორინგი	83
თ)	კონფლიქტების პრევენცია და არჩევნებისას ძალადობრივი შემთხვევების მონიტორინგი	84
ი)	მონიტორინგი სხვა საკითხებთან დაკავშირებით	86
<b>9.</b>	<b>მედია მონიტორინგი</b>	<b>88</b>
ა)	მედია მონიტორინგის მნიშვნელობა	89
ბ)	მედია მონიტორინგის მიზანი	90
გ)	მედიასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის შეფასება	91
დ)	რადიომაუწყებლობისა და ბეჭდებითი მედიას მონიტორინგი	91
ე)	ფასიანი პოლიტიკური რეკლამისა და ამომრჩეველთა განათლების მონიტორინგი	97
ვ)	მედიისა და ჟურნალისტების დაშინების ფაქტების მონიტორინგი	97
<b>10.</b>	<b>ხას მიღებისა და ხეგის დათვლის პროცესების დაკირგვება</b>	<b>98</b>
ა)	ხმის მიცემისა და ხმების დათვლის პროცესებზე დაკირგვება	100
ბ)	ხმების პარალელური დაჯამება	107
<b>11.</b>	<b>ხათა დაჯამების, გადაბზავნისა და საგოლოო შეღებების გამოცხადების პროცესების მონიტორინგი</b>	<b>110</b>
ა)	ხმათა დაჯამების მონიტორინგის მნიშვნელობა	111
ბ)	შედეგების კომპიუტერით გადაგზნის პროცესის მონიტორინგი	112
გ)	არჩევენების დღის შემდგომ მოვლენათა მონიტორინგი	112
<b>12.</b>	<b>ანგარიში და რეკომენდაციები</b>	<b>114</b>
ა)	ანგარიშის მნიშვნელობა	115
ბ)	რეგიონალურ დამკაირგვებლთა ანგარიშები	116
გ)	შემთხვევების ასახვა ანგარიშში	118
დ)	განცხადებები	118
ე)	საბოლოო ანგარიში	119
ვ)	ანგარიშის გავრცელება	121
<b>06ზორმაცია OSCE/ODIHR-ის შესახვა</b>		<b>122</b>



## სამაღლოგებლი სისტემა

წინამდებარე სახელმძღვანელო გამოიცა ეუთო-ს რეგიონის ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფების მონაწილეობით. იდეა ჩაისახა ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფების სამუშაო შესვედრისას სლოვაკეთში 2001 წელს და შემდგომი განვითარება პპოვა ერთი ოვის შემდეგ ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) კონფერენციაზე ვარშავაში, რომელშიც მონაწილეობას დებულობდა 25 ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფი.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ODIHR) მადლობას უხდის სიმონ ოზბორნს (საარჩევნო რეფორმის საერთაშორისო სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი), რომელიც ODIHR-ის საარჩევნო განყოფილებასთან ერთად პასუხისმგებელი იყო სახელმძღვანელოს შედგენაზე. ODIHR-ი ასევე მადლობას უხდის მარკ სტივენს, პოლ თ'გრეიდის, ჯესი პილგრიმს და პიტერ აიხერს, რომლებიც ასევე მონაწილეობას დებულობდნენ სახელმძღვანელოს შედგენაში. ODIHR-ი მადლობელია საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) სახელმძღვანელოს შედგენისას გაწეული მხარდაჭერისთვის, განსაკუთრებით NDI-ს მიერ გამოცემული მასალების გამოყენებისთვის. უნდა აღინიშნოს აგრეთვე პოლი რათრაუფის განსაკუთრებული წვლილი.

## შესავალი

### შესავალი

**კ**ანასენელ წლებში გარდამავალი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა მხარდასაჭერად მნიშვნელოვან ამოცანად იქცა სადამკირვებლო საქმიანობა არჩევნებზე და რეფერენდუმებზე. არჩევნები დემოკრატიის აუცილებელი პირობაა, მაშასადამე, საზოგადოების ნდობა და მხარდაჭერა საარჩევნო პროცესის და მასთან დაკავშირებული ინსტიტუტების მიმართ აუცილებელი პირობაა ნებისმიერი დემოკრატიული მთავრობის მმართველობის დეგიტალიზაციისთვის. საერთაშორისო სადამკირვებლო საქმიანობის პოპულარიზაციასთან ერთად იზრდება მოთხოვნა ადგილობრივი სადამკირვებლო საქმიანობის მიმართ. დღესდღეობით, ეუთო-ს რეგიონში ფუნქციონირებს 25-ზე მეტი ადგილობრივი სადამკირვებლო ჯგუფი ან კოალიცია.

**დ**ღილობრივი სადამკირვებლო საქმიანობა არჩევნებზე პირდაპირ უწყობს ხელს ადამიანის უფლებათა დაცვას. დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისთვის აუცილებელია თავისუფალი და გამჭვირვალე არჩევნები, რაც შესაბამისობაშია ქვეყნის საარჩევნო კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან. პოლიტიკური მონაწილეობის უფლება მნიშვნელოვანი უფლებაა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ადამიანის ძირითად უფლებებს, როგორიცაა გამოხატვის, გადაადგილების, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებები. ადგილობრივი სადამკირვებლო ჯგუფების საქმიანობამ ხელი უნდა შეუწყოს დარღვევების აღმოფხვრას, ნდობისა და მხარდაჭერის გაზრდას არჩევნების, როგორც დია და სამართლიანი პროცესის მიმართ. ეს ყოველივე, ხელს შეუწყობს და გაზრდის საზოგადოების ფართო ფენების ჩართულობას საარჩევნო პროცესში.

**ს**არჩევნო სადამკირვებლო საქმიანობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა უკანასენელი 10 წლის განმავლობაში. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ არჩევნების სამართლიანობა დამოკიდებულია წინა-საარჩევნო, არჩევნების

დღისა და არჩევნების შემდგომი პროცესების დინამიურობაზე. შესაბამისად, საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლების მიმართ გაჩნდა მოთხოვნა, რომ შემუშავებულიყო კომპლექსური და ყოვლისმომცველი მიდგომა არჩევნების სადამკვირვებლო საქმიანობასთან მიმართებით. წინამდებარე სახელმძღვანელო შემუშავდა ისეთ დოკუმენტად, რომლის მეთოდოლოგიაც, შესაძლოა, გამოიყენონ ადგილობრივა სადამკვირვებლო ჯგუფებმა არჩევნებზე დაკვირვებისას სისტემური და ყოველისმომცველი მიდგომის შემუშავების თვალსაზრისით.

**Ε**პროდოლოგია, რომელიც მოყვანილია სახელმძღვანელოში, არ არის არც ექსკლუზიური და არც ამომწურავი, არამედ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც დამხმარე სექელმძღვანელო ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფების საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით. სახელმძღვანელო არ წარმოადგენს დეტალურად გაწერილ სამოქმედო პროგრამას, მასში ასახულია საერთაშორისო დამკვირვებლებისა და ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფების უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება და, შესაბამისად, წარმოდგენილია მეთოდოლოგიის სახით. სახელმძღვანელო შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ჩართული არიან არჩევნების სადამკვირვებლო პროცესში, პოლიტიკური პარტიებისა და დამკვირვებელ-კანდიდატების მიერ, რომლებიც უზრუნველყოფები მონიტორინგს არჩევნებზე. რამდენადაც ვითარდება საარჩევნო სადამკვირვებლო საქმიანობის ტექნიკური მხარე, ასევე ვითარდება მიდგომები საარჩევნო მონიტორინგის თვალსაზრისით. იმედია, გამოცდილება, რომელიც დაგროვილია საარჩევნო სადამკვირვებლო საქმიანობის თვალსაზრისით, გაზიარდებულ იქნება საერთაშორისო დამკვირვებლობა და ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფების მიერ როგორც ეუთო-ს რეგიონის ფარგლებში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

**ს**ახელმძღვანელო შემუშავდა ეუთო-ს რეგიონის ოცზე მეტ ადგილობრივ სადამკვირვებლო ჯგუფთან თანამშრომლობის შედეგად და ასახავს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონების ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფების გამოცდილებასაც. დამატებით, სახელმძღვანელო ეფუძნება ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის გამოცდილებას, ისევე როგორც არჩევნების სადამკვირვებლო საქმიანობაში ჩართული სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილებასაც. სახელმძღვანელოში ასევე ასახულია საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და საარჩევნო რეგორმის საერთაშორისო სამსახურის (ERIS) მიერ დაგროვილი გამოცდილება და მოყვანილია მასალები ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისისა და საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის პუბლიკაციებიდან. ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფებისთვის აღნიშნულ სახელმძღვანელოსათვის ერთად რეკომენდებულია გამოყენებულ იქნეს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) სახელმძღვანელო – „როგორ ახორციელებენ მონიტორინგს არჩევნებზე ადგილობრივი ორგანიზაციები: „ანი“-დან „კო“-მდე გზამკლევა“.

## 1 არჩევნების შეფასება

- ა) არჩევნებისა და აღამიანის უფლებებითან  
დაკავშირებული სამრთაშორისო სტაციარტები. . . . . 13
- ბ) სამრთაშორისო სტაციარტების გამოყენება არჩევნების შეფასებისას . . . . . 16
- გ) ეროვნული სტაციარტების გამოყენება არჩევნების შეფასებისას. . . . . 18
- დ) შედარება გასულ არჩევნებითან. . . . . 19

- არჩევნები უნდა შეფასდეს სახელმწიფოს მიერ სართაშორისო დონეზე ნაკისრი გალდებულებებისა და ქროგნული საკანონმდებლო ბაზის შესაბამისად;
- ყურადღება მიექცეს ეუთო-ს წინაშე ნაკისრ გალდებულებებს დემოკრატიულ არჩევნებთან მიმართებით, რაც ასახულია 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტში;
- გასული და მიმდინარე არჩევნების შედარებითი შეფასება, რამდენად არის გაუმჯობესებული არჩევნების ხარისხი.

## 5) არჩევნებისა და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის სამსახურის სტანდარტები<sup>1</sup>

დია და თავისუფალი არჩევნების მნიშვნელოვანი როლი ფუნდამენტური და საყოველთაოდ აღიარებული პოლიტიკური და დემოკრატიული მმართველობის უფლებების უზრუნველოვისათვის ასახულია მთელ რიგ საერთაშორისოსამართლებრივ აქტებში, რომელიც მოქმედებს ეუთო-ს წევრ სახელმწიფოებში. ყველაზე მნიშვნელოვანი არის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლი,<sup>2</sup> რომელიც შემდეგს აცხადებს:

### ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლი

1. ყველას აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში უშუალოდ ან მის მიერ თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით.
2. ყველას აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში.
3. სახელმწიფო ხელისუფლების წყარო ხალხის ნებაა: ხალხის ნება უნდა გამოიხატოს პერიოდულ და სამართლიან არჩევნებში საყოველთაო და თანასწორი ხმის მიცემის უფლებით, ფარული კენჭისყრისა თუ სხვა თანაბარმნიშვნელოვანი თავისუფალი ხმის მიცემის პროცედურების გამოყენებით.

1. ეუთო-ს რეგიონში დემოკრატიულ არჩევნებთან დაკავშირებული საერთაშორისო ნირშების უფრო ძირითადი ასალითის მიხნით, იხ. უკიო-ს მონაწილე სახელმწიფოების მიერ დემოკრატიულ არჩევნებთან დაკავშირებით ნაკისრი გალდებულებები: პროგრამული ანგარიში, აღნიშვნელი და აფრთვე სხვა საიტებზეთ დოკუმენტების მოძიება შესაძლებელია OSCE/OIHR-ს ვაბ-გვერდზე: <http://www.osce.org/odihr/elections/standards>.
2. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (UDHR) სრული ტექსტის, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საფრთხოების პრეტის (ICCPR) და გაერო-ს ფარგლებში მოქმედი ადამიანის უფლებათა სხვა სტანდარტების მოძიება შესაძლებელია გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ვებ-გვერდზე: <http://www.unhchr.ch>.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია წარმოადგენს ქვაკუთხედს მოგვიანებით მიღებული ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც მოიცავს გაერო-ს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტს (ICCPR)<sup>3</sup>, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას (ECHR), და 1990 წელს კოპენაგენში ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციაზე (CSCE, შემდგომში ეუთო OSCE) შეთანხმებულ ვალდებულებებს, რაც ცნობილია, როგორც კოპენაგენის დოკუმენტი<sup>4</sup>. ეს ძირითადი დოკუმენტი ხაზს უსვამს არჩევნების უმნიშვნელოვანებს როლს მოქალაქეთა უფლების უზრუნველყოფაში, მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში.

დასკვნის სახით, კოპენაგენის დოკუმენტის მოთხოვნები შემდეგში მდგომარეობს:

- ▶ თავისუფალი არჩევნები დროის მისაღებ შუალედებში;
- ▶ საკანონმდებლო ორგანოს საყოველთაო არჩევნები, ან საყოველთაო არჩევნები საკანონმდებლო ორგანოს ერთი პალატის მაინც;
- ▶ საყოველთაო და თანასწორი ხმის მიცემის უფლების გარანტია;
- ▶ ხმის ფარული კეტისცემით მიცემისა და ასევე მათი სამართლიანად დაოვლისა და ანგარიშგების უზრუნველყოფა, იმ პირობებში, რომ საბოლოო შედეგები საჯარო გახდება;
- ▶ მოქალაქეთა უფლება, დაიკავონ პოლიტიკური თუ სახელმწიფო თანამდებობები;
- ▶ პოლიტიკური პარტიების დაარსებისა და არჩევნებში მონაწილეობის უფლების უზრუნველყოფა კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დაცვითა და სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან თანასწორი მოპყრობის პირობებში;
- ▶ წინა-საარჩევნო პროცესის, საარჩევნო კამპანიის წარმოების უზრუნველყოფა თავისუფლებისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვით. კერძოდ, გამორიცხულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული ჩარევა, ყოველგვარი ძალადობა, დაშინება ან შერისძიება კანდიდატების, პარტიებისა და ამონტეგლების მიმართ;
- ▶ ხელმისაწვდომი მედია საშუალებები და დისკრიმინაციისაგან თავისუფალი რეჟიმი;
- ▶ არჩევლი კანდიდატების სახელმწიფო სამსახურში შესვლის უფლების უზრუნველყოფა.

დარღვეული უფლებების აღდგენის თაობაზე საერთაშორისო სტანდარტები მოცემულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში (მე-8, მე-10 და მე-11 მუხლები), სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტში (მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი, მე-9 და 140-ე მუხლები), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასა (მე-6, მე-7 და მე-13 მუხლები) და კოპენაგენის დოკუმენტში (მე-5 მუხლი).

<sup>3</sup> სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის 25-ე მუხლი კვლა მოქალაქეს უზრუნველყოფის უფლებითა და შესაძლებლობის მისცეს ხმა და არჩევლ იქნეს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

<sup>4</sup> ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კონვენციებისა და სტანდარტების მოძიება შესაძლებელია ეკრანის საბჭოს ეპ-კვერდზე: <http://www.coe.int>. ეუთო-ს კვლა დოკუმენტის მოძიება შესაძლებელია ეუთო-ს ეპ-კვერდზე: <http://www.osce.org>.

სახელმწიფოები გამოთქვამენ ინტერესს ქალთა როლის გაძლიერებასთან დაკავშირებით საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, სხვა საერთაშორისოსამართლებრივი აქტები და ეუთო-ს წინაშე ნაისრი ვალდებულებები აღასტურებს, რომ ადამიანის უფლებები, მათ შორის, პოლიტიკური მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე განურჩევლად სქესისა თუ სხვა ვაქტორისა. ამ საკითხთან დაკავშირებული უფრო დეტალური საერთაშორისო სტანდარტები ასახულია ქალთა დისკრიმინაციის გველა ფორმის აღმოფხვრის გაერო-ს კონვენციაში (CEDAW) და ადამიანური განზომილების შესახებ ეუთო-ს 1991 წლის მოსკოვის დოკუმენტში (მე-40 მუხლი და მე-40 მუხლის მე-4 და მე-8 პუნქტები).

ეროვნულ უმცირესობათა დაცვა და უმცირესობათა თანასწორი პოლიტიკური უფლებების უზრუნველყოფა გარანტირებულია ადამიანის უფლებათა სხვადასხვა საერთაშორისოსამართლებრივი აქტებით. ადნიშნული განსაკუთრებული ქუდადღების საგანი გახდა, რაც ასახულია ისეთ საერთაშორისო სტანდარტებში, როგორიცაა გაერო-ს კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსავარულად (მე-2 მუხლი), გაერო-ს დეკლარაცია იმ პირთა უფლებების შესახებ, რომლებიც ეკუთვნებიან ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ ან ლინგვისტურ უმცირესობებს (მე-2 მუხლი), ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ (მე-15 მუხლი) და ეუთო-ს მოსკოვის დოკუმენტი. ადნიშნული სტანდარტები მოგვიანებით უფრო დეტალურად ჩამოყალიბდა ლუნდის რეკომენდაციებში ეროვნულ უმცირესობათა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეფექტური მონაწილეობის შესახებ.<sup>5</sup>

ნიშანდობლივია, რომ კოპენაგენის დოკუმენტის მე-8 პუნქტი ხაზს უსვამს საერთაშორისო და ადგილობრივი დამგირგებლების დადებით როლს ეუთო-ს რეგიონის ქვეყნებში აცხადებს რა, რომ „როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი დამგირგებლების დაწრებას შეუძლია საარჩევნო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება“. მე-10 პუნქტი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებს, „დაუკავშირდნენ და ურთიერთობა პქონედეთ როგორც ანალოგიურ ორგანიზაციებთან მათ ქვეყნებსა და მათი ქვეყნების ფარგლებს გარეთ, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან“ და „მოითხოვონ, მიიღონ და გამოიყენონ... ფინანსური შემოწირულობანი ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდნა...“. მე-12 პუნქტის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები „იღებენ გადაწყვეტილებას, ნდობის განსამტკიცებელი დონისძიების სახით დათხრებით დათხრების წინაშე გამართულ სამართლწარმოებებზე ... არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლების ... დასწრებას“.

<sup>5</sup> ლუნდის რეკომენდაციების პრიცეპი შემუშავებულ იქნა 1999 წელს ექსპერტია ჯგუფის მეურ, რომელი ჯგუფიც შეიქმნა ეროვნულ უმცირესობათა საეთხებში ეუთო-ს უძალესი კომისიის უფლებამოსის ფარგლებში. რეკომენდაციების შემუშავებასთან დაკავშირებით დაწერილებით ინფორმაციასათვის ის ეროვნულ უმცირესობათა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეკუთვნიანი მონაწილეობის შესახებ ლუნდის რეკომენდაციების ისტორია და განვითარება, პელსინი მონიტორი, ნაწყვით II, № 4, 2000). (*The origin and nature of the Lund Recommendations on the Effective Participation of National Minorities in Public Life*, Helsinki Monitor, Volume II, No. 4, 2000). 2001 წელს ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფიციალური მიერ გამოქვეყნებულ იქნა გზამკლევი ეროვნულ უმცირესობათა არეგულებში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, რომელის მოძველება შესაძლებელია შემდგა კუ-ბევრადზე: [http://www.osce.org/odhr/documents/guidelines/gl\\_nmpa\\_eng.pdf](http://www.osce.org/odhr/documents/guidelines/gl_nmpa_eng.pdf).

## სლოვაკეთის ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯგუფი იმპერატორის არჩევნებზე დაგილობრივი უფლებას

1998 წელს სლოვაკეთის მოქალაქეთა ჯგუფმა შექმნა ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფი – „საზოგადოებრივი თვალი“ (Občianske Oko), იმავე წლის საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო დამკვირვებლები დაშეცემულ იქნენ არჩევნებზე ზედამხედველობის მიზნით საარჩევნო აღმინისტრაციის ყველა ღონებზე, ადგილობრივ სადამკვირვებლო ჯგუფს – „საზოგადოებრივი თვალი“ უარი ეთქვა არჩევნების დაკვირვებაზე საარჩევნო აღმინისტრაციის მხრიდან.

საზოგადოებრივმა თვალმა გაასაჩიერა აღნიშნული გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოში, როგორც ყველა სლოვაკეთის მოქალაქეის კონსტიტუციური უფლების ხელყოფა მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. სლოვაკეთის საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საზოგადოებრივი თვალის სასარგებლოდ და დადასტურა სლოვაკეთის მოქალაქეთა უფლება დააკვირდნენ არჩევნებს სლოვაკეთში.

## გ) სამართლოშორისო სტანდარტების გამოყენება არჩევნების შეფასებისას

არჩევნების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან არის ძირითადი ფაქტორი, როთაც საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლები ხელმძღვანელობენ არჩევნების შეფასებისას. საერთაშორისო სტანდარტები, ძირითადად, ზოგადი ხასიათისა და განსაზღვრავს ძირითად პრინციპებს სახელმწიფოებისთვის შემდგომი განხორციელების მიზნით. ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფები თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას არც თუ იშვიათად შეხვდებიან საეციფიკურ საკითხებს, რომელთა შეთავსებაც საერთაშორისო სტანდარტებთან საკმაოდ არაერთმნიშვნელოვანი ამოცანაა. როგორც წესი, საერთაშორისო სტანდარტები მორგებადია კონკრეტული საკითხების შეფასებისას. თუმცადა, ზოგიერთ შემთხვევაში, აუცილებელია, გარკვევით განისაზღვროს საერთაშორისო სტანდარტები, რომლებსაც ყველა სახელმწიფო უნდა იცავდეს და ეარგი პრაქტიკები, რომელთა გამოყენება მიზანშეწონილია, მაგრამ არა საგალდებულო.

ქვემოთ, პუნქტების სახით ჩამოთვლილია ის სპეციფიკური საკითხები, რომლებზეც ადგილობრივმა დამკვირვებლებმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ეუთო-ს ქვეყნებში საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების თვალსაზრისით. ესენია, პერიოდული არჩევნები, კანონიერი არჩევნები, თავისუფალი არჩევნები, სამართლიანი არჩევნები, საყოველთაო და თანასწორი არჩევნები და ფარული კრიტერიუმები. ყველა ქვეყნის მთავრობა ვალდებულია დაიცვას და იმოქმედოს ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების შესაბამისად.

➔ პერიოდული არჩევნები გულისხმობს, რომ არჩევნები ტარდება გარკვეული დროის ინტერვალით. დროის ინტერვალი არჩევნებს შორის არ უნდა იყოს ძალ-

ზედ ხანგრძლივი. უმაღლეს აღმასრულებელ პოსტზე არჩევნებს შორის დროის ინტერვალის შვიდ წლიანი ვადა მიჩნეულია მაქსიმუმად; საპარლამენტო არჩევნების ქვედა პალატის არჩევნებს შორის დროის ინტერვალის მაქსიმალური ხდებარია ხუთი წელი. დაუშვებელია აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლების არჩევა უვადოდ.

➔ **კანონიერი არჩევნები** გულისხმობს, რომ არჩევნები რეალურად ანიჭებს ამომრჩევლებს უფლებას აირჩიონ ან გადაირჩიონ მთავრობა. ოპოზიციური კანდიდატების არ არსებობა, პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების უფლებების უხეშად დარღვევის შემთხვევები და ამომრჩევლის უფლების არ არსებობა გადაირჩიოს წარმომადგენლები დაკავებული პოსტებიდან, ესკევეშ აყენებს არჩევნების კანონიერების საკითხს.

➔ **თავისუფალი არჩევნები** გულისხმობს, რომ არჩევნების პროცესი მიმდინარეობს ადამიანის უფლებათა და მირითად თავისუფლებათა პრინციპების დაცვით. ყველა მოქალაქეს, პარტიისა და კანდიდატს აქვს უფლება ისარგბლოს გამოხატვის, გადაადგილების, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებებით. გამორიცხეულ უნდა იქნეს ყოველგარი ძალადობა; ადმინისტრაციული ჩარევა; დაშინება ან შერისძიება კანდიდატების, პარტიებისა და ამომრჩევლების მიმართ. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს არჩევნების პროცესის მიუკერძოებელი და ობიექტური გამჭებება მედია საშუალებების მიერ. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს უნდა მიეცეთ საშუალება შეუფერხებლად განახორციელონ საარჩევნო პროცესზე დაკვირვება. კერძოდ, ადგილობრივ სადამგირვებლო ჯგუფებს მიეცეთ უფლება შეუფერხებლად განახორციელონ მონიტორინგი ხმის მიცემისა და ხმების დათვლის პროცედურებზე; ხმების დათვლა და შედეგების გამოქვეყნება წარმოქბდეს გამჭვირვალედ და ექვემდებარებოდეს კონრტოლს, დაწყებული ხმის მიცემის საარჩევნო პუნქტებიდან, გაგრძელებული ნებისმიერი საარჩევნო ადმინისტრაციის შუალედური რგოლიდან და დამთავრებული ცენტრალურ საარჩევნო კომისიამდე.

➔ **სამართლიანი არჩევნები** გულისხმობს, რომ მონაწილე მხარეთა უფლებები გარანტირებულ იქნეს მოქმედი კანონმდებლობითა და შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების ხელშეწყობით. კანონმდებლობა არ უნდა იყოს დისკრიმინაციული და მისი განახორციელება სამართლიანი უნდა ხდებოდეს. ყველა კანდიდატს უფლება უნდა ჰქონდეს იყაროს კანკი. სახელმწიფო სახსრების გამოყენება უნდა მოხდეს სამართლიანად. საზოგადოებრივი მედია საშუალებები კვლეული ხმის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. საარჩევნო ადმინისტრაცია მიუკერძოებელი უნდა იყოს. ხმის მიცემის, ხმების დათვლისა და შედეგების გამოქვეყნება თავისუფალი უნდა იყოს გაფალბებისაგან. გამარჯვებულმა კანდიდატებმა უნდა დაიკავონ შესაბამისი სახელმწიფო ონამდებობები. კანდიდატები და ამომრჩევლები უზრუნველყოფილ უნდა იქნეს გასაჩივრების უფექტური საშუალებებით, მათ შორის, დამოუკიდებელი სასამართლოების მეშვეობით. დარღვევებზე პასუხისმგებელი პირები უნდა მიეცეს პასუხისმგებაში.

➔ **საყოველთაო და თანასწორი არჩევნები** გულისხმობს, რომ ყოველი მოქალაქე შესაბამისი ასაკის მიღწევის შემდეგ სარგებლობს არჩევნებში მონაწილეობის

უფლებით ყოველგარი დისკრიმინაციული შეზღუდვის გარეშე. უნდა არსებობდეს ეფექტური და მიუკერძოებელი ამომრჩეველთა რეგისტრაციის სისტემა ყოველგვარი გადასახადების გარეშე. ყველა მოქალაქეს, ინგალიდებისა და იძულებით გადაადგილებული პირების ჩათვლით, ხელი უნდა მიუწვდებოდეს საარჩევნო უბნებზე ან სმის მიცემის სხვა პროცედურებზე. დაუშვებელია სმის მიცემის უფლების შეზღუდვა იმ პირებისათვის, რომლებიც უმცირესობათა ჯგუფებს განეკუთვნებიან, ასევე ქალებისა თუ სხვა ხებისმიერი ამომრჩეველთა ჯგუფებისათვის. თანასწორი არჩევნები ასევე გულისხმობს, რომ ყოველ სმას აქვს ერთნაირი ფარდობითი წონა. პროპორციული წარმომადგენლობა ნიშნავს, რომ წარმომადგენელთა რიცხვი პროპორციულად ასახავდეს ელექტორატის სიდიდეს. საარჩევნო ბარიერი არ უნდა იყოს იმდენად მაღალი, რომ გამოიწვიოს დიდი რაოდენობით საარჩევნო ხების უგულებელყოფა. მავრიცარული არჩევნების სისტემის შემთხვევაში, ამომრჩეველთა რაოდენობა დანაწილებულ უნდა იქნეს თანაბრად, რადგან 10%-ზე მეტად გადახრამ, შესაძლოა, შექმნას მნიშვნელოვანი პრობლემები.

**→ სმის მიცემა ფარული კენჭისყრით გულისხმობს, რომ ამომრჩეველი სმის მიცემის პროცედურას ახორციელებს ინდივიდუალურად და განმარტობით სმის მიცემის საარჩევნო კაბინაში, რომელიც დაცული უნდა იყოს იმგვარად, რომ ვერავის შეძლოს შემოხაზული ბიულეტენის დანახვა მის ყუთში ჩაგდებამდე და, რომ შემდგომში ვერ მოხერხდეს ამომრჩევლის იდენტიფიცირება. სმის მიცემა ხებისმიერი ჯგუფების სახით, ამომრჩევლის ნდობით აღჭურვილი პირის მიერ ან საარჩევნო ჯისურის გარეთ, ხელყოფს სმის მიცემის ფარულობას.**

## გ) მროვნელი სტანდარტების გამოყენება არჩევნების შეფასებისას

ადგილობრივმა სადამკირვებლო ჯგუფებმა არჩევნების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობასთან ერთად ასევე უნდა შეაფასონ არჩევნების შესაბამისობა ქვეყნის კონსტიტუციისთვის და კანონმდებლობასთან მიმართებით. ვინაიდან, კონსტიტუცია ხებისმიერი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო აქტია, კანონმდებლობის სამარალებრივი უფლებამოსილება შეიძლება შეფასდეს კონსტიტუციური ნორმების დაცვის თვალსაზრისით. შესაბამისად, ხებისმიერი ადმინისტრაციული მარგილირებებით ნორმა უნდა შეფასდეს კონსტიტუციური ნორმების დაცვის ფარგლებში.

მოკლედ რომ ითქვას, ქვეყნის კონსტიტუციური ნორმები და კანონმდებლობა შესაბამისობაში უნდა იყოს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებთან და ადგილობრივი სადამკირვებლო ჯგუფების მიერ არჩევნები უნდა შეფასდეს საერთაშორისო სამართლისა და ქვეყნის კანონმდებლობის კონსტიტუციური შეფასდებით. <sup>6</sup>

6 ეურო-ს დემორატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი რეგულარულად აქცევნებს კონსტატირებს საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებთ, ამასთან, შექმნილია ელექტოროგებული ვებგვერდი, სადაც განთავსებულია ეურო-ს რეგიონის ქვეყნების ეროვნული საარჩევნო კანონმდებლობა ადგილის განხილვის მიზანით. ეურო-ს დემორატიული ინსტიტუტისა და ადმინისტრაციის უფლებამოსილების განვითარების სამსახურის კანონმდებლობის ანალიზით და ანგარიშების განთავსებულია ვებგვერდზე: <http://www.osce.org/dihr>. საკანონმდებლო კატალოგის მოიხსეა შესაძლებელია შექცევა ვებგვერდზე: <http://www.legislationonline.org>. კარისობის საბჭოს ვენეციის კომისიის კონფერენციის განთავსებულია ვებგვერდზე: <http://venice.coe.int>.

## დ) შეღარება გასულ არჩევნებთან

ადგილობრივმა სადამპვირვებლო ჯგუფებმა არჩევნების შეფასებისას უნდა გაითვალისწინონ, თუ რამდენად არის მიღწეული პროგრესი წინა არჩევნებთან მიმართებით. ეს შესაძლოა განხორციელდეს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი სადამპვირვებლო ჯგუფების მიერ გასულ არჩევნებთან და-კავშირებით გამოქვეყნებული ანგარიშების შედარებით. ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მიერ გამოქვეყნებული ანგა-რიშები არჩევნებთან დაკავშირებით განთავსებულია ვებ-გვერდზე: <http://www.osce.org/odihr>.

**2**

## დაკვირვების პროტოკოლის შემუშავება

ა) მოთხოვნათა შეფასება . . . . .	21
ბ) დაგენერაცია და ინსტიტუციური საკითხები . . . . .	23
გ) პროგრამის სტრუქტურა და ფუნქციები . . . . .	27
დ) მროვლელი სამიანობა . . . . .	28
ე) რეზილიური და ადგილობრივი სამიანობები . . . . .	30
ვ) მიუკარგობელობა . . . . .	31
ზ) აპრეზიტაცია . . . . .	33

- ➔ ძირითადი საკითხების გამოკვეთა შეფასებისა და ანალიზისთვის;
- ➔ ადამიანური და ფინანსური რესურსების განსაზღვრა;
- ➔ საქმიანობის დაწყებამდე მისი დაგევმვა და ინსტიტუციური საკითხების გადაწყვეტა;
- ➔ პროგრამისა და ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავება საარჩევნო, პოლიტიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ფაქტორების გათვალისწინებით;
- ➔ უნარ-შესაძლებლობების განვითარება პროგრამის განსახორციელებლად;
- ➔ მიუკერძოებლობისა და ქვემდებრუნვის მომების დაცვის უზრუნველყოფა.

## ა) მოთხოვნათა შეფასება

გამომდინარე იქნან, რომ საარჩევნო პროცესი არჩევნების დღეს არ იწყება, ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფებმა არჩევნებისთვის მომზადება გარკვეული დროით ადრე უნდა დაიწყონ. ზედმიწევნით უნდა იქნეს გაანალიზებული შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა იმ მიზნით, რომ დადგინდეს, არსებობს თუ არ არჩევნების დაკვირვებაში ჩართულ ადგილობრივ სადამკვირვებლო ჯგუფებზე რაიმე სახის შეზღუდვები. შეზღუდვებად შეიძლება ჩაითვალოს უცხოური ფინანსური წყაროებისგან დაფინანსების მიღების აკრძალვა, ან სახელმწიფო სტრუქტურებში განსაკუთრებული ტიპის რეგისტრაციის მოთხოვნა სადამკვირვებლო საქმიანობის ჯგუფის წესდებაში შეტანასთან დაკავშირებით. ეროვნული კანონმდებლობის გაანალიზების შედეგად ასევე უნდა შეფასდეს დამკვირვებლის აკრძალიბაციისა და მანდატის მისაღებად მიმართვისა და მათი მინიჭების პროცედურები. გადაწყვეტილება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა ასოციაციის შექმნის შესახებ არჩევებზე დაკვირვების მიზნით, შესაძლოა, გამომდინარეობდეს არსებული საკანონმდებლო ბაზის სპეციფიკან. ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გათვალისწინება აუცილებელია სადამკვირვებლო საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის მიზნით. მაშასადამე, კანონმდებლობის მოთხოვნათა სრულყოფილად გათვალისწინებისა და ასევე ფინანსური წყაროების მოძიების მიზნით, არჩევნებისთვის მოსამზადებლად, სასურველია, არანაკლებ ერთწლიანი ვადა.

არჩევნებისათვის მზადების პირველი ეტაპი იწყება მოთხოვნათა შეფასებით. გათვალისწინებულ უნდა იქნეს მთელი რიგი ფაქტორებისა, საქმიანობის მიზანი, ტიპი, მასშტაბი, დროის ფაქტორი და მიზნის მიღების გზები. ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფისთვის მოთხოვნათა შეფასება, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს პროექტის შედგენისას ფინანსური წყაროების მოზიდვის მიზნით. არჩევნებთან დაკავშირებით ძირითადი საკითხების გამოკვეთისა და ადმინი-

სტრატეგიული და ფინანსური საქმიანობის სრულყოფილად დაგეგმვის მიზნით, მოთხოვნათა შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მეთოდოლოგიური და ადმინისტრაციულ საკითხები.

მოთხოვნათა შეფასებას ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფი იწყებს საქმიანობის მასშტაბის დაგეგმვით, რაც მოიცავს საკანონმდებლო ბაზის ანალიზს; საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმაციას, უფექტური მიუკერძოებლობას; საჩივრების მიღებისა და განხილვის პროცესს; პარტიათა და კანდიდატთა რეგისტრაციას; ამომრჩევებითა რაგისტრაციას; საარჩევნო კამპანიას, მედია და ფინანსური კამპანიის ხათვლით; ადამიანის უფლებათა დაცვას; არჩევნების დღის პროცესსა და შედეგების გამოცხადებას. არჩევნების პროცესი მოიცას წინა-საარჩევნო, არჩევნებისა და არჩევნების შემდგომ პერიოდებს. შესაბამისად, ყველა ორგანიზაციისთვის არ არის სავალდებულო დაკავირება და შეფასება აწარმოოს არჩევნების მთლიან პროცესზე. ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფებმა წინასწარ უნდა განსაზღვრონ პრიორიტეტები და შესაბამისად დაგეგმონ საქმიანობა. მაგალითად, შესაძლოა, ფოკუსირება მოხდეს კონკრეტულ ამომრჩევებით ჯგუფებზე, ქალებზე, უმცირესობებზე და ა.შ. შესაძლოა, ფოკუსირება მოხდეს კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, მედია, სამართლებრივ, ან საარჩევნო პროცესის სხვა სპეციფიკურ ელემენტებთან დაკავშირებით.

პირველ რიგში, ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფის მიერ დაწვრილებით შესწავლილ უნდა იქნეს საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციებისა და ადამიანის უფლებათა მონიტორინგის განმახორციელებელი სხვა ჯგუფების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები გასულ არჩევნებთან დაკავშირებით. დამატებით, შესწავლილ უნდა იქნეს შესაბამისი კანონმდებლობა: საარჩევნო, პოლიტიკური პარტიების, მედია და არასამთავრობო ორგანიზაციების საკითხებთან დაკავშირებით. მოძიებულ და შესწავლილ უნდა იქნეს სასამართლო საქმეები არჩევნების საკითხებთან დაკავშირებით. ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფის მიერ შედარებითი ანალიზის საშუალებით მიმდინარე პოლიტიკური, კონსომიკური და სოციალური სიტუაცია უნდა შედასდეს წარსულ გამოცდილებათან. უნდა გაანალიზდეს, თუ რამდენად არის გაუმჯობესებული საარჩევნო გარემო. ადგილობრივი სადამკვირვებლო საქმიანობისას აუცილებელია დროის ფაქტორის გათვალისწინება, მოვლენისათვის ისტორიული განვითარების თვალსაზრისით. არჩევნების ტიპი განმსაზღვრელი ფაქტორია სადამკვირვებლო მეთოდოლოგიისა და დამკავშებლების შერჩევისას. მიღებობი გასხვავდება იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპის არჩევნები ტარდება: საპრეზიდენტო, საპარლამენტო, ადგილობრივი, თუ საყოველთაო რეფერენდუმი. ზოგ შემთხვევაში, მიზანშეწონილია, რეგიონალური დამკავშებლების დაქირავება საარჩევნო კომისიების სტრუქტურის, ადმინისტრაციული დანაყოფების ან საარჩევნო ოლქების მიხედვით. საარჩევნო სისტემები შეიძლება შედგებოდეს პროპორციული წარმომადგენლობითი, ერთ-მანდატიანი, მრავალ-მანდატიანი ან შერეული ტიპის საარჩევნო ოლქებისგან. არჩევნები შეიძლება ჩატარდეს ერთ ან ორ ტურად. ეს განმასხვავდებლი ფაქტორები ძალზე მნიშვნელოვანია. მაგალითად, საპარლამენტო არჩევნები ამომრჩეველთა მთლიანი სით მიმდინარეობს როგორც ერთიანი პროცესი, რაც შეუძლებელს ხდის საარჩევნო ოლქებზე და კანდიდატების რეგისტრაციაზე დაკავირვებას.

საპარლამენტო არჩევნები მაჟორიტარული სისტემით და საარჩევნო ოლქების მიხედვით, აგრეთვე ადგილობრივი თვით-მართველობის არჩევნები საშუალებას აძლევს დამკირვებლებს თვალი მიადგენონ არჩევნების პროცესს სხვადასხვა საარჩევნო ოლქებში ერთდროულად. აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები მოთხოვნათა შეფასებისას სადამკირვებლო მეთოდოლოგიის შემუშავების თვალსაზრისით. ზოგიერთი ტიპის არჩევნებისას, შესაძლებელია, არ მოხერხდეს მთელ ტერიტორიაზე დაკვირვება ეფუძტიანად და, ამგარად, დამკირვებელთა განთავსება დაეფუძნოს სადამკირვებლო რეგიონების ამორჩევით პრიცეპს ან შეიზღუდოს ერთი რეგიონით.

და ბოლოს, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, ადგილობრივი სადამკირვებლო ჯგუფი უნდა მონაწილეობდეს თუ არა არჩევნებთან დაკავშირებულ ღონისძიებებში, როგორიცაა საჯარო ინფორმაციის კამპანია, არჩევნებში მონაწილეობისაკენ მოწოდება ან არჩევნების პროცესისა თუ სახელმწიფო ხელისუფლებისათვის რაიმე სახის დახმარების აღმოჩენა. ყურადღება უნდა გამახვილდეს აღნიშნულ საკითხებზე, ადგილობრივ სადამკირვებლო ჯგუფთან ინტერესთა შესაძლო კონფლიქტის ფაქტორის გათვალისწინებით, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში რთულია დაკვირვების პროცესში და პროცესში მონაწილეობის ერთმანეთისაგან გამოჯგობა.

## პ) დაგენერალური ინსტიტუციური საკითხები<sup>7</sup>

დაკვირვების არეალის, მასშტაბისა და ხანგრძლივობის შემუშავებისას უნდა ჩამოყალიბდეს ხელმისაწვდომი ადამიადური და ფინანსური რესურსების რეალური შეფასება. ადგილობრივი სადამკირვებლო ჯგუფი, შესაძლოა, წარმოადგენდეს ორგანიზაციას, ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა ასოციაციას ან კავშირს. ზემოთ ჩამოთვლილი ნებისმიერი მოდელი, შესაძლოა, ადმონიტიური ეფექტიანი და გამოიყენება ეუთო-ს რეგიონის ფარგლებში და ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

### ადამიანური რესურსების საკითხები

როდესაც დაცუმნებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ასოციაცია გეგმავს, წამოიწყოს არჩევნებზე სადამკირვებლო საქმიანობა, რეკომენდირებულია თანამშრომელთა რიგები დააკომპლექტოს ახალი კადრებისგან. ამ საკითხთან დაკავშირებით მიშვნელოვანია:

7 ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) სახელმძღვანელო – „როგორ ახორციელდებონ მონიტორინგს არჩევნებზე ადგილობრივი ორგანიზაციები: „ანტ-დან, „პოუ“-ძევ გზამკლევი“ გამოიცა 1995 წელს და იძლევა დეტალურ ინფორმაციას ადგილობრივი სადამკირვებლო ჯგუფის განვითარებისა და პროგრამის შესახებ.“

- რომელი პოზიციები არის ანაზღაურებადი;
- სახელმისამ განაკვეთი (სახელმისამ განაკვეთი უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში მიღებულ სტანდარტს);
- შრომითი ხელშეკრულების ვადები (თანამშრომლების უმეტეს ნაწილთან უნდა დაიდოს მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულებები. მაგალითად, მედია მონიტორინგი იწყება საარჩევნო კამპანიის დაწყებიდან და მთავრდება არჩევნების დღის შემდგომ უახლოეს პერიოდში);
- აუცილებელია თუ არა რეგიონალური დაკვირვება გრძელვადიანი პერსპექტივით;
- როგორ არის უმჯობესი მოკლევადიანი პერსპექტივით ანაზღაურებადი დამკირვებლების დაქირავება, თუ უმჯობესია აქცენტი გაკეთდეს მოხალისებზე უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი სახის ანაზღაურება აკნინებს მოხალისების პრინციპს და ეჭვება აუცილებელობის მოტივის მიხედვით ანაზღაურების შემთხვევაში, ანაზღაურება არ უნდა სცილდებოდეს საარჩევნო უბნების მოხელეთა ანაზღაურებას;
- მიმდინარე ხარჯების შესაბამისად ანაზღაურება (მაგალითად, ტრანსპორტირებისა და გადამზადების ხარჯები).

ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებულმა გადაწყვეტილებებმა, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ცელილებები მოახდინოს ბიუჯეტში და, შესაბამისად, დონორთა გადაწყვეტილებაზე ფინანსურად დაგეხმარონ სადაცმირვებლო საქმიანობას. სასურველია, შემუშავებულ იქნეს პოლიტიკა ადამიანური რესურსების დაქირავების თვალსაზრისით, რომ თავიდან იქნეს აცილებული ინტერესთა კონფლიქტი. დაუშეებელია თანამშრომელი ან მოხალისე ჩართულ იქნეს იმავდროულად სხვა ტიპის საარჩევნო საქმიანობაში (მაგალითად, წარმოადგენდეს საარჩევნო კომისიას, პოლიტიკურ პარტიას, ან თავად იყოს კანდიდატი). სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა კონსორციუმის შემთხვევაში, დაცულ უნდა იქნეს პოლიტიკური ნეტურალური პრინციპი და გამორიცხულ უნდა იქნეს ინტერესთა კონფლიქტი.

ადგილობრივი სადაცმირვებლო ჯგუფის მიერ შემუშავებულ უნდა იქნეს დამკირვებლების დაქირავების შესაბამისი მეთოდოლიდა ქვეყნის, რეგიონალური და არჩევნების დღის მხედვით. მნიშვნელოვნ პოზიციებზე გამოცხადეს ოფიციალური კონკურსი მასობრივი მედია საშუალებების გამოყენებით ქვეყნისა და რეგიონალური მასშტაბით. მოხალისები უნდა შეიოჩეს მოტივაციისა და მიუკერძოებლობის პრინციპით. დამკირვებლად ყოვნა არჩევნებზე სურვილის შემთხვევაში, უნდა იყოს შესაძლებელი საზოგადოების ფართო ფენებისთვის.

ადგილობრივმა სადაცმირვებლო ჯგუფმა თანამშრომლებისა და დამკირვებლების შერჩევისას უნდა დაიცვას გენდერული, ასაკობრივი, ეთნიკური და ლინგვისტური ჯგუფების ბალანსი. აუცილებელია დაქირავებულ თანამშრომელთა და დამკირვებელთა სრულყოფილი გადამზადება. გადამზადების მასალების ასლები უნდა წარევგინოს სხვა ორგანიზებს, მაგალითად, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, გამჭვირვალების უზრუნველყოფის მიზნით. დამკირვებლთა განაწილებისას ადგილობრივმა ჯგუფმა უნდა გათვალისწინოს მათი საცხოვრებელი ადგილისა და ხმის მიცემის ფაქტორები.

## ინსტიტუციური საკითხები

ერთი ორგანიზაციის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მასში მენეჯმენტისა და გადაწყვეტილების მიღების საკითხები ბევრად უფრო მარტივია, ვიდრე კონსორციუმში. მეორეს მხრივ, კონსორციუმი შეიძლება აერთიანებდეს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომლებსაც გააჩნიათ სპეციფიკური გამოცდილება კონკრეტულ დარგში, მაგალითად, მედია-მონიტორინგში, ან შექმნილი აქვთ ფილიალები რომელიმე კონკრეტულ რეგიონში, რაც, შესაბამისად, ხელს უწყობს სადამკვირვებლო პოტენციალისა და პროფესიონალიზმის ამაღლებას. სასურველია, რომ კონსორციუმის საქმიანობის არეალი იყოს რაც შეიძლება ფართო. ავტორიტეტული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისაგან შემდგარი კონსორციუმი, შესაბამისად, მეტი ნდობით სარგებლობს, ვიდრე ერთი რომელიმე ცალკე აღებულ საზოგადოებრივი ორგანიზაცია, იმავდროულად, როდესაც დიდი რაოდენობის სადამკვირვებლო ორგანიზაციები ეჯიბრებიან ერთმანეთს მედია სიცოცისთვის. ზოგადად, ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფებმა თავი უნდა აარიდონ სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციების საქმიანობის არეალის გადაფარვას, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, და უნდა გაითვალისწინოს, რომ საერთაშორისო დონორები, სავარაუდოდ, არ დააფინანსებენ ისეთ ახალ სადამკვირვებლო საქმიანობას, რომელსაც სხვა ავტორიტეტული ორგანიზაცია უკეთ ახორციელებს. ამგვარ შემთხვევებში მიზანი მიმართული უნდა იყოს ასაც საქმიანობათა ერთობლივი განსორციელების გზით მაქსიმალური შედეგის მიღწევასა და მიმდინარე საქმიანობისათვის მეტი ღირებულების მინიჭებისაკენ.

კონსორციუმის საქმიანობის დინამიურობისა და შიდა ორგანიზაციული წესრიგის თვალსაზრისით, რეალმენცებულია სამოქალაქო საზოგადოების უველაწევრი ორგანიზაციის უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის დაიდოს ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ. კონსენსუსის გზით გადაწყვეტილების მიღების, ინსტიტუციური საკითხების გადაჭრისა და ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობის წახალისების მიზნით, ასოციაციას შეუძლია განიხილოს დირექტორთა საბჭოს ან კომიტეტის შექმნის შესაძლებლობა, მაღალ პოზიციებზე არჩევლი და დანიშნული პირებისაგან. თუმცადა, მენეჯმენტისა და რედაქციის განვითარება პასუხისმგებელია ყოველდღიური საქმიანობის წარმართვასა და ადმინისტრირებაზე (იხ. ქვემოთ).

## ფინანსური საკითხები

სადამკვირვებლო საქმიანობის წარმართვისას მნიშვნელოვანია ფინანსური საკითხების მოგვარება. დაგეგმილი საქმიანობის სტრუქტურა უნდა ეფუძნებოდეს (ი) მირითად ფულად სახსრებს და (იი) პოტენციურ, დამატებით ფულად სახსრებს. მაშინ, როდესაც სადამკვირვებლო საქმიანობისათვის აუცილებელია დამატებითი ფულადი სახსრების მოძიება, ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფმა უნდა განიხილოს ადგილობრივი და საერთაშორისო დონორებისათვის შესაძლებლობა. თუმცა რეგომენდებულია არსებობდეს დამატებითი

გეგმა დაფინანსების შეფერხების შემთხვევაში. დაუშვებელია ადგილობრივმა სადამკირვებლო ჯგუფმა დაფინანსების სანაცვლოდ დათმოს დამოუკიდებლობისა და არჩევნების შეფასების მიუკერძოებლობის პრინციპი.

პოტენციურ დონორებს წარმოადგენენ სახელმწიფოთაშორისი წყაროები, როგორიცაა ევროკომისია, ადგილობრივი საელჩოები, განვითარებისა და ტექნიკური თანამშრომლობის საგენტოები, საერთაშორისო არასამთავრობო ოგანიზაციები და ფონდები.

დონორთა დაფინანსების მისაღებად აუცილებელია დეტალური პროექტის შედეგენა. ზოგიერთმა საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციამ, შესაძლოა, განმცხადებლებისათვის გამოსცეს სახელმძღვანელო პრინციპები და მოითხოვოს პროექტის გარკვეულ სტანდარტულ ჩარჩოებთან შესაბამისობა. პროექტის შედეგნისას, სასურველია, გათვალისწინებულ იქნეს საერთაშორისო ორგანიზაციის დაფინანსების პრიორიტეტები, სტრატეგია და ხელმისაწვდომი ფინანსური ლიმიტი. ამასთან, პროექტის წარდგენა დაგეგმილ სადამკირვებლო საქმიანობამდე გაცილებით ადრე უნდა მოხდეს. ზოგადად, პროექტების აღწერილობა შემდეგნაირია: სათაური; თქმის მონახაზი (დემოკრატიზაცია, კონფლიქტების პრევენცია, არასამთავრობო ორგანიზაციის უნარ-შესაძლებლობების ამაღლება); დეტალურად გაწერილი ბიუჯეტი (ევროში, აშშ დოლარში, ან ეროვნულ ვალუტაში); პროექტის მიზნები და პრიორიტეტები; პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობა; ბენეფიციარები და მიზნობრივი ჯგუფები; დამატებითი ფაქტორების აღწერა (დროის, თანადაფინანსებისა და სხვა ფაქტორები). აუცილებელია პროექტი დაეგზაგნოს დონორების რაც შეიძლება ფართო საექტრს.

თანამშრომელთა ხელფასებისა და მოხალისეთა ხარჯების გარდა და ტრანსპორტირების ხარჯების ჩათვლით, ბიუჯეტი უნდა მოიცავდეს შემდეგ მირითად საგითხებს: საოფისე ფართის ქირავნობას, საოფისე ადგურებილობას, მომსახურებას, კომუნიკაციას, საკანცელარიო ხარჯებს; გადამზადებისათვის საჭირო მასალის მომზადებას; საცხოვრებელს, მასალების სარედაქციო ხარჯებს; დამკირვებელთა ამოსაცნობად (მაგალითად, მაისურებისა თუ სამკერდე ნიშნების დამზადებასთან) დაკავშირებულ ხარჯებს. ბიუჯეტი უნდა მოიცავდეს ექვლა აუცილებელ ხარჯს, აგრეთვე – მცირე სარეზერვო თანხას გაუთვალიშინებელი ხარჯებისთვის. სავარაუდოდ, დონორ ორგანიზაციებს უფრო მეტად მოქმედებათ ბიუჯეტი, რომელსაც თანდართული ექნება საპროექტო წინადადება, რომელიც წარმოაჩენს, რომ ადგილობრივი სადამკირვებლო ჯგუფი არ არის ზედმეტად ამბიციური და აქეს პროექტით გათვალისწინებული სახსრების ათვისების პოტენციალი. ბიუჯეტს აგრეთვე თანდართული უნდა ჰქონდეს მტკიცებულებები ხარჯების შემცირების შცდელობის დასადასტურებლად.


აუცილებელია დონორი ორგანიზაციების დარწმუნება პროექტის ფინანსური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით. მაშასადამე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შესაბამისი ფინანსური ანგარიშგება და კონტროლის მექანიზმების არსებობა დონორების წინაშე. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა კონსორციუმის შექმნისას აუცილებელია გახსნას ანგარიში. თუმცადა,

ამგვარი გადაწყვეტილებები გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხელშეკრულებით თანამშრომლობის შესახებ, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წესდებებით, ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობითა და ადმინისტრაციული მარეგულირებებით.

### გ) პროგრამის სტრუქტურა და ფუნქციები

ადგილობრივმა სადამცვირვებლო ჯგუფმა სადამცვირვებლო საქმიანობის მიზნების განსაზღვრის შემდგომ აუცილებელია შეიმუშაოს ეფექტური თრგანიზაციული სტრუქტურა. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა მოიცავდეს სამ ელემენტს: ① განყოფილებას, რომელიც მეთვალყურეობს მენეჯმენტს და აქვეყნებს საჯარო განცხადებებსა და ანგარიშებს; ② მაკორდინირებელ და ანალიტიკურ განყოფილებას; ③ ადმინისტრაციულ განყოფილებას, რომელშიც შედის ფინანსების, ლოგისტიკისა და გადამზადების სტრუქტურები.

#### გაცემაზებები და ანგარიშები



ადგილობრივი საარჩევნო სადამცვირვებლო სტრუქტურა

## ლ) ეროვნული საშინაონი

### ① მეცნიერებისა და რედაქტიის განყოფილება

მენეჯმენტისა და რედაქტიის განყოფილება პასუხისმგებელია სადამკვირვებლო პროგრამის კოორდინირებაზე, რომელიც მოიცავს კოორდინირებას საერთაშორისო საზოგადოებასა და ღონისძიებას; კომუნიკაციას დაინტერესებულ მხარეებთან; სადამკვირვებლო პოლიტიკისა და მეოთვლობის განსაზღვრას; საჯარო განცხადებებისა და ანგარიშების შეთანხმებას. კონსორციუმის შექმნის შემთხვევაში, სასურველია, მენეჯმენტისა და რედაქტიის განყოფილებაში წარმოდგენილი იყვნენ პირები კონსორციუმში გაერთიანებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებიდან. სხვა შემთხვევაში, მიზანშეწონილია, მენეჯმენტისა და რედაქტიის განყოფილების თანამშრომლები დაკომპლექტდნენ პროფესიონალიზმის პრინციპით განურჩევლად საზოგადოებრივი ორგანიზაციის კუთვნილებისა, ხოლო კონსორციუმში შემავალი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან შემდგარმა ფორუმმა შეათანხმოს საჯარო განცხადებებთან და ანგარიშებთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნულის განცხადებებისა შესაძლებელია დირექტორთა საბჭოს ან კომიტეტის შექმნით. საჭიროა დანიშნულ იქნეს მენეჯმენტისა და რედაქტიის განყოფილების პრესასთან ურთიერთობის თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებზე.

### ② მაკონკრეტულებები და ანალიტიკური განყოფილება

აღნიშნული განყოფილება პასუხისმგებელია საარჩევნო სადამკვირვებლო და ანალიტიკურ საქმიანობაზე; კოორდინირებაზე დაინტერესებულ მხარეებთან; რეგიონებიდან და ოქებიდან ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზზე. ხელმისაწვდომი რესურსებისა და დასახული ამოცანების შესაბამისად განყოფილების საქმიანობის არეალია:

- **სამართლებრივი:** მოიცავს საკანონმდებლო ბაზის შესწავლასა და ანალიზს; მუდმივ კონტაქტს სასამართლოებთან და სასამართლო ხელისუფლებასთან, ასევე მათი საქმიანობის მონიტორინგს; სასამართლო დავების მონიტორინგს;
- **საარჩევნო ადმინისტრაცია:** მოიცავს კონტაქტების დამყარებას ეროვნული საარჩევნო კომისიის წევრებთან, მონიტორინგს საარჩევნო პროცესის მართვაზე; საარჩევნო კომისიის რეზოლუციების ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების განხილვას; ამომრჩეველთა სიის სიზუსტის შეფასებას;
- **მედია:** მოიცავს კონტაქტების დამყარებას მედიასთან და ჟურნალისტთა კავშირებთან/ცედერაციებთან და მედია საშუალებების მიერ საარჩევნო პროცესის გაშუქების მონიტორინგს;

- **კანკანია:** მოიცავს კონტაქტების დამყარებას პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების საარჩევნო კამპანიის წარმართველ ჯგუფებთან და ახდენს გაერთიანების, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხების მონიტორინგსა და შეფასებას, ისევე როგორც საარჩევნო გარემოს თანასწორობასა და სამართლიანობასთან დაკავშირებული საკითხების მონიტორინგსა და შეფასებას.
- **ეროვნული უმცირესობები:** მოიცავს კონტაქტების დამყარებას ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან, შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და არჩევნებში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის მონიტორინგსა და შეფასებას;
- **გენდერი:** მოიცავს კონტაქტების დამყარებას შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებსა და შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანაბარ პირობებში და არჩევნებში ქალთა მონაწილეობისა და მათთან შექმნებლობაში არსებულ საკითხთა მონიტორინგსა და შეფასებას;
- **რეგიონალური მეთვალყურეების კოორდინაცია:** მოიცავს მეთვალყურეების სახელმძღვანელო პრონციპებითა და ინსტრუქციებით უზრუნველყოფას და რეგიონებიდან ანგარიშების მიღებასა და ანალიზს.

ამ განყოფილების თანამშრომელთა დაგომპლექტება ხორციელდება შესაბამისად კვალიფიციური კადრებით; ასე მაგალითად, იურიდიული განათლების მქონე თანამშრომლებით. განყოფილება ასევე უნდა მოიცავდეს სტატისტიკური განვითარების მქონე კადრებსაც, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან სტატისტიკურ-შეფასებით საკითხებზე, ასევე რიცხობრივი ინფორმაციის შედარებაზე, სისტემაში შეყვანასა და ანალიზზე.

### ③ ადმინისტრაციული და გადამზადების განყოფილება

განყოფილების პასუხისმგებლობაში შედის ყველა სახის ადმინისტრაციული საკითხი, როგორიცაა ბიუჯეტისა და ფინანსური ანგარიშების მომზადება, თანამშრომელთა აყვანა, მოხალისეთა მონაცემთა ბაზის შექმნა და განახლება. აღნიშნული განყოფილება მაკორდინირებელ და ანალიტიკურ განყოფილებასთან ერთად პასუხისმგებელია გადამზადების კურსების კოორდინაციაზე; სასწავლო მასალების მომზადებასა და ინსტრუქტორების აყვანაზე; კადრების თანამშრომელთა და მოხალისეთა გადამზადების ორგანიზებასა და შეფასებაზე. მენეჯმენტისა და რედაქციის განყოფილებისა და მაკორდინირებელი და ანალიტიკური განყოფილების თანამშრომლების გადამზადება უნდა აქმაყოფილებდეს უმაღლეს სტანდარტებს. იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ზემოთ ჩამოთვლილ განყოფილებათა თანამშრომლების გადამზადება ადგილობრივი რესურსებით, მაშინ ეს რესურსები გამოყენებულ უნდა იქნეს. სხვა შემთხვევაში, ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფმა უნდა გამოიყენოს საერთაშორისო

გამოცდილება, რაც შესაძლებელია განხორციელდეს ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფის წარმომადგენლის მოწვევით იმ ქვეყნიდან, სადაც არსებობს არჩევნების დაკვირვების გამოცდილება, ან კიდევ საერთაშორისო ორგანიზაციიდან ან არასამთავრობო ორგანიზაციიდან, რომელსაც გააჩნია შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება. მენეჯმენტისა და რედაქციის განყოფილებისა და მაკორდინირებელი და ანალიტიკური განყოფილების გადამზადებულმა კადრებმა შემდგომ თავად უნდა გადამზადონ სხვა თანამშრომლები და დამკვირვებლები რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე.

## ე) რეგიონალური და ადგილობრივი სამიანობები

ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფებმა, მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, რეგიონალურ დონეზე დამკვირვებლები უნდა განალაგონ წინა-საარჩევნო პერიოდის, ხმის მიცემის, ხმების დათვლისა და შეჯამების პროცედურებზე დასაკირვებლად. რეგიონალური სადამკვირვებლო საქმიანობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმართველობების არჩევნების დროს, როდესაც კანდიდატები რეგიონალური სადამკვირვებლო საქმიანობისას უკეთ მიღწევადია ამომრჩეველთა სიის სიზუსტისა და კანდიდატთა საარჩევნო კამპანიის შეფასება.

➔ **რეგიონალურმა მეთვალყურეებმა მუდმივი კონტაქტი უნდა დაამყარონ ადგილობრივ დანიტერენციულ მხარეებთან იმ არეალში, სადაც ისინი განთავსებულ არიან. მათი მოვალეობები მოიცავს შემდგენი საკითხების მონიტორინგს: გაერთიანების, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების განხორციელება; ადგილობრივი სამთავრობო სტრუქტურების როლი არჩევნების პროცესებზე; საარჩევნო ადმინისტრაციისა და ნებისმიერი სხვა აღმასრულებელი ორგანოს, სასამართლო ხელისუფლების, პროკურატურისა და უშიშროების ორგანოების საქმიანობა; ადგილობრივი მედია საშუალებების ჩართულობა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა; განვითარებულ და ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხები. მათ ასევე შეიძლება დაევალოთ გამოკითხვა ამომრჩეველთა სიის შეფასების მიზნით და ამომრჩეველთა რეგიონალურის ცენტრების პროცედურებზე მონიტორინგის განხორციელება, ხოლო შესაბამისი გადამზადების პროგრამის გავლის შემდგომ – იმ სასამართლო სხდომების მონიტორინგი, სადაც განიხილება არჩევნებთან დაკავშირებული დავები. რეკომენდებულია რეგიონული დამკვირვებლების დაქირავება მოკლევადიანი პერსპექტივით და, შესაბამისად, ფინანსური რესურსების გათვალისწინებით, არაუმტებს რამდენიმე კვირისა/თვისა. რეგიონალურ მეთვალყურეებს მონიტორინგის განხორციელებასთან ერთად შეიძლება ასევე დაევალოთ დამკვირვებელთა აყვანა, გადამზადება, კონტროლი და განთავსება.**

➔ საარჩევნო უბნების წარმომადგენლობითი ნიმუშის საფუძველზე, **დამკვირვებლები** შეიძლება ასევე პასუხისმგებელი იყვნენ ხმების პარალელური დაჯა-

მების ან „სწრაფი დათვლის“ პროცესზე, ამ უკანასკნანელის განხორციელების შემთხვევაში.<sup>8</sup>

### **3) მიუკარმოვალობა**

აუცილებელია ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფმა მკაცრად დაიცვას მიუკერძოებლობის პრინციპი. ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფმა, როგორც ერთიანმა ორგანიზაციამ და ასევე მისმა ცალკეულმა დამკვირვებლებმა უნდა გაითვალისწინოს, რომ კომპრომისი ამ საკითხთან დაკავშირებით დაუშვებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯგუფი და მის მიერ გამოქვეყნებული დასკვნები და ანგარიშები დაკარგავს ნდობას.

ეუთო-ს რეგიონში OSCE/ODIHR-ის სართაშორისო დამკვირვებლების ვალდებულებაა, დაიცვან და იმოქმედონ ქცევის კოდექსის შესაბამისად. ადგილობრივ სადამკვირვებლო ჯგუფებს არ ევალებათ დაემორჩილონ აღნიშნულ კოდექსს. თუმცა შესაძლებელია, მათ არსებული ქცევის კოდექსის გამოიყენონ როგორც საფუძველი ინდივიდუალური ქცევის კოდექსის შემუშავებისას. ზოგიერთ ქვეყანაში საარჩევნო აღმინისტრაციას კანონმდებლობა ავალდებულებს დამკვირვებელთა ქცევის კოდექსის შემუშავებას, რაც არ იწვევს მათი ძირითადი უფლების – განახორციელოს დაკვირვება – დაარღვევას, არამედ ხელს უწყობს საარჩევნო პროცესს.

8 „სწრაფი დათვლის“ გამოყოთხვა, რომელიც უფუძნება წარმომადგენლობით ნიმუშს, შეიძლება მეტად მნიშვნელოვანი იქნას შედეგების სუსტების განსაზღვრისას, განსაკუთრებით ქვეყნის პროპრიეტეტი წესით არჩევნების დროს. თუმცა ნაკლებად ზუსტია პარალელური დათვლასთან (PVT) შეხარებით, მაგრამ უფრო მარტივია განსახორციელებლად და, ჩვეულებრივ, შეგების მიღების თვალსაზრისით, უფრო სწრაფია, ვიდრე არალელური დათვლა. თუმცადა, აუცილებელია იმის უსრულეველყოფა, რომ შედეგები წარმომადგენლობითი იქნა. მიზომაც, საჭირო კონსელტაციის მიცემის მიზნით, უნდა მონაწილეობებს გამოცდილი სტაციისტიონი, რომელმაც იცის სახელმწიფოს სოციალური და დაწიგრაფიული მონაცემები.

## OSCE-ის საერთაშორისო

### დამკვირვებელთა ქცევის

#### პოლიტიკი

- ✖ დამკვირვებლებმა თავიანთი მოვალეობების შესრულებისას მკაცრად უნდა დაიცვან მოუკერძოებლობის პრინციპი. დაუშვებელია რაიმე ტიპის მხარდაჭერა არჩევნების პროცესის მსვლელობისას სახელმწიფო სტრუქტურების, პოლიტიკური პარტიების, კანდიდატების ან გარკვეული საკითხების მიმართ, რომლებიც დაკავშირებულია არჩევნების პროცესთან.
- ✖ დამკვირვებლებმა თავი უნდა შეიკავონ არჩევნების შესახებ პირადი შთაბეჭდილებებისა და საკუთარი აზრის გამოთქმისგან ოფიციალური მედია საშუალებებით, და აგრეთვე კერძო საუბრებში. შესაძლებელია, მოკლე კომენტარის გაკეთება სადამკვირვებლო საქმიანობის მისიასთან და მიზნებთან დაკავშირებით.
- ✖ დამკვირვებლებმა დასკვნები, შესაძლებელია, დაეყრდნოს მხოლოდ დოკუმენტაციურად დადასტურებულ, ფაქტობრივ და გადამოწმებულ მასალებს. დამკვირვებლებს უნდა შეექმოთ კითხვარების შევსება საარჩევნო უბნებზე, რომლებსაც ისინი დააკვირდებიან.
- ✖ დამკვირვებლების მიერ არჩევნების შემდგომ დღეებში ინფორმაციის გაცემა შემოიფარგლება ფაქსით, ან, აუცილებლობის შემთხვევაში, სატელეფონო კომუნიკაციით.
- ✖ დამკვირვებლებს მოეთხოვებათ თან იქთხიონ ქვეყნის მთავრობის ან საარჩევნო კომისიის მიერ გაცემული საიდენტიფიკაციო მოწმობები, რომლის მიხედვითაც მათ ამოიცნობენ დაინტერესებული მხარეები მოთხოვნის შემთხვევაში.
- ✖ დაუშვებელია დამკვირვებლებმა ატარონ ან მიიმაგრონ სამკერდე ნიშნები, დროშები, ან სიმბოლოები, რომლებიც, შესაძლოა, მიუთითებდეს მათ მიკერძოებულობას რომელიმე პარტიისადმი.
- ✖ დაუშვებელია რაიმე სახით დამკვირვებლები ჩაერიონ საარჩევნო პროცესში, ხომის მიცემისას, ან ხმის დათვლისას.
- ✖ დამკვირვებლებს უფლება აქვთ დარღვევების შემთხვევები აცნობონ ადგილობრივი საარჩევნო კომისიის წევრებს, მაგრამ მათ ეპრალებათ რაიმე სახის ინსტრუქციების გაცემა ან საარჩევნო კომისიის წევრების გადაწყვეტილებების გაპროტესტება.
- ✖ დამკვირვებლები სადამკვირვებლო საქმიანობისას ემორჩილებიან ადგილობრივი ქვეყნის კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს.

## სადამკვირვებლო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა პრინციპები

- ➔ მუდმივი კონტაქტი და შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან, პოლიტიკური პარტიების ფართო სპექტრის ჩათვლით. დაუშვებელია დამკვირვებლებმა განუსაზღვრონ შეხვედრების სფერო რომელიმე მხარეს, იქნება ეს მმართველ პარტია თუ ოპოზიცია. ანალოგიურად, მრავალპარტიული საარჩევნო კომისიის შემთხვევაში, დამკვირვებლები უნდა შეხვდნენ ყველა პარტიის წარმომადგენლებს;
- ➔ დაუშვებელია საარჩევნო კამპანიაში რაიმე სახით ჩაბმა. დამკვირვებლებს უფლება აქვთ დააკვირდნენ საარჩევნო კამპანიას;
- ➔ დაუშვებელია ისეთ საქმიანობაში ჩაბმა, რამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს ინტერესთა კონფლიქტი. დამკვირვებლები, გარდა მათი პირდაპირი მოვალეობისა, დააკვირდნენ არჩევნებს, დაუშვებელია ჩაებან რაიმე ტიპის სხვა საქმიანობაში; სხვაგარად, აღმოჩნდნენ ჩართული სხვა რაიმე ტიპის საქმიანობაში, რამაც, შესაძლოა, წარმოქმნას ინტერესთა კონფლიქტი;
- ➔ აუცილებელია გამოიყოს ერთმანეთისაგან დამკვირვებლის მიერ საქმიანობისას დაფიქსირებული შემთხვევები სხვა დამკვირვებლების მიერ დაფიქსირებული შემთხვევებისაგან;
- ➔ ანგარიშის შედგენისას ბალანსი უნდა იქნეს დადგენილი და მოიცვას, ერთი მხრივ, პროცესის პოზიტიურად განვითარებასა და მიღწევებთან და, მეორე მხრივ, ნებატიურ შემთხვევებსა და დარღვევებთან დაკავშირებული საკითხები;
- ➔ აუცილებელია დაცულ იქნეს კონფიდენციალობა მგრძნობიარე ინფორმაციასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი დაშინებასა თუ ძალადობასთან დაკავშირებულ პრეტენზიებთან მიმართებით;
- ➔ აუცილებელია გამოიყოს საარჩევნო კომისიის მოხვდეთა მიერ გამოუცდელობითა თუ კანონის არცოდნით დაშვებული შეცდომები იმ შეცდომებისგან, რომლებიც წინასწარ იქნა დაგეგმილი არჩევნების ერთიანი პროცესის კომპრომიტირების მიზნით.

## ზ) აპრედიტაცია

როგორც წესი, არჩევნებზე აღგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებლებს, აკრედიტაციის მიღების მიზნით, მოეთხოვებათ მიმართონ საარჩევნო აღმინისტრაციას. აკრედიტაციის გაცემა დიდი რაოდენობით დამკვირვებლებზე საკმაოდ შრომატევადი საქმეა, ამიტომაც, ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფი მხად უნდა იყოს, დაიცვას საარჩევნო კანონმდებლობის მოხვდების თუ საარჩევნო აღმინისტრაციის მიერ გამოცემული განკარგულებები. აღმინისტრაციულმა და გადამზადების განყოფილებამ დროულად უნდა უზრუნველყოს სრულყოფილად შევსტებული ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენა აღმინისტრაციის წინაშე, რათა დაუყოვნებლივ იქნეს გაცემული აკრედიტაცია/დამადასტურებელი დოკუმენტი. აღმინისტრაციასთან კარგი სამუშაო ურთიერთობების ჩამოყალიბება ხელს შეუწოდს აკრედიტაციის პროცესის გაადგილებას.

### 3

## კანონმდებლობის ანალიზი

- ა) სამართლებრივი ანალიზის მიზანები . . . . . 35
- ბ) კანონმდებლობის ანალიზის ჩარჩო . . . . . 36
- გ) საარჩევო დაცვის ცხრილების შემუშავება . . . . . 42

- ➔ საარჩევნო კანონმდებლობების მოძიება და შესწავლა;
- ➔ კანონმდებლობის ანალიზი იმის შესაფასებლად, თუ რა დონეზე უზრუნველყოფს დემოკრატიულ არჩევნებს;
- ➔ საკანონმდებლო ხარვეზებზე მითითება არჩევნების დროს პოტენციური პრობლემების გამოვლენისა და არჩევნების შემდგომ შესატანი ცვლილებების შესახებ რეკომენდაციის შემუშავების მიზნით;
- ➔ საარჩევნო დავების ცხრილების შემუშავება, რათა განისაზღვროს, თუ რამდენად არის შესაძლებელი უფლებების აღდგენა სასამართლოს მეშვეობით, და ხელი შეეწყოს სამართლებრივი დავების აღრიცხვასა და თვალყურის დევნებას.

## ა) სამართლებრივი ანალიზის მიზანებია

არჩევნებზე დაკარიცვების მნიშვნელოვანი ელემენტია სამართლებრივი ბაზის ანალიზი იმის შესაფასებლად, თუ რამდენად უზრუნველყოფს იგი დემოკრატიულ არჩევნებს. ამ სახის ანალიზი, რომელიც უნდა მოიცავდეს კონსტიტუციასა და საარჩევნო კანონმდებლობას, შეძლებისძაგვარად მაღლე უნდა იქნეს ჩატარებული სადამკვირვებლო საკიონრდინაციო და ანალიტიკური განყოფილების სამართლებრივი ექსპერტების მიერ. თუმცა ყველა ფუნდამენტური საკითხი საკანონმდებლო აქტებით უნდა რეგულირდებოდეს, მაგრამ აგრეთვე დასაშვებია, რომ ადმინისტრაციული პროცედურები რეგულირდებოდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული ნორმების საფუძველზე. აღნიშნული ნორმები გათვალისწინებული უნდა იქნეს სამართლებრივ ანალიზში.

სამართლებრივი ბაზის ანალიზის შედეგად შესაძლოა შემუშავებულ იქნეს რეკომენდაციები კანონმდებლობის საერთაშორისო ვალდებულებებსა და სტანდარტებთან, მათ შორის, ადამიანის უფლებების სტანდარტებთან, პარმონიზაციისა თუ კანონმდებლობის თანმიმდევრულობისა და ევექტინობის ხელშეწყობის მიზნით. რეკომენდაციების შემუშავებისას აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ისინი სწორედ იქნეს ფორმულირებული. ასევე განმარტებული უნდა იქნეს, თუ რამ განაპირობა რეკომენდაციების შემუშავება. რეკომენდაციები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილების შეტანისა და გაუმჯობესების მიზნით როგორც არჩევნების წინაპერიდში, ასევე მის შემდგომ.

## გ) განვითარების ანალიზის ჩარჩო

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) მიერ გამოცემული ძირითად რეკომენდაციათა კრებული წარმოადგენს საარჩევნო კანონმდებლობის ანალიზის ძირითად ჩარჩოს<sup>9</sup>. რეკომენდაციები შემუშავებულია არჩევნებთან დაგავშირებული ტექსტების ერთიანობის, სანდოობის, შესაბამისობისა და თანმიმდევრულობის პრიციპების გათვალისწინებით.<sup>10</sup> მოკლე მიმოხილვა ქვემოთ არის მოცემული. კრებულის თითოეული თავი შეიცავს რეკომენდაციასა და განსახილვებს საკითხებს.

### სამართლებრივი ბაზის სტრუქტურა

სამართლებრივი ბაზა ისე უნდა იყოს სტრუქტურულად წამოყალიბებული, რომ საზოგადოებისათვის ადვილად ხელმისაწვდომი და გამჭვირვალე იყოს, ასეავ კვეთ საარჩევნო სისტემის უკეთ კომპონენტებს, რომლებიც აუცილებელია და მოქრაბიული არჩევნების უზრუნველსაყოფად, და ამასთანავე მიღებული იყოს ხმის მიცემის განხორციელებამდე საკმაოდ ადრე.

- არის სამართლებრივი ბაზა ობიექტური, მკაფიო, გამჭვირვალე და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი?
- კონსტიტუციური მექანიზმები უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვას?
- გადაისინჯა ყველა შესაბამისი საკანონმდებლო აქტი, მათ შორის, კონსტიტუცია; ზოგადი და სპეციალური საარჩევნო კანონმდებლობა; მოქალაქეობის, პოლიტიკური პარტიების, მედიისა და საჯარო ინფორმაციის შესახებ კანონმდებლობა; საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის, მათ შორის, პროცესუალური, ნორმები; ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინსტრუქციები?

არჩეული საარჩევნო სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს დემოკრატიული არჩევნების მინიმალურ სტანდარტებს არჩევითი ინსტიტუტების, არჩევნების სისმირისა და საარჩევნო პუნქტების ორგანიზაციის თვალსაზრისით.

- უზრუნველყოფს საარჩევნო სისტემა დემოკრატიული არჩევნების მინიმალურ სტანდარტებს?
- ეროვნული საკანონმდებლო ორგანოს თუნდაც ერთი პალატის ყველა მანდატი ექვემდებარება დემოკრატიულ არჩევებს?
- ტარდება დემოკრატიული არჩევნები გონიფრულ ინტერვალებში?

<sup>9</sup> დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) მიერ გამოცემული ძირითად რეკომენდაციათა კრებული, „საკანონმდებლო ბაზის გადასინჯვა არჩევნებისთვის“; ვარ-ჰეი 2001 წ., „შექმნავებულ იქან „საერთოშორისო ინსტიტუტი დემოკრატიისთვის და საარჩევნო მსარდაჭერისთვის“-თან (International IDEA)-ის გრანტთან.

<sup>10</sup> სამართლებრივი ჩარჩოს შეგვასტისას, ინიციატივის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) სამართლებრივი მისურბის დასკვნითი ანგარიშები. აღნიშნული ანგარიშების მოძიება შესაძლებელია ვებ-გვერდზე: <http://www.osce.org/odihr>.

- სამართლებრივი ბაზა ითვალისწინებს საარჩევნო პუნქტების ორგანიზაციის სა და შემოწმების საკითხებს?
- მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ხმების მანდატებში ასახვის საარჩევნო ფორმულა და ინდივიდუალური კანდიდატებისათვის მანდატების მიცემის პროცედურა?
- საარჩევნო სისტემა ეპყრობა უმცირესობებების ჯგუფებს სამართლიანად, დისკრიმინაციის გარეშე?

### ხმის მიცემის უფლება

სამართლებრივი ბაზა უნდა უზრუნველყოფდეს ყველა სრულწლოვანი მოქალაქის საყოველთაო და თანასწორ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებას.

- უზრუნველყოფილია ყველა სრულწლოვანი მოქალაქის უფლება, მონაწილეობა მიიღოს საყოველთაო და თანასწორ კენჭისყრაში?
- სამართლებრივი ბაზა უზრუნველყოფს, რომ კენჭისყრაში მონაწილეობა გამორიცხავს დისკრიმინაციას კანონის წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპის დაცვით?
- არსებობს რაიმე სახის შეზღუდვა ხმის მიცემის უფლებასთან დაკავშირებით? თუ არსებობს, რამდენად ცალსახად არის მიჩნეული ასეთი შეზღუდვა გამონაკლისად?

### საარჩევნო კომისიების/ადმინისტრაცია

სამართლებრივი ბაზა უნდა მოითხოვდეს საარჩევნო კომისიების/ადმინისტრაციის შექმნასა და ფუნქციონირებას იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს არჩევნების დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.

- სამართლებრივი ბაზა მოითხოვს საარჩევნო კომისიების შექმნას დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით?
- სამართლებრივი ბაზა მოითხოვს საარჩევნო კომისიების საქმიანობას და მოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით?
- სამართლებრივი ბაზა მოითხოვს საარჩევნო კომისიების შექმნისა და ფუნქციონირების პროცესის გამჭვირვალობას? დამკერვებლებს აქვთ მათი საქმიანობის მონიტორინგის შესაძლებლობა ?
- სამართლებრივი ბაზა ითვალისწინებს თითოეული საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებასა და პასუხისმგებლობას, აგრეთვე ურთიერთობებს სახელმწიფო სტრუქტურებსა და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან?
- სამართლებრივი ბაზა ითვალისწინებს საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებების გაუქმების შესაძლებლობას?
- სამართლებრივი ბაზა ითვალისწინებს საარჩევნო კომისიის წევრების თვითნებური გადაყენებისაგან დაცვის მექანიზმებს?

### ამომრჩეველთა რეგისტრაცია და ამომრჩეველთა სიები

სამართლებრივი ბაზა უნდა მოითხოვდეს, რომ ამომრჩეველთა სიები შედგენილი იყოს გამჭვირვალობისა და სიზუსტის პრინციპის დაცვით, იცავდეს უფლება-მოსილი მოქალაქების რეგისტრაციის უფლებას და კრძალავდეს უკანონო ან თაღლითური გზით რეგისტრაციასა და მოქალაქეთა სიებიდან ამოღებას.

- რეგისტრაციის პროცესი უზრუნველყოფს ამომრჩეველთა გამჭვირვალე და ზუსტი სიების არსებობას?
- ამომრჩეველთა რეგისტრაციის მოთხოვნები მკაფიოდ და ობიექტურად არის განსაზღვრული?
- კანონმდებლობა მკაფიოდ ითვალისწინებს რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტების ნუსხას?
- რეგისტრაციის თაობაზე გადაწვეტილების გასაჩივრების პროცედურა არის მკაფიოდ და ობიექტურად განსაზღვრული?
- რეგისტრაციის თაობაზე გადაწვეტილების გასაჩივრების ვადები მკაფიოდ არის განსაზღვრული?
- ამომრჩეველი დაცულია პირადი მონაცემებისა და ინფორმაციის უკანონო გამჭდარებისაგან?

### პოლიტიკური პარტიები და კანდიდატები

სამართლებრივმა ბაზამ უნდა უზრუნველყოს ქველა პოლიტიკური პარტიისა და კანდიდატისათვის არჩევნებში კონკურენციის გაწვევის შესალებლობა, კანონის წინაშე თანაბარი მოპყრობის პრინციპის საფუძველზე.

- პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატებისათვის უზრუნველყოფილია კანონის წინაშე თანაბარი მოპყრობის პრინციპი?
- უზრუნველყოფილია კანდიდატთა უფლება, თანამდებობა დაიკავონ როგორც პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელმა თუ დამოუკიდებელმა კანდიდატმა?
- სამართლებრივი ბაზა ითვალისწინებს ქველა პოლიტიკური პარტიისა და კანდიდატისათვის შეჯიბრობითობის პრინციპებს?
- კანდიდატებისათვის წარმომადგენელმა მოთხოვნები ეცუმნება შესაბამის, გონივრულ და ცალსახად განსაზღვრულ კრიტერიუმებს? ეს მოთხოვნები მკაფიოდ არის განსაზღვრული კანონმდებლობით?
- კანდიდატთა რეგისტრაციის პროცედურები არის გონივრული? მკაფიოდ და ცალსახად განსაზღვრული კანონმდებლობით?
- სამართლებრივი ბაზა ითვალისწინებს კანდიდატთა რეგისტრაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების სასამართლოს წესით გადასინჯვას?
- კანონმდებლობა არეგულირებს საარჩევნო კამპანიის დროს პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების საქმიანობას? ითვალისწინებს დია და აქტიური საარჩევნო კამპანიის წარმოებას სახელმწიფოს ჩარევის გარეშე?
- სამართლებრივი ბაზა იცავს არჩეული კანდიდატის მანდატის ვადამდე შეწყვეტისაგან პოლიტიკური პარტიის შეცვლის გამო?

## თანასწორი მოპყრობა და მედიის ხელმისაწვდომობა

სამართლებრივმა ბაზამ ყველა პოლიტიკური პარტიისა და კანდიდატისათვის უნდა უზრუნველყოს მედიის ხელმისაწვდომობა, აგრეთვე თანასწორი და არა-დისკრიმინაციული მოპყრობა სახელმწიფოს კუთვნილ ან მის მიერ კონტროლირებად მედია საშუალებებში. დაუშვებელია საარჩევნო კამპანიის დროს დაუსაბუთებლად შეიზღუდოს პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების უფლება, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები თავისუფლად.

- სამართლებრივი ბაზა უზრუნველყოფს ყველა პოლიტიკური პარტიისა და კანდიდატისათვის მედიის ხელმისაწვდომობას, აგრეთვე თანასწორ და არა-დისკრიმინაციულ მოპყრობას სახელმწიფოს კუთვნილ ან მის მიერ კონტროლირებად მედია საშუალებებში?
- სამართლებრივი ბაზა განსაზღვრავს ხელმისაწვდომობისა და სამართლიანი მოპყრობის ფორმულას, რომელიც არის მართლზომიერი, ცალსახა და ობიექტურად მისაღები?
- სამართლებრივი ბაზა ითვალისწინებს მოქალაქეების, კანდიდატებისა და მათი მხარდაჭერების უფლებას, თავისუფლად გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები საარჩევნო კამპანიის წარმოებისას?

## კამპანიის დაფინანსება და დანახარჯები

სამართლებრივი ბაზა უნდა უზრუნველყოფდეს პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების კანონის წინაშე თანასწორ მოპყრობას საარჩევნო კამპანიის დაფინანსებისა და დანახარჯების თვალსაზრისით.

- სამართლებრივი ბაზა უზრუნველყოფს პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების კანონის წინაშე თანასწორ მოპყრობას საარჩევნო კამპანიის დაფინანსების და დანახარჯების თვალსაზრისით?
- თუ სამართლებრივი ბაზა ითვალისწინებს საარჩევნო კამპანიის დროს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებას ან სახელმწიფოს რესურსების გამოყენებას, უზრუნველყოფს იგი ყველა პოლიტიკური პარტიისა თუ კანდიდატის კანონის წინაშე თანასწორ მოპყრობას?
- საარჩევნო კამპანიის ქრონო დაფინანსებაზე დაწესებული შეზღუდვები არის გონივრული, მკაფიო და ობიექტურად მისაღები?
- სამართლებრივი ბაზა ითვალისწინებს პერიოდული ანგარიშების წარმოებას კამპანიის დაფინანსებასა და დანახარჯებთან დაკაგშირებით?
- სამართლებრივი ბაზა უზრუნველყოფს კამპანიის დაფინანსებასა და დანახარჯებთან დაკაგშირებული ანგარიშების საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას?

### დამკირვებლები

მთლიანი საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, სამართლებრივი ბაზა უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივ და საერთაშორისო დამკირვებლებს, მედიისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებსა და კანდიდატებს.

- სამართლებრივი ბაზა აძლევს საშუალებას ადგილობრივ და საერთაშორისო დამკირვებლებს, აწარმოონ დაკვირვება საარჩევნო პროცესის ყველა ასპექტზე?
- სამართლებრივი ბაზა აძლევს საშუალებას მედიისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებსა და კანდიდატებს, აწარმოონ დაკვირვება საარჩევნო პროცესის ყველა ასპექტზე?
- სამართლებრივი ბაზა განსაზღვრავს ობიექტურ და მგაფიოდ კრიტერიუმებს დამკირვებელთა რეგისტრაციის მიზნით?
- სამართლებრივი ბაზა ცალსახად განსაზღვრავს, რომელი სახელმწიფო ორგანო ახორციელებს დამკირვებელთა აკრედიტაციას და როდის?
- სამართლებრივი ბაზა ცალსახად განსაზღვრავს დამკირვებელთა უფლებებს, აგრეთვე როდის და რა გარემოებების არსებობისას არის შესაძლებელი დამკირვებლის სტატუსის შეწყვეტა?
- სამართლებრივი ბაზით დაცემია ბალანსი დამკირვებელთა და მორიგი საარჩევნო ადმინისტრაციის უფლებებს შორის?
- არსებობს რამე სამართლებრივი მოთხოვნა, რამაც შესაძლოა დაბრკოლება შეუქმნას დამკირვებლებს და ხელი შეუშალოს კანონიერი დაპირვების განხორციელებაში?

### ხმის მიცემის პროცედურები

სამართლებრივი ბაზა უნდა უზრუნველყოფდეს ხმის მიცემის კონფედენციალურობას, ხმების დათვლასა და ოქმების შეჯამებას მიუკერძოებლად, სამართლიანად და გამჭვირვალების მიცემის განხორციელებაში.

- სამართლებრივი ბაზა უზრუნველყოფს ხმის მიცემის კონფედენციალურობას? იქრძალება ჯგუფურად ან სხვის მაგივრად ხმის მიცემა?
- სამართლებრივი ბაზა მოითხოვს ამომრჩევლის იდენტიფიცირებას საარჩევნო ბიულეტენის მიცემამდე?
- სამართლებრივი ბაზა ითვალისწინებს დაცვის საქმარის შექანიზმებს ხმის მიცემის გაყალბებისა და ხმის რამდენჯერმე მიცემის აღსაკვეთად?
- სამართლებრივი ბაზა ითვალისწინებს საარჩევნო ბიულეტენებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის დაცვის მექანიზმებს, როგორც ხმის მიცემამდე და ხმის მიცემისას, ასევე მის შემდეგ?
- სამართლებრივი ბაზა ითვალისწინებს ხმის მიცემის აღტერნაციულ შესაძლებლობებს კონკრეტული ადამიანებისათვის ან ადამიანთა განსაზღვრული კატეგორიის ჯგუფებისთვის? პროცედურები, რომლებიც არეგულირებს ხმის

- მიცემის ალტერნატიულ მეთოდებს, აბალანსებს ხმის მიცემის კონფედენციალურობის მოთხოვნებს კენჭისყრის უსაფრთხოების გათვალისწინებით?
- სამართლებრივი ბაზა უკრძალავს პირს ხმის მიცემის ალტერნატიული მეთოდის გამოყენებასა და რამდენჯერმე ხმის მიცემას ერთსა და იმავე არჩვენებში?

### გამჭვირვალობა ხმის დათვლისას და ოქმების შეჯამებისას

სამართლებრივი ბაზა უნდა უზრუნველყოფდეს ხმების დათვლასა და ოქმების შეჯამებას ზუსტად, სამართლიანად და გამჭვირვალედ.

- სამართლებრივი ბაზა საონადოდ უზრუნველყოფს დამკვირვებლებს გონიგრული საშეალებებით, დააკვირდნენ ხმების დათვლისა და ოქმების შეჯამების პროცესს?
- სამართლებრივი ბაზა ითვალისწინებს ყველა ტექნიკური თუ კომპიუტერული პროგრამისა და ხმების დათვლისა თუ ოქმების შეჯამების პროცესის სხვა ელემენტების დამოუკიდებელი შემოწმების მექანიზმებს, როდესაც, ხელით დათვლის გარდა, გამოიყენება სხვა ტექნიკური მეთოდები?
- სამართლებრივი ბაზა მოითხოვს, რომ ყველა საარჩევნო ოქმი ხელმისაწვდომი იყოს იმ ფორმატით, რაც საშუალებას მისცემს დამკვირვებლებს, თვალყური აღვნონ თითოეული საარჩევნო უბნიდან შედეგების გადაცემას ყველა შესაძლო დონეზე საბოლოო შედეგების შეჯამებამდე?
- კანონმდებლობა მოითხოვს, რომ შედეგების შეჯამება შეიცავდეს დეტალური ინფორმაციას ალტერნატიული მეთოდებით ხმის მიცემის შედეგების შესახებ, როგორიცაა ხმის მიცემა მობილურის ან ფოსტის საშუალებით?
- კანონმდებლობა მოითხოვს საზოგადოების სწრაფ ინფორმირებასა და საარჩევნო უბნებიდან ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის გადაცემული დეტალური შედეგების ბეჭედით მედიაში გამოქვეყნებას?
- კანონმდებლობა ცალსახად აკონკრეტებს არჩევნების შედეგების საბოლოო დამტკიცებისა და კანდიდატების შეტყობინების პროცესს, ასევე არჩეული კანდიდატების უფლებამოსილების ვადებს?
- ხმების ხელახალი დათვლის ყველა მოთხოვნა და პროცედურა მკაფიოდ არის განსაზღვრული?
- ახალი არჩევნების დანიშვნის თაობაზე ყველა მოთხოვნა და პროცედურა მკაფიოდ არის განსაზღვრული?

### საარჩევნო უფლებების განხორციელება

საარჩევნო უფლებების განხორციელების ეფექტიანი მექანიზმები და სამართლებრივი დაცვის საშუალებები უზრუნველყოდ უნდა იქნეს სამართლებრივი ბაზით.

- სამართლებრივი ბაზა ითვალისწინებს საარჩევნო უფლებების განხორციელების ეფექტიან მექანიზმებსა და სამართლებრივი დაცვის საშუალებებს?

- დარღვევების შემთხვევაში გათვალისწინებული სანქციები გონივრული და სათანადოა?
- სამართლებრივი ბაზა მკაფიოდ განსაზღვრავს, ვის შეუძლია საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევებზე საჩივრის შეტანა? განსაზღვრავს ასევე საჩივრის შეტანის პროცესს?
- სამართლებრივი ბაზა ითვალისწინებს საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებების სასამართლოში გასახივრების უფლებას მათი გადასინჯვისა და საბოლოო იურისდიქციის განხორციელების თვალსაზრისით?
- სამართლებრივი ბაზა ითვალისწინებს სარჩევლის შეტანის, განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის გონივრულ გადებს?

## გ) საარჩევნო დავაბის ცხრილების შემუშავება

საარჩევნო კანონმდებლობის ანალიზისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საარჩევნო დაგების გადაწყვეტის საკითხებს. ამგვარი ანალიზი ხელს უწყობს სამართლებრივი დაცვის მექანიზმების არსებობის განსაზღვრას, აგრეთვე სამართლებრივი დავების ცხრილის შემუშავების პროცესის ხელშეწყობასა და თვალყურის დევნებას. ამგვარი ანალიზი სასამართლო დავების გადაწყვეტაზე პასუხისმგებელი ორგანობის როლის, უფლებიანობისა და სამართლიანობის შეფასების ანალიზის საშუალებას იძლევა.

სამართლებრივი ბაზა საარჩევნო დავებთან დაკავშირებით მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს:

- უკელა მოქმედებას (მაგალითად, პირის რეგისტრაციის გაყალბება) ან მოქმედებისაგან თავის შეკავებას (მაგალითად, პირის რეგისტრაციაში გატარებისაგან თავის შეკავება), რაც იძლევა საჩივრის შეტანის საფუძველს;
- ფიზიკურ პირებისა თუ დაწესებულებების ინფორმირებას, რომელთა წინააღმდეგაც მიმართულია საჩივარი;
- საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ ორგანოს;
- კომპეტენტური ორგანოს წინაშე საჩივრის შეტანის ფორმას (მაგალითად, წერილობითი სახით);
- სარჩელის შეტანისა და განხილვის ვადებს;
- აპელაციის ფორმებსა და მეთოდებს, თუ საჩივრის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილება მოუღებელი იქნება მოსარჩევლისათვის;
- მოსარჩელისათვის სასრგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების შექმანის არსებობას;
- პასუხისმგებლობის ზომებს კანონის დარღვევის შემთხვევაში.

სამართლებრივი ბაზის ანალიზის დასრულებისას, შესაძლებელია მისი ცხრილის სახით ჩამოყალიბება საარჩევნო პროცესის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. აღნიშნული პროცესის დროს შესაძლოა გამოვლინდეს კანონმდებლობის ხარვეზები, ხორმათა კოლიზია და ურთიერთგამომრიცხავი დებულებები. აღნი-

შნული გარემოებების გამოვლენა ხელს შეუწყობს რეკომენდაციების შემუშავებას სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

საარჩევნო ცხრილის ნიმუში მოცემულია ქვემოთ. აღნიშნულ შემთხვევაში, ოუმოსარჩელე მოითხოვს ამომრჩეველთა სიის უზუსტობის გამოსწორებას და მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 30-ე თავის დებულებებზე, იგი აღმოაჩენს, რომ კანონი არ ითვალისწინებს უზუსტობის გამოსწორებას, ოუნდაც მისი დადასტურების შემთხვევაში. ოუმოსარჩელე მიუთითებს ამომრჩეველთა სიის უზუსტობაზე საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ კანონის მე-20 მუხლზე დაყრდნობით, მოსარჩელეს შეუძლია მიაღწიოს სამართლებრივი მექანიზმის გამოყენებას. ოუმცა უნდა აღინიშნოს რომ საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ კანონის მე-20 მუხლის მოითხოვს ამომრჩეველთა წინასწარი სიის გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში გასაჩივრებას, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 30-ე თავი ითვალისწინებს სარჩელის შეტანის დამატებით ვადებს. ცხრილის შედეგნისას გამოიკვეთა გასაჩივრების ვადების შეუსაბამობა, აგრეთვე გამოიკვეთა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 30-ე თავის მნიშვნელოვანი ხარვეზი, რადგან არ არსებობს უზუსტობის კორექტირების მექანიზმი.

## საარჩევნო დაგენის ცხრილის ნიმუში

<p><b>დარღვევები არჩევნებთან დაკავშირებით</b></p>	<p>გასაჩივრების კანონით დადგენილი ნორმები</p>	<p>დებულებები, რომლებიც განსაზღვრავს გასაჩივრების სუბიტ- ქრებსა და მესამე მხარეს, რომლებსაც უნდა ეცნობოთ საჩი- ვრის თაობაზე</p>	<p>ვის აქვს გასაჩივრების უფლება</p>
<p><b>უზუსტობანი ამომრჩეველთა სიებში</b></p>	<p>თავი 20, ქანონი საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ</p>	<p>საარჩევნო უბნის საარჩევნო კომისია და ნებისმიერი მესამე მხარის ინფორმირება</p>	<p>ამომრჩეველი ან ნებისმიერი დაინტერესებული მხარე</p>
<p><b>უზუსტობანი ამომრჩეველთა სიებში</b></p>	<p>თავი 30, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (არჩევნების შესახებ სპეციალური ნორმები)</p>	<p>საარჩევნო უბნის საარჩევნო კომისია</p>	<p>ამომრჩეველი ან ნებისმიერი დაინტერესებული მხარე</p>

გასაჩივრების ფორმატი და ადგილი	გასაჩივრების ვადები	სარჩელის განხილვის ვადები	სასამართლო- ში გასაჩი- ვრება	აღსრულების ნორმები და ანაზღაურება
საარჩევნო უბნის საარჩევნო კომისია (წერილობით)	3 დღის განმავლობაში ამომრჩეველ- თა წინასწარი სიის გამო- ქვეყნებიდან	3 დღის განმავლობაში, ან დაუყოვნებლივ, თუ სარჩელი შეტანილია არჩევნების წინა ან არჩევნების დღეს	საოლქო სასამართლო	პორტატიურების გალდებულება და შესაძლო ჯარიბი კომისიის წევრის მიმართ თუ დარღვე- ვის მიზეზი არ არის გამართლებული
საოლქო სასამართლო (სარჩელის შეტანის ფორმალური პროცედურების შესაბამისად)	არაუგვიანეს 5 დღისა არჩევნებამდე	3 დღის განმავლობაში რეგისტრაციიდან	უმაღლესი ინსტანციის სასამართლო	არ არის გათვალის- წინებული

## 4

# საარჩევნო დაცვის მონიტორინგი

ა) საარჩევნო დაცვის მოგებარების მონიტორინგი . . . . .	47
ბ) საარჩევნო დაცვის ანალიზი . . . . .	50

- საჩივრების სახეებისა და კატეგორიების, აგრეთვე საჩივრების სხვადასხვა ეტაპზე განხილვაზე უფლებამოსილი უწყებების განსაზღვრა;
- საჩივრების სხვადასხვა ეტაპზე განხილვაზე შემდგომი დაკვირვება;
- შეფასება, თუ რამდენად ითვალისწინებს საჩივრების განხილვის სისტემა სათანადო სამართლებრივი მექანიზმების არსებობას დაინტერესებული მხარეებისათვის.

არჩევნების დროს შესაძლებელია წარმოიშვას დავები კანდიდატებს, პარტიებს, მოქადაქებს, საარჩევნო უწყებებს, მედიასა და სახელმწიფო დაწესებულებებს შორის. მართლია, დავების გადაწყვეტის სამართლებრივი შექმნიშვების არსებობა ზრდის კანონის უზენაესობისა და სამართლებრივი პროცესის ეფექტიანობის ნდობის ხარისხს, თუმცადა, გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურებამ შესაძლოა გამოავლინოს სისტემის უუნარობა, დაკმაყოფილოს კანონიერი საზოგრები.<sup>11</sup>

## ა) საარჩევნო დაგების მოგვარების მონიტორინგი

სადამკვირვებლო საკოორდინაციო და ანალიტიკური განყოფილების სამართლებრივი ექსპერტები უნდა ეცადენებ, აღრიცხონ და თვალყური ადევნონ თითოეულ დავის. თუ მხოლოდ რამდენიმე დავა მოსალოდნებლი, მაშინ შესაძლებელია თითოეული დავის აღრიცხვის ხელით წარმოება. თუ დავების დიდი რაოდენობაა მოსალოდნელი, დავების შესახებ ინფორმაცია შეიძლება შენახულ იქნეს კომპიუტერულ მონაცემთა ბაზაში. ორივე შემთხვევაში აღრიცხვის ერთნაირი სისტემა უნდა იქნეს გამოყენებული. სადაც საკითხებთან დაკავშირებული ცხრილები, რომლებიც წინა თავში იქნა განხილული, ხელს შეუწყობს იმის გამოვლენას, თუ სამართლებრივი პროცესის რომელ ასპექტები უნდა იქნეს გათვალისწინებული.

11 დაწყერილებითი ინფორმაციისთვის საარჩევნო დაეტანა დაკავშირებით იხილეთ „საარჩევნო დაგების გადაწყვეტილება უკონს-ს რეგისტრზე“: სტარტარტული საარჩევნო დავების მოხიტორისგან სისტემაზე;“ ეურო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR); გარშემა, 2001 წ., დოკუმენტი ხელმისაწვდომია კებ-გვერდზე: <http://www.osce.org/odihr>.

სასურველია, წერილობითი საჩივრების ასლების შეგროვება. ასლების მოპოვება შესაძლებელია მოსარჩევლისაგან ან იმ პირისა თუ დაწესებულებისაგან, რომელსაც, საჩივრის მიხედვით, სამართალდარღვევის ჩადენაში ედება ბრალი, სასამართლოსაც ან საარჩევნო კომისიისაგან, სადაც იქნა შეტანილი საჩივარი. ასლების შეგროვება შეუძლიათ როგორც სათავო ოფისის წარმომადგენლებს, ასევე რეგიონალურ დამკავირვებლებს. ინფორმაცია საჩივრების შესახებ ლოგიკურად უნდა იქნეს ჩამოყალიბებული შესაბამის ფორმატში და შეიცავდეს შემდეგ ასეექტებს:

- მოსარჩევლის სახელს;
- იმ პირის სახელსა თუ დაწესებულების სახელწოდებას, რომელსაც, საჩივრის მიხედვით, სამართალდარღვევის ჩადენაში ედება ბრალი;
- საჩივრის განხილვზე უფლებამოსილი ორგანოს დასახელებას;
- საჩივრის შეტანის თარიღს უფლებამოსილი ორგანოს წინაშე;
- ადგილს, სადაც დავა წარმოიშვა;
- ადმინისტრაციულ ან საარჩევნო ოლქს, სადაც დავა წარმოიშვა;
- ბრალდებების მოქლე შინაარსს;
- დამკავირვებლების ან დამკავირვებლებთა ჯგუფის კომენტარებს საჩივართან დაგავშირებით;
- თარიღს, როდესაც დაიწყო გამოძიება;
- საგამოძიებო უწყების სახელწოდებას ან გამომმიებლის სახელს;
- საჩივრის განხილვის თარიღს.

დამკავირვებლები უნდა შეეცადონ, მოიპოვონ შექლებისდაგვარად ბევრი ინფორმაცია საჩივართან დაკავშირებით, მაგრამ ამავე დროს არ უნდა მიითვისონ შესაბამისი უწყებების ფუნქციები. მიუკერძოებლობის შენარჩუნების მიზნით, მათ უნდა სცადონ ყველა მხარესთან შეხვედრას. დამკავირვებლებმა მოსარჩევესთან შეხვედრისას სიცორთხილე უნდა გამოიჩინონ, რათა უსაფუძვლო იმედები არ ჩაუსახონ.

დამკავირვებლებს ეკრალებათ წამოჭრილი პრობლემის გადაწყვეტაში რაიმე სახით ჩარევა. მათ არც გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვთ. შეხვედრის დროს დამკავირვებლებმა უნდა გაარკვიონ, მოსარჩევემ თვიციალური საჩივარი შეიტანა თუ არა საარჩევნო უწყებაში, ან სარჩევით მიმართა თუ არა სასამართლოს, და მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საშუალებები არ ყოფილი გამოყენებული, მოსარჩევეს ხელი უნდა შეუწყონ, რომ შეიტანოს თვიციალური საჩივარი და, თუ შესაძლებელია, მიმართოს აპლაციას.

ყველა საქმეს უნდა გააჩნდეს ინდივიდუალური საიდენტიფიკაციო ნომერი. თოთოეულ საჩივართან დაკავშირებით ახალი ინფორმაცია უნდა აღირიცხოს. მაგალითად, ახალი ფორმა უნდა შეივსოს, როდესაც საქმეზე წინასწარი გამოძიება დამთავრდება და სასამართლო ან პროკურატურის ორგანო მიიღებს გადაწყვეტილებას საჩივრის თაობაზე ფორმალური სამართალწარმოების დაწყების შესახებ. საქმის საიდენტიფიკაციო ნომერი ყოველთვის უნდა იქნეს აღნიშნული,

რათა დამკვირვებლებს შეეძლოთ საქმის მსვლელობაზე თვალყურის დევნება. დამკვირვებლები უნდა ცდილობდნენ საჩივრების განხილვის პროცესზე დასწრებას საარჩევნო კომისიასა თუ სასამართლოში, განსაკუთრებით გახმაურებული საქმების შემთხვევაში. ნებისმიერი დამკვირვებელი სასამართლოსა და საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრებისას მკაცრად უნდა იცავდეს ნეიტრალობის პრინციპს და ექვემდებარება შემდეგ ძირითად წესებს:

- დღოულად გამოცხადდეს სხდომაზე და არ შეუშალოს ხელი განხილვის პროცესს ნებისმიერი ფორმით;
- სიფრთხილე გამოიჩინოს ანგარიშის დაწერის ან კომენტარების გაკეთების დროს, რადგან ისინი შესაძლოა *sub judice* იყოს; და
- თავი შეიგავოს მოწმის სახით ჩვენებების მიცემისაგან საქმის განხილვის დროს.

დამკვირვებელმა, რომლიც აწარმოებს სასამართლოს ან საარჩევნო კომისიის წინაშე საჩივრის განხილვის მონტორინგს, უნდა ჩაინიშნოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- შეუძლია მოსარჩელეს საჩივრის დასასაბუთებლად წარუდგინოს სასამართლოს ან საარჩევნო კომისიას მტკიცებულება, იქნება ეს წერილობითი დოკუმენტი თუ ზეპირი განცხადება?
- შეუძლიათ სხვა დაინტერესებულ მხარეებს რაიმე მტკიცებულების წარმოდგენა?
- სამართლწარმოება არის საჯარო და ლია ყველა დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის, მედიისა და საზოგადოების სხვა წევრებისათვის? არის სხდომის როგორი დასურული, როდესაც შეუძლებელია დაკირკების წარმოება?
- საქმის განმხილველი ორგანო სამართლიანად კატერობა ყველას, მათ შორის, მოსარჩელეს, მოწმესა თუ სხვა დაიტერესებულ მხარეებს?
- არის საქმის განმხილველი ორგანო მიუკერძობებელი?
- შეესაბამება საქმის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება ანალოგიურ საქმეებზე მოღებულ გადაწყვეტილებებს? და
- სხვა შენიშვნები, განსაკუთრებით კი საქმის განმხილველი ორგანოს კომენტარები, რაც ადასტურებს სამართალწარმოების პროცესზე დაკვირვების შედეგად გამოტანილ ყველა დასკვნას.

ზემოხსენებული ინფორმაციის გარდა, სასამართლოს წინაშე საქმის განხილვისას, დამკვირვებელმა უნდა ჩაინიშნოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- მოსარჩელესა და დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენს თუ არა ადგომატი;
- მოსარჩელის მიერ წამოჭრილი სამართლებრივი საკითხები;
- სპეციალური საგანონმდებლო დებულებები, რომლებსაც ასაჩივრებენ მოსარჩელე და სხვა დაინტერესებული მხარეები თავიანთი პოზიციის დასაცავად;

- რამდენად იცავს სასამართლო კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცედურულ ხორმებს;
- დრო, რომელიც სჭირდება სასამართლოს გადაწყვეტილების მისაღებად;
- რა ინფორმაციას აძლევს სასამართლო მსარებებს მიღებული გადაწყვეტილების ზედა ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების უფლების შესახებ.

სადამკვირვებლო საქორდინაციო და ანალიტიკური განყოფილების სამართლებრივმა ექსპერტებმა უნდა აღრიცხონ დავები და მონიტორინგი გაუწიონ სამართლებრივი სისტემის მეშვეობით; დავების მონიტორინგის ფორმების შესახებ რეგიონალური დამკაირვებლებისაგან მიღებული მონაცემების გარდა, აღრიცხვა ასევე უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- საჩივრის სამართლებრივ საფუძველს: მოსარჩევის მიერ მოყვანილი საკანონმდებლო აქტების შესაბამისი მუხლების ციტირებით;
- სტატუსს: აღნიშვნელი საქმე გაისაჩივრა თუ არა რომელიმე მხარემ, ან განსახილებიდან გადაეგზავნა თუ არა სხვა რომელიმე სახელმწიფო უწყებას;
- სასამართლოს ან საარჩევნო კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებას და ა.შ., გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლის მითითებით;
- აღსრულებას: აღსრულდა თუ არა გადაწყვეტილება, როდის და როგორ მოხდა აღსრულება, აღსრულების მასშტაბი;
- აღგილობრივი დამკაირვებლის მიერ საჩივარზე მინიჭებული კატეგორიის ტიპს (იხილეთ შემდეგი თავი).

## გ) საარჩევო დავების ანალიზი

სადამკვირვებლო საქორდინაციო და ანალიტიკური განყოფილების სამართლებრივმა ექსპერტებმა საჩივრები უნდა დაყონ კატეგორიების მიხედვით. კატეგორიები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული არჩევნებთან დაკავშირებული დარღვევების კატეგორიებს. ქვემოთ მოცემულია კატეგორიათა ნიმუშები:

- საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება;
- პარტიათა/კანდიდატთა რეგისტრაცია;
- ამომრჩეველთა რეგისტრაცია;
- უკანონო საარჩევნო კამპანია (პარტიების მიერ);
- უკანონო საარჩევნო კამპანია (სახელმწიფო დაწყებულებების მიერ);
- საარჩევნო სუბიექტების გაშექმბა შედით;
- მედია საშუალებების/ურნალისტების შევიწროება;
- საარჩევნო კამპანიისათვის ხელის შეშლა (პარტიების მიერ);
- საარჩევნო კამპანიისათვის ხელის შეშლა (სახელმწიფო დაწყებულებების მიერ);
- ამომრჩეველთა უფლებების დარღვევა არჩევნების დღეს;
- ხმის მიცემის უსაფრთხოების პროცედურის დარღვევა;

- ➔ დარღვევები ოქმების შეჯამებისას და ხმების დათვლისას;
- ➔ საბოლოო, გამოცხადებული შედეგების სიზუსტე.

აღნიშნული ინფორმაციის მიხედვით მონაცემთა პაზის შექმნა საარჩევნო დავების რაოდენობრივად აღრიცხვისა და მათი გადაწყვეტის საშუალებას იძლევა. ქვემოთ მოცემულია ნიმუში, თუ როგორ უნდა მოხდეს აღნიშნული მონაცემების ცხრილში შეტანა. ეს ნიმუში აყალიბებს ცხრილს, რომელიც უნდა დაცულ იქნეს თითოეული კატეგორიის საჩივართან მიმართებაში, თუ როგორ ხდება თითოეული საჩივრის ერთ რომელიმე კატეგორიაში შეტანა. ცხრილების მიხედვით საჩივრების დახარისხება საშუალებას იძლევა გამოვლინდეს არჩევნებთან დაკავშირებული ქმრებები, რამაც დარღვევები გამოიწვია; სად მოხდა ყველაზე მეტი დარღვევის ფაქტი და რამდენად ეფექტურიანი იყო საჩივრებზე რეაგირების სისტემა. აღნიშნული ინფორმაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება იმის შეფასებისას, თუ სისტემა რამდენად ითვალისწინებდა სამართლებრივი დაცვის მექანიზმებს. ამასთანავე, მისი მეშვეობით შესაძლოა გამოვლინდეს საარჩევნო აღმინისტრაციის მიერ გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებული პრობლემები.

## საჩიგრების ამსახველი ცხრილები

- ცხრილი 1. სააარჩევნო კომისიების დაკომპლექტებასთან დაკავშირებული საჩიგრები (EC)
- ცხრილი 2. პარტიათა და კანდიდატთა რეგისტრაცია (REGPC)
- ცხრილი 3. ამომრჩეველთა რეგისტრაცია (REGV)
- ცხრილი 4. უკანონო საარჩევნო კამპანია პარტიებისა და კანდიდატების მიერ (ICPC)
- ცხრილი 5. უკანონო საარჩევნო კამპანია სახელმწიფო დაწესებულებების მიერ (ICSI)
- ცხრილი 6. საარჩევნო კამპანიისათვის ხელის შეშლა პარტიებისა და კანდიდატების მიერ (OCPC)
- ცხრილი 7. საარჩევნო კამპანიისათვის ხელის შეშლა სახელმწიფო დაწესებულებების მიერ (OCSA)
- ცხრილი 8. ამომრჩეველთა უფლებების დარღვევა არჩევნების დღეს (VED)
- ცხრილი 9. ხმის მიცემის უსაფრთხოების პროცედურის დარღვევა (SB)
- ცხრილი 10. დარღვევები ხმების დათვლისას არჩევნების დღეს (CED)
- ცხრილი 11. დარღვევები ოქმების შეჯამებისას და ხმების დათვლისას (ATV)

## საჩივრების ამსახველი ცხრილის ნიმუში

№	თარიღი	რეგისტრ. ადგენდი	მოსარჩევე	უპანი	საჩივრის მიმოხილვა	საქმის მსვლელობა
t1(EC)-1	15.8.03	ცენტრალური საარჩევნო კომისია /დედაქალაქი	ევროპური მმართველობის პარტია	100	<p>ფაქტობრივი მტკიცებულება: ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცსე) მუ-100 უბინის საარჩევნო კომისიის წევრად დანიშნა პირი, რომელიც არ არის აღნიშნულზონის მოსახლე, როგორც ამას მოითხოვს საარჩევნო კოდექსის მუ-15 მუხლი.</p> <p><u>საჩივრის სამართლებრივი საფუძვლები</u> საარჩევნო კოდექსის მუ-15 მუხლი მოითხოვს, საარჩევნო უბინის კომისიების წევრები უნდა იყენენ შესაბამისი უბინის რეზიდენტები</p> <p><u>მსარის მოთხოვნა:</u> ევექტური მმართველობის პარტიის მოთხოვნაა, კომისიის წევრი ჯონ სმიტი ჩამოცილებულ იქნეს თანამდებობიდან ცსეს მიერ და დანიშნულ იქნას სხვა კანდიდატი, რომელიც სრულად აქმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს, რეზიდენტების ჩათვლით.</p>	<p>17.8.03, დამკვირვებელი ჯეინ დოუ დაუსწრო (ცსე) სხდომას, სადაც განხილული იქნა აღნიშნული საკითხის სხვა საფოთხებით ერთად. ცსებმ დაავალი მდივანს ფაქტის საშუალებით მოითხოვოს ჯონ სმიტის მუ-100 უბინის რეზიდენტების დამდასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია გადმოცემულ იქნას 3 დღის განმავლობაში, სხვა შემთხვევაში ჯონ სმიტი ჩამოცილდეს დაკავებული თანამდებობიდან.</p> <p>21.8.03, დამკვირვებელი ჯეინ დოუ დაუსწრო (ცსე) სხდომას, რომელზეც განხილული იქნა აღნიშნული საკითხი. ცსებმ მიღლო ვესტ ტაუნის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული რეზიდენტების მოწმობის დამოწმებული ასლი, რომელიც მიეწოდა მუ-100 უბინის და რომელიც ადასტურებდა, რომ ჯონ სმიტი იყო ამ ზონის რეზიდენტი. ცსებმ არ დააკავეოულია ევექტური მმართველობის პარტიის სამართლების სამიტი</p>

## 5

### ამომრჩველთა რეგისტრაციისა და საარჩევნო კლების საზღვრების შეფასება

ა) ამომრჩველთა რეგისტრაციის შეფასება.....	55
ბ) ამომრჩველთა სიების/რეგისტრაციის ხარისხის შეფასება.....	56
გ) ამომრჩველთა სიებისა და მოსახლეობის მონაცემთა გაზის შედარებითი ანალიზი.....	57
დ) ამომრჩველთა სიების გამოყვავება.....	58
ე) კოდიუტორული ტესტირება.....	59
ვ) საქართ-საინფორმაციო კამაანიერის მონიტორინგი.....	61
ზ) ამომრჩველთა სარეგისტრაციო ცენტრების მონიტორინგი.....	62
ი) ამომრჩველთა სარეგისტრაციო ტრიბუნალების მონიტორინგი.....	63
ო) საარჩევნო კლების საზღვრების დაზღვნის მონიტორინგი .....	63

- ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესის შეფასება;
- აუცილებლობის შემთხვევაში, ამომრჩეველთა სიების სიზუსტის შემოწმება, უპირატესად, გამოკითხვის საშუალებით;
- ამომრჩეველთა სიებში აღმოჩენილი დარღვევების საარჩევნო პროცესზე ზეგავლენის შეფასება;
- შეფასება, თუ რამდენად გამჭვირვალედ მოხდა საარჩევნო ოლქების შექმნა, საარჩევნო ხმების თანასწორობის პრინციპის შეძლებისდაგვარად უზრუნველსაყოფის მიზნით.

## ა) ამომრჩეველთა რეგისტრაციის მნიშვნელობა<sup>12</sup>

ამომრჩეველთა რეგისტრაცია მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ინტერესის თვალსაზრისით, შეიქმნას ხალხის ნებით არჩევული სელისუფლება, აგრეთვე მნიშვნელოვანია იმათვის, ვინც სახელმწიფო სამსახურში შესვლას აპირებს. ის არის არსებითი ელექტრონური, რომ შეუსაბამო კანდიდატები ჩამოაცილოს ხმის მიცემის პროცესს და, რომ ადრიცხოს და დაარგვისტრიროს ხმის მიცემის უფლების მქონე მოქალაქეები. მოკლედ რომ ითქვას, ამომრჩეველთა რეგისტრაცია აუცილებელი ელექტრონურია არჩევნების მთლიანობისათვის.

ამომრჩეველთა რეგისტრაცია შესაძლოა სხვადასხვა ფორმით განხორციელდეს. ის შეიძლება იყოს პერიოდული (ყოველი არჩევნების წინ), ან რეგულარული (ყოველწლიურად ან თუნდაც ყოველვიურად განახლებადი). იგი შეიძლება იყოს ინიცირებული ინდივიდუალურად (ამომრჩევლები მიღიან სარეგისტრაციო ცენტრებში) ან სახელმწიფოს მიერ (საჯარო მოსამსახურეთა კარდაკარ სიარულით), ან სახელმწიფოს მიერ შექმნილი/ავტომატური (სამოქალაქო რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით). მართალია, სახელმწიფოს მიერ შექმნილი/ავტომატური რეგისტრაცია შესაძლოა არ მოითხოვდეს სახელმწიფოსაგან ან პირისაგან აქტიურ რეგულარულ ან პერიოდულ რეგისტრაციას, ხმის მიცემის უფლების მქონე ყველა ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს რეესტრში პირადი მონაცემების გადამოწმების, მათი გასახივრებისა და შესწორების მოთხოვნის უფლება. ამომრჩეველთა რეგისტრაცია შესაძლებელია იყოს სავალდებულო ან ნებაყოფლობითი.

12 ანიმუშები თვეი ეკრანითა საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დამოუკატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ 2001 წელს გამოქვეყნებულ მასალებს, ხათურით „ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესის ხდობის გაზრდა“ დებალური ინფორმაციისთვის ადგილობრივმა სადამკირვებლო ჯგუფები სასურველია გაეცნონ ანიმუშებ დოკუმენტს, რომელიც აგრძელებს მოიცავს ინფორმაციას ამომრჩეველთა სიების გადამოწმების შესახებ.

ამომრჩეველთა ზუსტი სიების შედგენა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო აღმინისტრაცია სათანადო ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს, მოსახლეობა აქტიურად ეხმაურება წინასწარ გამოქვეყნებულ სიებს, მოქალაქეებს შეუძლიათ თავიანთი პიროვნებისა და საცხოვრებელი ადგილის დადასტურება. ამომრჩეველთა სია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: ამომრჩევლის სახელსა და გვარს, მისამართს და ხმის მიცემის უფლების მქონე მოქალაქეების პირად მონაცემებს. თუ ამომრჩეველთა სია შეიცავს ძალიან ცოტა რაოდენობის ამომრჩეველს, ეს შესაძლოა მეტყველებდეს იმაზე, რომ მოქალაქეებს მიზანმიმართულად ან შემთხვევით ეთქვათ რეგისტრაციაზე უარი. ხოლო, თუ ამომრჩეველთა სიაში მეტისმეტად ბევრი მონაცემია შეტანილი, ეს მიანიშნებს იმაზე, რომ არსებობს „უზინარი ამომრჩევლების“ სახელით უკანონოდ ხმის მიცემის საშუალება.

ამომრჩეველთა რეგისტრაციის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამომრჩევლებს, პოლიტიკურ პარტიებსა და საარჩევნო აღმინისტრაციას შესაძლოა გაუწინდეთ კითხვები სიების სიზუსტესთან დაკავშირდებით. ზოგჯერ, არჩევნების მიმართ საზოგადოებრივი უნდობლობის გადვივების მიზნით, არაქეთილსინდისიერი ბრალდებები კეთდება. ამგვარ ბრალდებებს, თუ არ მოხდა მათი გამომიქმა და უზუსტობის დადგენა, შეუძლია საარჩევნო პროცესის ნდობის ხელყოფა. ადგილობრივ სადამყენოებლივ ჯგუფებს, მათი გამოცდილებისა და რიცხოვნობის გათვალისწინებით, შეუძლიათ საზოგადოებას და საარჩევნო აღმინისტრაციას მიაწოდონ დადასტურებული ინფორმაცია ამომრჩეველთა სიების სიზუსტისა და ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესის ხარისხის შესახებ.

ზოგიერთ ქვეყნაში ან გარკვეული ტიპის არჩევნებისთვის ამომრჩეველთა სიები სავალდებულო არ არის. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყნაში ხმის მიცემა შესაძლებელია პასპორტის წარდგენის საფუძველზე, რომელშიც შემდგომში კეთდება სპეციალური აღნიშვნა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ხმის მიცემა ხელმეორედ. როდესაც ამომრჩეველთა სიები არ არსებობს ან სამკარისად სანდო არ არის, შესაძლებელია, როგორც დაცვის მქანიზმი, ამომრჩევლისთვის სპეციალური საღებავის თითზე წასმის წესის გამოყენებაც.

## გ) ამომრჩეველთა სიების/რეგისტრაციის ხარისხისა და სიზუსტის შეფასება

ზოგადად ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესის ხარისხისა და კონკრეტულად კი ამომრჩეველთა სიების სიზუსტის შესაფასებლად, ადგილობრივმა სადამყენოებლო ჯგუფებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი ძირითადი საკითხები:

- ➔ რამდენად შეესაბამება ამომრჩეველთა ხმის მიცემის უფლების კრიტერიუმები ქვეყნის კონსტიტუციის მოთხოვნებსა და საერთაშორისო სტანდარტებს;
- ➔ საარჩევნო უფლების მქონე პირთა იდენტიფიცირების პროცესი რამდენად უზრუნველყოფს თანასწორ პირობებს უკეთა დამიანისათვის, დარეგისტრირდეს როგორც ამომრჩეველი, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე;

- საარჩევნო უფლების მქონე პირთა იდენტიფიცირების პროცედურა რამდენად არის გონივრული? ხორციელდება თუ არა იგი სათანადოდ?
- ამომრჩეველთა სიები შეიცავს მხოლოდ საარჩევნო უფლების მქონე პირთა სახელებს? რამდენად ახალია და ზუსტი აღნიშნული ინფორმაცია?
- რამდენად აქვთ საზოგადოებას, პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს საარჩევნო სიების გადამოწმების საქმარისი შესაძლებლობა;
- რამდენად აქვთ საზოგადოებას, პოლიტიკურ პარტიებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს საქმარისი შესაძლებლობა, შეიტანონ საჩივრები და მოითხოვონ საარჩევნო სიებში სახელების დამატება, ამოდება ან შესწორება,
- რამდენად იქნა განხილული მოთხოვები და შენიშვნები? შესაბამისი შესწორებები გაკეთდა ამომრჩეველთა სიებში?
- მიეწოდებათ თუ არა პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს წინასწარი, გადამოწმებული და ამომრჩეველთა საბოლოო სიების ასლები;
- საარჩევნო უბანზე გამოყენებული ამომრჩეველთა სია ამომრჩეველთა საბოლოო სიის იდენტურია თუ არა? რამდენად იქნა დანიშნულებისამებრ გამოყენებული იგი ოფიციალური პირების მიერ ხმის მიცემის დროს.

თუ ადგილობრივ სადამკირვებლო ჯგუფს ამომრჩეველთა სიების სიზუსტესთან დაკავშირებით ექნება სერიოზული პრეტენზიები, მაშინ მას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, საჭკვო უზუსტობების რაოდენობრივად აღრიცხვის მიზნით, ჩაბრაოს დეტალური გამოიყება. რადგან ასეთი გამოძიება შესაბამის კვალიფიციასა და დიდ დროს მოითხოვს, ადგილობრივი სადამკირვებლო ჯგუფი დარწმუნებული უნდა იყოს დასახული ამოცანის განხორციელების აუცილებლობაში. ასეთი შეფასების გაკეთებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ამომრჩეველთა სიები არ ერთ ქვეყანაში არ არის 100 პროცენტით ზუსტი.

## **გ) ამომრჩეველთა სიებისა და მოსახლეობის მონაცემთა გაზის შედარებითი ანალიზი**

პირველ რიგში, ამომრჩეველთა სიების სიზუსტის შეფასების მიზნით, შესაძლებელია შედარებულ იქნეს ელექტორატის მთელი რაოდენობა იმ მოქალაქეების სავარაუდო რაოდენობასთან, კინც მიაღწია არჩევნებში მონაწილეობის ასაკს. მოსახლეობის შესახებ მონაცემები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ეროვნული სტატისტიკის წარმოებაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოში, რომელიც რეგულარულად უნდა აახლებდეს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ მონაცემებს ყოველი აღწერის შემდეგ. მოსახლეობის რაოდენობის შედარება 18 წელზე უფროსი ასაკის მოქალაქეებთან იქნება ამომრჩეველთა სიახლოეს დაკავშირებული სავარაუდო პრობლემების ზოგადი მაჩვენებელი. იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველთა რიცხვი ძალზედ მაღალია ან დაბალი თეორიულ ციფრთან შედარებით, აუცილებლებით შემდგომი გადამოწმება. დამკირვებლებმა აგრეთვე უნდა გადაამოწმონ რეგიონული მონაცემების ნებისმიერი ხარვეზი, რათა შეფასდეს, პრობლემები მხოლოდ კონკრეტულ რეგიონებს აქვთ თუ არა სხვებთან შედარებით.

## დ) ამომრჩეველთა სიების შემოწმება

თუ არსებობს ბრალდება ან ეჭვი, რომ ამომრჩეველთა სიები მნიშვნელოვნად არ არის ზუსტი, ან თუ ამომრჩეველთა სიებისა და მოსახლეობის შესახებ მონაცემების შედარებითი ანალიზი წამოჭრის სერიოზული პრობლემებს, მაშინ შესაძლებელია ჩატარდეს ამომრჩეველთა სიის შემოწმება. ჩატარებული გამოკითხვის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, შესაძლებელი გახდება დასკვნაბის გამოტანა ამომრჩეველთა სიების სიზუსტისა და ხარისხის შესახებ.

იმ შემთხვევაში, როდესაც ამომრჩეველთა სიაში მონაცემთა მნიშვნელოვანი ნაწილი საგვრაუდოდ არის ყალბი ან შეუსაბამო, მაშინ უნდა ჩატარდეს „რეგისტრირებულთა“ ან „არარეგისტრირებულთა“ გამოკითხვა იმის დასადგენად, რომ აღნიშნული ბრალდება სინამდვილეს შეესაბამება. რეგისტრირებულთა გამოკითხვის მიზანია, წარმომადგენლობითი პრინციპით აღმოაჩინოს და გამოავლინოს იმ ადამიანების სახელები, რომლებიც შერჩეულია ამომრჩეველთა სიიდან. შემდეგ უკვე დადგინდება, რამდენად სწორია აღნიშნული მონაცემები, ისინი ცხოვრობენ თუ არა მითითებულ მისამართზე და აქვთ თუ არა ხმის მიცემის უფლება.

რეგისტრირებულ ამომრჩეველთა გამოკითხვის ჩატარების მიზნით, ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფმა, პირველ რიგში, უნდა მიმართოს სტატისტიკოსებსა და დემოგრაფებს, რათა მათ ამომრჩეველთა სიიდან აღბათობის პრინციპით შეარჩიონ გამოსაკითხს პირთა მონაცემები. აუცილებელი არ არის და, ამავე დროს, არაპრაქტიკულია, ყველა ამომრჩევლის გამოკითხვა. შემდგომ, რეგიონული დამკვირვებლები უნდა დაუკავშირდნენ შერჩეულ ამომრჩევლებს, რათა დააზუსტონ, ისინი ცხოვრობენ თუ არა მითითებულ მისამართზე და მათი სარეგისტრაციო მონაცემები (წლოვანება, დაბადების თარიღი და ა.შ.) სწორია თუ არა. თუ პირი ამომრჩეველთა სიაში მითითებულ მისამართზე არ იმყოფება, მაშინ უნდა დადგინდეს, გარდაიცვალა, ქვეყნის სხვა ნაწილში გადავიდა საცხოველებლად, იმიგრაციაში იმყოფება თუ საერთოდ არ არსებობს ასეთი პიროვნება. თუ სასურველ ინფორმაციას ვერ მოიძიებს, რეგიონული დამკვირვებელი კიდევ უნდა მივდეს აღნიშნულ მისამართზე, სულ მცირე სამჯერ მაინც, აღრესატის საგარაუდოდ სახლში ყოფნის დროს. მოპოვებული ინფორმაცია შეგანილ უნდა იქნეს კითხვარში, კომპიუტერის მონაცემთა ბაზაში და მოხდეს მისი ანალიზი. აღნიშნული გამოკითხვა გამოავლენს, თუ რა ხარისხით შეიცავს არასწორ ან შეუსაბამო მონაცემებს ამომრჩეველთა სიები.

თუ არსებობს პრეტენზია, რომ საარჩევნო უფლების მქონე პირთა დიდი რაოდენობა არ არის შეტანილი ამომრჩეველთა სიაში, ადგილობრივ სადამკვირვებლო ჯგუფს შეუძლია „არარეგისტრირებულთა“ გამოკითხვა. გამოკითხვის მიზანია დადგინდეს, თუ რა დონეზე ვერ მოხვდნენ სიაში ხმის მიცემის უფლების მქონე მოქალაქეები, რომლებიც შეეცადენ რეგისტრაციის გავლას. ისევე როგორც „რეგისტრირებულ“ ამომრჩეველთა გამოკითხვა, აღნიშნული შემთხვევაც მოითხოვს რეგიონალური დამკვირვებლებისაგან, ჩატარონ გამოკითხვა შემთხვევითი პრინციპის საფუძველზე შერჩეულ მოქალაქეებს, სახლში მისვლით ან

ქერაში; მოიპოვონ შემდეგი სახის ინფორმაცია: პირის სახელი და გვარი, მისამართი, აქვს თუ არა ხმის მიცემის უფლება, ეცადა თუ არა ამომრჩევლად დარეგისტრირებას. რეგიონალურმა დამკირვებლებმა მოპოვებული ინფორმაცია უნდა შეიტანონ კითხვაზი და სცადონ მისი შედარება ამომრჩეველთა გამოქვეყნებული სის მონაცემებთან, თუ რამდენად წარმატებით მოხდა გამოკითხვის მოქალაქების დარეგისტრირება. აღნიშნული გამოკითხვის შეთოდი საშუალებას იძლევა შეფასებებს ხმის მიცემის უფლების მქონე მოქალაქეთა რა რაოდენობას ეთქვა უარი რეგისტრაციაზე, აგრეთვე აღნიშნულმა მოახდინა თუ არა რაიმე გავლენა ეროვნული უმცირესობების უფლებებზე.

რეგიონალურ დამკირვებლებს, რომლებიც გამოყითხვას ახორციელებენ, უნდა პქონდეთ გავლილი შესაბამისი მომზადება. განსაკუთრებულად უურადღება უნდა მიექცეს ეთიკის საკითხებს. ისინი უნდა იყენებ დია და გამჭერივალე იმ ორგანიზაციის შესახებ, რომელსაც ისინი წარმოადგენენ, აგრეთვე, თუ რატომ აგროვებენ ინფორმაციას. დაუშვებელია, გამოკითხვის პროცესში ადგილი პქონდეს მათი მხრიდან რაიმე სახის დაშინებას.

დაუშვებილია, რომელიმე სახის გამოყითხვის ჩატარება ამომრჩეველთა წინასწარი სიების გამოქვეყნებამდე. გამოკითხვის უნდა ჩატარდეს მოლიანი საარჩევნო პროცესის დაწყებამდე, რათა ხარევეზების აღმოჩენის შემთხვევაში საკმარისი დრო დარჩეს მათ გამოსახურებლად. ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივ სადამკირვებლო ჯგუფს შეუძლია ამომრჩეველთა წინასწარი სიების ასლების მოპოვება ცენტრალური საარჩევნო აღმინისტრაციისაგან. თუმცა ეს შესაძლოა საქაოდ რთული აღმოჩნდეს, რადგან საარჩევნო აღმინისტრაციას შეუძლია უარი თქვას სიების გადაცემაზე, ან სიების გადაცემაზე მხოლოდ ადგილობრივ დონეზე დათანხმდნენ. თუ ეს შესაძლებელია, ადგილობრივი დამკირვებელი უნდა ეცადოს, მოიპოვოს ამომრჩეველთა სიების ელექტრონული ვერსია, რაც დაუხმარება შემთხვევითი პრინციპით რეგისტრირებული ამომრჩევების სახელების გამოვლენას გამოკითხვის ჩასატარებლად.

## ვ) კომპიუტერული ტესტები

კომპიუტერული ტესტები მოიცავს ამომრჩეველთა სიების ელექტრონული ასლის ანალიზს შეცდომებისა და მირითადი მიმართულებების გამოსავლენად. ამგვარ ტესტებს ძირითადად ახორციელებენ საარჩევნო აღმინისტრაციები ან ტექნიკური კონსულტანტები. ადგილობრივ სადამკირვებლო ჯგუფებს, ისევე როგორც პოლიტიკურ პარტიებს უფლება უნდა პქონდეთ შეისწავლონ ამგვარი კომპიუტერული ტესტების მეთოდოლოგია, მიმდინარეობა და შედეგები და აგრეთვე თვითონ განახორციელოს კომპიუტერული ტესტირება.

კომპიუტერული ტესტი ითვალისწინებს ამომრჩეველთა სიაში იმ მონაცემების მოქებნას, რომელებიც აქმაყოფილებს განსაზღვრულ კრიტერიუმებს. ასეთი ტესტის მეშვეობით შესაძლებელია გამოვლენილ იქნეს ამომრჩეველთა სიაში გარკვეული ტესტირება.

დო სახის შეცდომები, როგორიცაა ოქმების არაზუსტი რაოდენობა, არასრული, უკანონო თუ დუბლირებული ოქმები, არასწორად მითითებული ელექტორატი, ჩასწორებული ოქმები დამატებული და წაშლილი მონაცემებით. კომპიუტერული ტესტების გამოყენებით შეიძლება შედარღვს მიმდინარე ამომრჩევლთა სიები წინა არჩევნების სიებთან და აღწერის მონაცემებთან, რამაც, შესაძლოა, გამოავლინოს მიმდინარე სიების ნაკლოვანებები. ნიშანდობლივია, რომ ტესტირებების შედეგების სიზუსტე ბევრად არის დამოკიდებული აღწერისა და წინა არჩევნების ამომრჩეველთა სიების სიზუსტეზე.

ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესის დაკვირვებისას აუცილებელია ბალანსი დადგინდეს საზოგადოების კონკურენტულ ინტერესებთან მიმართებით. მაგალითთან, ისეთ ქვეყნებში, სადაც პირად უსაფრთხოებას შეიძლება საფრთხე შექმნას, დასაშვებია შეზღუდვები საჯარო ინფორმაციაზე, რომელიც, შესაძლოა, გავრცელდეს ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებითაც. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ყველა შემთხვევაში გასათვალისწინებელია და, შესაბამისად, ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფები პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ ინფორმაციას, რომელსაც ფლობენ მოქალაქეების შესახებ.

## აზერბაიჯანელია დამპირჭებულება ამომრჩეველთა სიხშირე აღმოჩენების მიზანების განვითარებაზე უზსტორავი

2000 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების წინ აზერბაიჯანული ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფმა – „სამოქალაქო საზოგადოებისთვის“ აღმოჩინა მრავალი უზუსტობა ამომრჩეველთა სიებში. შედეგად ჯგუფმა გადაწყვიტა, შეემოწმებინა ყველა ის სია, რომელიც გამოავლენდა რეგისტრირებულ თუ სიიდან ამოდებულ ამომრჩეველთა მონაცემებს.

შეირჩა 100-დან 20 საარჩევნო ტერიტორიული ოლქი და მომზადდა 40 მოხადვისე. აგრეთვე დაინერგა ეფექტური ანგარიშების სისტემა. ყოველ საარჩევნო ოლქში ალბათობის პრინციპით შეირჩა საარჩევნო უბნები, და ამ უბნებზე ასევე ალბათობის პრინციპით ამომრჩეველთა სიებიდან შეირჩა ამომრჩეველთა წარმომადგენლობითი ჯგუფი. მოხალისეებმა ინტერვიუ ჩამოართვეს შერჩეულ ამომრჩეველებს და აგრეთვე მოქალაქეებს, რომ გაერკიათ რამდენად ზუსტად იყო შემდგარი ამომრჩეველთა სიები ოლქებისა და უბნების მიხედვით. ანგარიშები გადაეგზაფნა ჯგუფის ცენტრალურ ოფისს და განხორციელდა შემდგომი ანალიზი სტატისტიკურსების მიერ. ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში დაფიქსირდა, რომ მთლიანი ქვეყნის მასშტაბით ამომრჩეველთა სიებში მონაცემთა 30 პროცენტი შეცვდა სხვადასხვა სახის უზუსტობებს.

### 3) საჯარო-საინფორმაციო კამპანიების მონიტორინგი

ადგილობრივ სადამკვირვებლო ჯგუფს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია მონიტორინგი განახორციელოს სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო კამპანიებზე, რომლებიც მიზნად ისახავს მოსახლეობის გააქტიურებას საარჩევნო სიებში მათი მონაცემების გადამოწმებასა და დარეგისტრირებასთან მიმართებით. მონიტორინგის განხორციელებას განსაკუთრებით მაშინ აქვს აზრი, როდესაც დიდი რაოდენობით ხმის მიცემის უფლების მქონე მოქალაქეები გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოხვდნენ ამომრჩეველთა სიებში; როდესაც ამომრჩეველთა კონკრეტული ჯგუფები, განსაკუთრებით კი უმცირესობები, არ არიან ამომრჩეველთა სიებში, ან როდესაც ადგილი აქვს მონაცემთა დუბლირებას. ადგილობრივ სადამკვირვებლო ჯგუფს შეუძლია შეავასოს, თუ რამდენად დროულად იქნა ინფორმაცია მოწოდებული, რამდენად ზუსტი არის იგი, ხომ არ გამორიცხავს ხმის მიცემის უფლების მქონე მოქალაქეთა ჯგუფს და ხომ იმგვარად არის მოწოდებული, რომ უზრუნველყოს მონაწილეობის უმაღლესი ხარისხი. ეს შესაძლოა მიღწეულ იქნეს შემდეგნაირად:

- შეტანილ იქნეს საკითხი მედია მონიტორინგის საქმიანობაში (იხ. მე-9 თავი);
- შემოწმდეს სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გავრცელებული ინფორმაციის (მაგალითად, ბროშურები და სხვა) შინაარსი, რაოდენობა და გავრცელება;
- შემოწმდეს არის თუ არა სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გავრცელებული ინფორმაცია თარგმნილი „უმცირესობების“ უნიკატი (იმ შემთხვევაში, თუ ხდება უმცირესობების იგნორირება საარჩევნო პროცესისას).

შედეგად ჯგუფმა გადაწყვიტა, შეემოწმებინა ყველა ის სია, რომელიც გამოაგლენდა რეგისტრირებულ თუ სიიდან ამოდებულ ამომრჩეველთა მონაცემებს.

თუკი ადგილობრივ სადამკვირვებლო ჯგუფს აქვს საფუძვლიანი უჭივი ვარაუდისათვის, რომ ამომრჩეველები სიიდან იქნენ ამოდებული ან ამას უჩვენებს აღნიშნული სიების შესწავლა, ჯგუფს თვალი შეუძლია გაავრცელოს საჯაროდ ინფორმაცია მოქალაქეების საარჩევნო პროცესში გააქტიურების თვალსაზრისით და მოუწოდოს მათ გადამოწმონ ამომრჩეველთა სიებში მონაცემები და გაიარონ რეგისტრაცია. ამგვარ შემთხვევებში ინფორმაცია უნდა იყოს მაქსიმალურად ზუსტი და მიზნად ისახავდეს მოქალაქეობის მონაწილეობის უმაღლეს ხარისხს. ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს მოსახლეობის პასიური ნაწილის გააქტიურებაში, კერძოდ კი, ახალგაზრდებისა და უმცირესობების იმ ჯგუფებისა, რომლებიც საფარაუდოდ ვერ მოხვდნენ ამომრჩეველთა სიებში. იმ შემთხვევაში, თუკი ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფი მიიღებს ამგვარ სამიანობაში ჩართვის გადაწყვეტილებას, იგი დაი უნდა იყოს კრიტიკის მიმართ, რაც, შესაძლოა, პოლიტიკური პარტიების მხრიდან სხვადასხვაგარი ბრალდებების სახით წამოვიდეს. ამასთან, აღნიშნულის განხორციელების პროცესში, დაცული უნდა იქნეს მიუკერძოებლობის პრინციპი.

## ზ) ამომრჩეველთა სარეზისტრაციო ცენტრების მონიტორინგი

იმ შემთხვევაში, თუ კანონი ითვალისწინებს, რომ ამომრჩეველთა რეგისტრაცია წინასწარ ჩატარდეს რეგისტრაციის ცენტრებში (იმ სისტემების საწინააღმდეგოდ, რომლებიც დაფუძნებულია სამოქალაქო რეესტრიდან ამონაწერებზე და კარდაკარ აღრიცხვის მოდელზე), ადგილობრივმა სადამკირვებლო ჯგუფმა, შესაძლოა, განახორციელოს ამ პროცესის მონიტორინგი. ამ დროს გამოყენებული მეთოდოლოგია მსგავსი უნდა იყოს ხმის მიცემის მონიტორინგის დროს გამოყენებული მეთოდოლოგიისა. თუმცადა, ხმის მიცემის პროცესისგან განსხვავებით, რეგისტრაციის პროცესი მიმდინარეობს კვირების და არა დღეების განასვლობაში. თუკი ადგილობრივი სადამკირვებლო ჯგუფი გადაწყვეტს, რომ მონაწილეობა მიიღოს რეგისტრაციის ცენტრებში ამომრჩეველთა რეგისტრაციის მონიტორინგში, იგი უნდა ჩამოყალიბდეს თუ როგორ განახორციელებს მონიტორინგს, ყველა სარეგისტრაციო ცენტრის მიხედვით ყოველდღიურად, თუ შერჩევითი პრინციპით. ადგილობრივმა სადამკირვებლო ჯგუფმა ასევე უნდა გადაწყვიტოს სადამკირვებლო საქმიანობისას გამოყენებს მობილურ ჯგუფების პრინციპს, თუ დაეყრდნობა ადგილზე სამეთვალყურეო ჯგუფებს. იმ შემთხვევაში, თუ შეამნევს, რომ რეგისტრაციის პროცესი ზოგიერთ ცენტრში გაცილებით პრობლემატურია, ადგილობრივ სადამკირვებლო ჯგუფს შეუძლია გამოიყენოს დაკვირვების შერეული მეთოდი.

მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნება გადაწყვეტილება პროცესის დაკვირვების შესახებ, ადგილობრივმა სადამკირვებლო ჯგუფმა დამკირვებლები უნდა უზრუნველყოს რეგისტრაციის პროცესთან დაკავშირებით შესაბამისი გადამზადებითა და ანგარიშგების ფორმით. თითოეულ მონახულებულ ცენტრზე ყოველდღიურად უნდა მოხდეს შემდეგი ჩანაწერება:

- რამდენი მოქალაქე დარგებისტრირდა;
- რამდენ ხმის უცლების შემთხვევაში მოქალაქეს ეთქვა უარი რეგისტრაციაზე;
- რამდენი ხმის უცლების არ-მქონე მოქალაქე დარეგისტრირდა;
- რამდენი მოქალაქე დარგებისტრირდა ერთზე მეტჯერ;
- რამდენად სწორედ იყო დაცული პროცედურა;
- რამდენად ადგილი იყო ცენტრის წევდომა და რამდენად დროულად ხდებოდა მისი გახსნა და დახურვა;
- რამდენად საკმარისი იყო მასადები; და
- რამდენად ზუსტად იქნა მონაცემები შეტანილი და გადაგზავნილი ეროვნულ სარეგისტრაციო ცენტრში საბოლოო სიებში შეტანის მიზნით.

ანგარიშის ფორმები უნდა იყოს მოკლე და სრულყოფილი, ადვილად გამოსაყენებელი და გასაგები. ყოველი ანგარიშის მონაცემები შეტანილ უნდა იქნეს მონაცემთა ბაზაში საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, თუ რამდენად წარმატებით ჩაიარა რეგისტრაციის პროცესში. ინფორმაცია ასევე გამოავლენს დარეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობას, რეგისტრაციასთან დაკავშირებულ პრობლემატურ სფეროებს და რეგისტრაციის მომენტში წარმოშობილ სირთულეებს.

## 01) აპომონიებელთა სარეზისტრაციო ტრიბუნალების მონიტორინგი

საარჩევნო პროცესის დროს მოქალაქეები, კანდიდატები და პოლიტიკური პარტიები უფლებამისილი არიან, გაასაჩივრონ ან პრეტენზია გამოთქვან ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებით. როგორც წესი, ამგვარი დავები წყდება სარეგისტრაციო ტრიბუნალების, საარჩევნო კომისიის, ან სასამართლოების მიერ და შესაძლებელია აღნიშნულის მონიტორინგი იმის შეფასების მიზნით, თუ საჩივრების გამხილველი მოხელეები რამდენად მიუკერძოებულად მოქმედებენ, რამდენად სრულყოფილად იცავენ დადგენილ პროცედურებს და აძლევენ თუ არა მომზივებს ტრიბუნალისათვის მიმართვის სათანადო დროს. ამ მიზნით, ადგილობრივია სადამკირვებლი ჯგუფმა უნდა გადაწყვიტოს როგორ განახორციელებს მონიტორინგს, შეიმუშავებს მეთოდოლოგიას (ყველა საქმის დაწვრილებით შესწავლით), თუ შერჩევითი პრინციპით შემოიფარგლება იმის მიმოხილვით, თუ რამდენად მიუკერძოებლად და სრულყოფილად არის დაცული კანონის მოთხოვნები.

## 0) საარჩევნო ოლქების საზღვრების დაზიანის მონიტორინგი

გუთო-ს წინაშე ნაგისრი ვალდებულებების მიხედვით, თანაბარი წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მიზნით, დაცული უნდა იქნეს სმების თანასწორობის პრინციპი. აღნიშნული იმას გულისხმობს, რომ თითოეულმა არჩეულმა წარმომადგენლომა უნდა წარმოადგინოს რეგისტრირებულ ამომრჩეველთა თანაბარი რაოდენობა. მაგალითად, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის მიხედვით, ამომრჩეველთა რაოდენობა შემადგენელი ოლქების მიხედვით დაახლოებით თანაბარია, დასაშვებია 10 პროცენტიანი ცდომილება. პროპროცეციული წარმომადგენლობითი სისტემის დროს ამომრჩეველთა რაოდენობა, შესაძლოა, იქოს სხვადასხვა, მაგრამ ოლქების მიხედვით არჩეულ წარმომადგენელთა რიცხვი პროპროცეციულია შესაბამისად ელექტორაციის სიდიდისა. საარჩევნო კანონმდებლობა უნდა განსაზღვრავდეს საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენის დეტალურ და ერთიან კრიტერიუმებს, რომელიც თითოეული ოლქისათვის გაითვალისწინებს ხმის მიცემის უფლების მქონე მოსახლეობის რაოდენობასა და საზღვრების გეოგრაფიულ, ადმინისტრაციულ და ისტორიულ უწყვეტობას. საზღვრების დადგენა უნდა მოხდეს გამჭვირვალებისა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპების დაცვით, სასურველია, უპარტიო ექსპერთა კომისიის მიერ. ადგილობრივმა სადამკირვებლო ჯგუფმა უნდა შეაფასოს პროცესის მიმდინარეობა გამჭვირვალების თვალსაზრისით იმის უზრუნველსაყოფად, რომ, შესაძლებლობის ფარგლებში, დაცულ იქნეს სმების თანასწორობის პრინციპი და ადგილი არ ჰქონდეს შერჩევით, დისკრიმინაციულ და მიკერძოებულ მიდგომებს.

**6**


## საარჩევნო ალიბისტრაციის მონიტორინგი

- ა) საარჩევნო აღმინისტრაციის სტრუქტურა . . . . . 65
- ბ) ამომრჩეველთა სიგან/რეგისტრაციის  
ხარისხისა და სიზუსტის შეფასება . . . . . 66

- საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობის, პროფესიონალიზმისა და ეფექტურობის შეფასება
- საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შეფასება გამჭვირვალეობისა და მიუკერძოებლობის თვალსაზრისით
- კარგი პროფესიული თანამშრომლობითი ურთიერთობების დამყარება საარჩევნო კომისიის ყველა დონეზე, რეგულარული შეხვედრების თრგანიზებისა და შესაბამისი ინფორმაციის მიღების მიზნით

## ა) საარჩევნო ადმინისტრაციის სტრუქტურა

არჩევნების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი ორგანო უნდა სარგებლობდეს პოლიტიკური მონაწილეებისა და საზოგადოების ნდობით. უმრავლეს შემთხვევაში არჩევნებზე კონტროლს ახორციელდს ეროვნული საარჩევნო კომისია, რომელიც ხშირად ცნობილია როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესო), როგორც ჰქონის საშტატო ერთეული ან სამდიფნო. როგორც წესი, ცენტრალური საარჩევნო კომისია მუდმივობის მიზნით მოქმედი ადმინისტრაციული ორგანოა. ცესო-ს ქვედა დონეზე მოქმედებენ ქვეყნის ადმინისტრაციული ან საარჩევნო ოლქების ნიშნით დაყოფილი საარჩევნო კომისიები და თითოეული საარჩევნო ოლქის კომისიები. საარჩევნო ადმინისტრაციის თითოეული რგოლის შემადგენლობა, სტრუქტურა და ფუნქციები ნაოდად უნდა იქნეს განსაზღვრული მოქმედი კანონმდებლობით.



## საარჩევნო ადმინისტრაციის ინტრაქტი

ხელისუფლების სხვა ორგანოებს, როგორიცაა ადგილობრივი თვითმმართვულობის ორგანოები, შინაგან საქმეთა სამინისტრო და იუსტიციის სამინისტრო, შესაძლოა, დაეკისროთ გარკვეული როლის შესრულება საარჩევნო პროცესში. ამგებარ შემთხვევებში მონიტორინგის განხორციელებისას გამოიყენება საარჩევნო ადმინისტრაციასთან დაკავშირებული ანალიგიური წესები.

ზოგადად, მაკორდდინირებელი და ანალიტიკური განყოფილების მოვალეობაა ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქმიანობაზე მონიტორინგი; რეგიონალურმა მეთვალყურეებმა უნდა აწარმოონ დაკვირვება რეგიონალურ და, საჭიროების შემთხვევაში, საოლქო კომისიებზე, დამკვირვებლებმა კი – საარჩევნო უბნებზე. ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფებმა უნდა შეინარჩუნონ პროცესიული თანამშრომლობითი ურთიერთობები საარჩევნო კომისიის ყველა დონეზე. მაკორდინირებელი და ანალიტიკური განყოფილების წარმომადგენლები და რეგიონალური მეთვალყურეები, აუცილებელი ინფორმაციის მიღების მიზნით, რეგულარულად უნდა შეხვდნენ შესაბამის საარჩევნო კომისიებსა და მათ თანამშრომლებს. ისინი ასევე უნდა დაეწრონ კომისიების სხდომებს და გაეცნონ მიღებულ გადაწყვეტილებებს. რესურსების არსებობის შემთხვევაში ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფები უნდა გაეცნონ საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა გადაწყვეტილებას, მარეგულირებელ ნორმასა და ინსტრუქციას. ასევე, უნდა შემოწმდეს ოფიციალური ქურნალ-გაზოვები იმ მიზნით, რომ გადამოწმდეს, ხომ არ გამოქვეყნებულა მარეგულირებელი ნორმები და სხვა კანონქვემდებარებები. ხშირ შემთხვევაში, ამგვარი აქტები და მარეგულირებელი ნორმები ძალაშიდებას იძენს მხოლოდ გამოქვეყნების შედეგად.

## გ) ძირითადი საპითხების შეფასება

საარჩევნო ადმინისტრაციასთან დაკავშირებით ძირითადი საკითხები, რომლებიც საჭიროებს გამოძიებას/შეფასებას, მოიცავს შემდეგს:

→ **საარჩევნო კომისიის შემაღებლობის ფორმირება:** საარჩევნო კანონმდებლობამ უნდა განსაზღვრავს საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და შემაღებლობის ფორმირების კრიტერიუმები. საარჩევნო კომისიის შემაღებლობის არჩევა უნდა ხდებოდეს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებით. უმრავლეს შემთხვევაში ეს ნიშნავს პლურალისტურ წარმომადგენლობას პოლიტიკური პარტიების ბალანსის საფუძველზე. იმ ქვეყნებში, სადაც მადალია ნდობა საარჩევნო პროცესის მიმართ, კომისიები კომპლექტდება გამოცდილი, ხეიტრალური და გამორჩეული პიროვნებებისაგან, სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩათვლით. დაუშვებელია კომისიის წევრების საქმიანობიდან თვითნებური ჩამოცილება.

→ **საარჩევნო კომისიების დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა:** საარჩევნო კომისიები არა მხოლოდ უნდა დაფუძნდნენ დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპის საფუძველზე, არამედ უნდა მოქმედებდნენ დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად. დაუშვებელია არამართლზომიერი

ჩარევა საარჩევნო კომისიების საქმიანობაში ან მათი წევრების დაშინება. საარჩევნო კომისიებმა უნდა უზრუნველყონ გამოხატვის, გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლებები ქოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე და კანონის შესაბამისად. კომისიის მხრიდან ნებისმიერი დარღვევა, ან ცალმხრივი მიღღომა საფრთხეს შეუქმნის არჩევნებს ლეგიტიმურობის თვალსაზრისით.

- **გამჭვირვალება:** საარჩევნო კომისიები უნდა იცავდნენ დიაობისა და გამჭვირვალების პრინციპებს. საზოგადოებას ხელი უნდა მიუწვდებოდეს მათი საქმიანობის კონტროლზე. გამჭვირვალება მიიღწევა შემდეგი გზების საშუალებით: კომისიებში პარტიათა წარმომადგენლების ჩართვით, მედიისა და დამკარგებლების მოწვევით, აგრძელებით გადაწყვეტილებების დაუყოვნებელი გერგეობრივით. თუმცა, საარჩევნო კომისიების სხდომები ქოველთვის გერგეობრივი სახელმისაწვდომი დამკარგებლებისთვის.
- **შტატების შერჩევა და გადამზადება:** საარჩევნო კომისიების ყველა წევრმა და თანამშრომელმა არჩევნების მოახლოებისას უნდა გაიაროს შესაბამისი სტანდარტული გადამზადების კურსები, იმისათვის რომ სრულად იქნენ ინფორმირებული მოვალეობების შესახებ. შესაძლებლობის ფარგლებში, საარჩევნო კომისიები უნდა მოიცავდეს განსაზღვრულ წარმომადგენლებით პროპორციას ქალებისა და ეროვნული უმცირესობების სახით.
- **რესურსები:** საარჩევნო ადმინისტრაციას უნდა გააჩნდეს გამჭვირვალე, საკმარისი და დამოუკიდებელი ბიუჯეტი; არჩევნების სათანადოდ ორგანიზების მიზნით იგი ასევე დროულად უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საკმარისი დროითა და აუცილებელი სასსრებითა და დოკუმენტაციით.

საარჩევნო ადმინისტრაციის სხვადასხვა ორგანოების ძირითადი საქმიანობები მოცემულია ცხრილში, იხილეთ ქვემოთ.

## საარჩევნო ადმინისტრაციის მონიტორინგი

საარჩ. ადმინისტრაციის იურისტიკა	ადმინისტრაციული ფუნქციები და აქტივობა
ცენტრალური საარჩევნო კომისია	<ul style="list-style-type: none"> <li>⊖ კანონის მიუქერძოებელი და სამართლიანი განხორციელება</li> <li>⊖ დამკვირვებლების არედიტაცია</li> <li>⊖ რეგიონალური/საოლქო საზღვრების დადგენა</li> <li>⊖ ადმინისტრაციული მარეგულირებელი ნორმების გამოცემა</li> <li>⊖ დავების გადაწყვეტა</li> <li>⊖ პარტიათა ქცევის კოდექსი</li> <li>⊖ მედიის ქცევის კოდექსი</li> <li>⊖ ამომრჩეველთა რეგისტრაციის მეთვალყურეობა</li> <li>⊖ პოლიტიკური პარტიების/კანდიდატების რეგისტრაცია</li> <li>⊖ კონტროლი საარჩევნო ბიუჯეტზე</li> <li>⊖ კონტროლი საარჩევნო მასალების გამოშვებაზე</li> <li>⊖ საარჩევნო მასალების დისტრიბუცია</li> <li>⊖ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა და ქვედა რგოლის კომისიათა კადრების გადამზადებაზე კონტროლი</li> <li>⊖ შედეგების შეჯამება, გავრცელება, გამოქვეყნება</li> <li>⊖ პოლიტიკური პარტიების/კანდიდატების საარჩევნო დანახარჯების მონიტორინგი</li> </ul>
რეგიონალური/საოლქო საარჩევნო კომისიები	<ul style="list-style-type: none"> <li>⊖ მარეგულირებელი ნორმებისა და კანონის სამართლიანად და მიუქერძოებლად განხორციელება</li> <li>⊖ დავების გადაწყვეტა</li> <li>⊖ პოლიტიკური პარტიების/კანდიდატების რეგისტრაცია</li> <li>⊖ ქცევის კოდექსთან შესაბამისობის მონიტორინგი</li> <li>⊖ ამომრჩეველთა რეგისტრაციაზე/ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების შეტანაზე კონტროლი</li> <li>⊖ ქვედა რგოლის საარჩევნო კომისიების დანიშნა/დამტკიცება</li> <li>⊖ ქვედა რგოლის საარჩევნო კომისიების გადამზადება/ მეთვალყურეობა გადამზადებაზე</li> <li>⊖ საარჩევნო მასალების დისტრიბუცია</li> <li>⊖ ქვედა რგოლის საარჩევნო კომისიების კონტროლი</li> <li>⊖ შედეგების შეჯამება</li> <li>⊖ შედეგების გამოცხადება</li> <li>⊖ საარჩევნო მასალების შეგროვება და შენახვა</li> </ul>
საარჩევნო უბნების კომისიები	<ul style="list-style-type: none"> <li>⊖ მარეგულირებელი ნორმებისა და კანონის სამართლიანად და მიუქერძოებლად განხორციელება</li> <li>⊖ საარჩევნო მასალების მიღება</li> <li>⊖ ხმის მიცემის კონტროლი</li> <li>⊖ ხმების დათვლა</li> <li>⊖ მასალებისა და შედეგების გაგზავნა</li> </ul>

ძირითადი კითხვები, რომლებიც ადგილობრივმა სადამკირვებლო ჯგუფებმა უნდა გაითვალისწინონ მოიცავს შემდეგს:

- საარჩევნო კომისიები ყველა მონაწილეს თანასწორად და მიუკერძოებლად უდგება თუ არა?
- საარჩევნო კომისიის რომელიმე გადაწყვეტილებამ ხომ არ წამოჭრა მიუკერძოებლობის პრინციპთან დაკავშირებული საკითხები?
- რამდენად შესწევთ საარჩევნო კომისიებს უნარი, იმოქმედონ თავისუფლად სახელმწიფო თანამდებობის პირებისაგან ან პოლიტიკური პარტიებისაგან თვითნებური და უკანონო ჩარევების გარეშე?
- არის თუ არა საკმარისი საარჩევნო კომისიების მიერ გაწული მოსამზადებელი საქმიანობა სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად?
- არის თუ არა საარჩევნო კომისიებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი გამჭვირვალე?
- რამდენად იცავენ საარჩევნო კომისიები კანონმდებლობის მოთხოვნებს?
- რამდენად არის შესაძლებელი, რომ საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებები დაექვემდებაროს სამართლიან და გონივრულ გასაჩივრებას?
- რამდენად არის დაცული კანონით დადგენილი დროის განრიგი საარჩევნო კომისიების საქმიანობისას?
- ხომ არ ჰქონდა ადგილი საარჩევნო კომისიებზე ზეწოლის ან დაშინების შემთხვევებს?
- რამდენად ნდობით სარგებლობენ საარჩევნო კომისიები მონაწილეების მხრიდან? თუ არა, რამდენად სამართლიანია კრიტიკა?
- არიან თუ არა საარჩევნო კომისიებში შესაბამისად წარმოდგენილი ეროვნული უმცირესობები და ქალები?

## 7

### პოლიტიკური პარტიებისა და კანოლებაზე რეგისტრაციის მონიტორინგი

- ა) პოლიტიკური პარტიების რეგისტრაცია . . . . . 71
- ბ) პოლიტიკურ კანოლებაზე რეგისტრაცია . . . . . 71
- გ) ძალაშია და მომვნელი უმცირესობების რეგისტრაცია . . . . . 73

- პოლიტიკურ პარტიათა და კანდიდატთა რეგისტრაციის პროცესზე დაკავირება იმ მიზნით, რომ შეფასდეს, თუ რამდენად უზრუნველყოფილი არიან ისინი არჩევნებში მონაწილეობის მიღების თანაბარი და გონივრული შესაძლებლებით;
- რეგისტრაციაზე უარის თქმასა და უარის თქმის გასაჩივრებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის ასლების მოპოვება;
- შეფასებული იქნეს სახოგადოების კონკრეტული ჯგუფი ხომ არ განიცდის დისკრიმინაციას რეგისტრაციის პროცესში.

კოპენპაგენის დოკუმენტის მე-7 პუნქტი უზრუნველყოფს მოქალაქეთა უფლებას, დაიკავონ პოლიტიკური თუ სახელმწიფო თანამდებობები, ინდივიდუალურად ან ორგორც პოლიტიკური პარტიებისა თუ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე ყველა პოლიტიკურ ძალასა და მოძრაობას აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე წარადგინოს კანდიდატები ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. კანონის თვითხებური ან დისკრიმინაციული სახით გამოყენება, რაც მიმართულია კონკრეტული პოლიტიკური ძალის განადგურებისაკენ, წინააღმდეგობაში მოდის ეუთო-ს წინაშე დემოკრატიულ არჩევნებთან დაკავშირებით ნაკისრ გალდებულებებთან.

## ა) პოლიტიკური პარტიების რეგისტრაცია

საარჩევნო კანონმდებლობა განსაზღვრავს, თუ როგორ და როდის შეიძლება პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების წარდგენა. ცალკეულმა კანონმა (მაგალითობი, კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ) შესაძლოა განსაზღვროს, თუ როგორ შექმნია ჯგუფს დარეგისტრირდეს პარტიად. ნებისმიერი კანონი პოლიტიკური პარტიების რეგისტრაციასთან დაკავშირებით უნდა იქნეს შესწავლითი და შეტანილი საარჩევნო დაგების ცხრილებში (იხ. მე-4 თავი). ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფმა უნდა შეაფასოს რამდენად დააკმაყოფილეს განმცხადებლებმა რეგისტრაციის კრუპერიუმები და რამდენად სამართლიანად და მიუკერძოებელდა იქნა ეს წესები გამოყენებული. რაც კველაზე მნიშვნელოვანია, ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფმა უნდა განსაზღვროს რამდენად დააკმაყოფილა რეგისტრაციის პროცესში საერთაშორისო სტანდარტები და გაერთიანების თავისუფლებასთან დაკავშირებით ნაკისრი გალდებულებები.

## ბ) პოლიტიკურ კანდიდატთა რეგისტრაცია

საარჩევნო კანონმდებლობა განსაზღვრავს პოლიტიკური პარტიების და კანდიდატების არჩევნებში რეგისტრაციის პროცედურებს. მაშასადამე, უნდა შეფასდეს რამდენად შეესაბამება საკანონმდებლო ბაზა ამ ნაწილში საერთაშორისო და შედა სტანდარტებს. დაუშვებელია, რეგისტრაციის კრიტერიუმები იყოს დისკრიმინაციული და მოთხოვდეს უამრავ პროცედურებს. პოლიტიკურ მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ გასაჩივრების უფლება რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში.

საარჩევნო პროცესის კვლებაზე კრიტიკულ ფაზაში ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფმა უნდა აღრიცხოს, თუ რომელი პარტიები და კანდიდატები დარჯისტრირდნენ და რომელ პარტიებსა და კანდიდატებს ეთქვათ უარი რეგისტრაციაზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმის შეფასებაზე, თუ რამდენად იყო დაკმაყოფილებული რეგისტრაციის კრიტერიუმები და რამდენად სამართლიანი და თანმიმდევრული იყო საარჩევნო კომისიის მხრიდან კანონის მოთხოვნების განხორციელება. კანონის მოთხოვნების არასათანადოდ განხორციელება მოიცავს ისეთი შემთხვევებს, როდესაც კანდიდატებს არა ეძლევათ ადგევაზე შეტყობინება ვადებთან და კანდიდატურის წამოყენებაზე მიმართვის პროცედურებთან დაკავშირებით, ან იმგვარ შემთხვევებს, როდესაც მოთხოვნები (როგორიცაა ხელმოწერების შეგროვება ან დეპოზიტის შეტანა) უსაფუძვლოდ გართულებული და დისტრიბუტორის შემთხვევების შეგროვება ან დეპოზიტის შეტანა)

დღილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმ პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს, რომელთაც უარი ეოჭვათ განცხადებებზე და იმ პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს, რომელთა განცხადები დაგმაყოფილდა კანონის დარღვევით. უნდა მოხდეს აღნიშნულიდან გამომდინარე ნებისმიერი დაგის აღრიცხვა და მონიტორინგი ზემდგომი საარჩევნო ორგანიზაცია თუ სასამართლოების წინაშე გასაჩივრების შემთხვევაში (როდესაც აღნიშნულს კანონი ითვალისწინებს). იმ პირებისათვის, რომლებიც აპირებენ კანდიდატად რეგისტრირებას, გონივრული შეზღუდვები შეიძლება მოიცავდეს შემდგებს: საცხოვრებელთან დაკავშირებულ მოთხოვნას, რომ პირი კონკრეტული დროის განმავლობაში ცხოვრობდეს ქვეყნაში, მინიმალური რაოდენობის ამომზრდების მხარდაჭერას, ან იმ ფაქტს, რომ პირმა გადააბიჯა საარჩევნო ასაკის ზედა ზღვარს.

ზოგიერთი სარეგისტრაციო პროცედურით, განსაკუთრებით კი ისეთ ქვეყნებში, სადაც წარმომადგენლები ნაწილობრივ ან მთლიანად ირჩევიან არაცხოტრალურ დონეზე, შესაძლოა, ცენტრალური საარჩევნო ორგანოების ნაცვლად ან ცენტრალურ საარჩევნო ორგანოებში რეგისტრაციასთან ერთად, მოითხოვებოდეს კანდიდატებისა და პარტიების რეგისტრაცია რეგიონალური ან საოლქო საარჩევნო ორგანოების მიერ. ასეთ შემთხვევებში, რეგიონალურმა მეთვალყურეებმა უნდა განახორციელონ მონიტორინგი და შეადგინონ ანგარიში პარტიებისა და კანდიდატების რეგისტრაციის შესახებ. ისინი უზრუნველყოფილ უნდა იქნენ განცხადებისა და აპელაციების პროცესის შესახებ ინფორმაციითა

და ცენტრალური ოფისისათვის ანგარიშის მომზადების საშუალებებით.

კანდიდატებისა და პოლიტიკური პარტიების რეგისტრაციის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპები:

- პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების წარდგენასთან დაკავშირებული პეტიციების განხილვისას დასწრების მცდელობა;
- იმ პეტიციების, რომელიც უკვე განხილულ იქნა, გადასინჯვის მცდელობა იმის დადგენის მიზნით, რომ აღნიშნული პეტიციები საარჩევნო ორგანოების მხრიდან დაექვემდებარა შემოწმების მსგავს საფეხურს;
- უნდა დადგინდეს, გამოიცა თუ არა ხელმოწერების კონტროლთან დაკავშირებული ოფიციალური სახელმძღვანელო პრინციპები და ინსტუქციები;
- უნდა დადგინდეს უარის თქმის საფუძვლები და შესწავლილ იქნეს, თუ რამდენად სამართლიანი იყო უარი, ასევე უნდა მოხდეს უარყოფილი პეტიციის შედარება სხვა კანდიდატის/პარტიის იმ პეტიციასთან, რომელიც დაკმაყოფილებულ იქნა;
- უნდა დადგინდეს საარჩევნო კომისიაში ხმა ხომ არ მისცა კანდიდატების/პარტიების მიღებასთან/უართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას. კომისიის წევრების მიერ ხმის მიცემის დეტალების დადგენის მიზნით, მოთხოვნილ უნდა იქნეს სხდომის თქმის ასლი;
- უნდა დადგინდეს, თუ როდის მოხდა მიღებული და უარყოფილი პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების შეტყობინება გადაწყვეტილების თაობაზე; და
- იმ შემთხვევაში, თუკი ადგილი ჰქონდა პეტიციაზე უარს, უნდა დადგინდეს პარტიაშ ან კანდიდატმა გაასაჩივრა თუ არა გადაწყვეტილება და თუ გაასაჩივრა, რომელი ორგანოს წინაშე მოხდა გასაჩივრება და რა შედეგი მოჰყვა აღნიშნულს.

## 8) მალებისა და ეროვნული უმცირესობების რეგისტრაცია

ადგილობრივია სადამკირვებლო ჯგუფი, შესაძლოა, მონიტორინგი განახორციელოს, თუ რამდენი ქალი და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი არის წამოყენებული პოლიტიკური პარტიების მხრიდან და რამდენი მათგანი დაარგენისტრირა საარჩევნო აღმინისტრაციაში. ეუთო-ს რეგიონის სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება დაიცვან ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები, რომელი სტანდარტებითაც გათვალისწინებულია ქალთა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებები მონაწილეობა მიიღონ თავიანთი ქვეყნის მართვა-გამგეობაში (იხ. 1-ლი თავი). ადგილობრივი სადამკირვებლო ჯგუფის მიერ, შესაძლოა, გამოქვეყნებულ იქნეს აღნიშნული პროცესის მონიტორინგის შედეგები, თუ რამდენი ქალი და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი იქნა წარდგენილი და რამდენმა გაიარა რეგისტრაცია. აგრეთვე, შესაძლოა, გამოქვეყნებულ იქნეს ანალიზი დისკრიმინაციული ფაქტების შესახებ, ამგვარი ფაქტებს არსებობის შემთხვევაში.

**8**

## საარჩევნო კამპანიის მონიტორინგი

ა. შეხვეძები პოლიტიკურ პარტიებთან და კანდიდატებთან. . . . .	76
ბ. შეხვეძები შეიძისთან . . . . .	77
გ. შეხვეძები საჯარო მოსალებებთან . . . . .	77
დ. კავაკინისთან დაკავშირებული ღონისძიებების მონიტორინგი . . . . .	78
ე. უსაფრთხოების სამსახურების ქმედებათა მონიტორინგი . . . . .	79
ვ. კავაკინის დანახარჯებისა და ზყაროების, ასევე შემოწირულოების მოცულობის მონიტორინგი. . . . .	80
ზ. სახელმწიფო ონარესების არამიზინებრივი გამოყენების მონიტორინგი . . . . .	83
თ. კოცელიძების პრეზენცია და არჩევებისას ძალადობრივი შემთხვევების მონიტორინგი . . . . .	84
ი. მონიტორინგი სხვა საკითხებთან დაკავშირებით . . . . .	86

- მოქანდაკის არჩევნების მონაწილეებთან რეგულარული შეხვედრები, რათა შემოწმდებს, იზღუდება თუ არა მათი გამოხატვის, გაერთიანებისა და შექრების თავისუფლება;
- განხილულ იქნას ნებისმიერი პრეტენზია შესაბამის ოფიციალურ პირებთან;
- მოხდეს კამპანიასთან დაკავშირებულ მასობრივ პოლიტიკურ შეგრებებზე დასწრება და, წამქენებლური გამოსვლების კონტროლის მიზნით, დისკუსიებისათვის თვალყურის დავნება;
- განხორციელდეს სახელმწიფო რესურსების არამიზნობრივად, ხელისუფლებაში მყოფი პარტიების სასარგებლოდ, გამოყენების შემთხვევათა კონტროლი;
- შემოწმდებს და შეფასდეს საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულ საქმიანობებში დაშინებისა, ძალადობისა და ჩარევის ნებისმიერი გამოვლინება;
- შეიქმნას სტრუქტურა, რაც დამკაირგებლებს საშუალებას მისცემს, განხორციელონ ანგარიშგება საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული ყველა საქმიანობისა და განსაკუთრებით, სპეციფიკური შემთხვევების შესახებ.

ძირითადი თავისუფლებები საარჩევნო კამპანიის დემოკრატიულობის მახასიათებელია, შესაბამისად, არჩევნების ყველა პოლიტიკური მონაწილე გაერთიანების თავისუფლებით უნდა სარგებლობდეს და შეეძლოს ყველა იმ მოსაზრების თამაშად გამოხატვა, რაც მის საარჩევნო კამპანიის უკავშირდება, ასევე დაუბრკოლებლად, ყოველგვარი დაშინების გარეშე საკუთარ ამომრჩეველთან შეხვედრა. მოქალაქეებს თავიანთი პოლიტიკური შეხედულებების ღიად გამოხატვის უფლება უნდა ჰქონდეთ. არანაკლებ მნიშვნელოვანი ელემენტია გამჭვირვალობა, რითაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა მონაწილის მიერ საარჩევნო კამპანიის ერთიანი წესებით სარგებლობა, რომელიც ყველაზე თანაბრად ვრცელდება და ღია, ინკლუზიური ფორმით ხორციელდება. ხშირად, მოღიანი საარჩევნო პროცესის ობიექტურად შეფასებას საარჩევნო კამპანიის დროს ყველა მონაწილის თანაბარი უფლებების სამართლიანი უზრუნველყოფის დონე განაპირობებს. ამომრჩევლებს, სულ ცოტა, ხელი უნდა მიუწვდებოდეთ არჩევნებში მონაწილი ყველა კანდიდატის შესახებ ზოგად ინფორმაციასა და მათი პოლიტიკური პლატფორმის შინაარსებ.

წინასაარჩევნო დღის მონიტორინგის მიზანია შეფასდეს, არის თუ არა უზრუნველყოფილი ყველა მონაწილის თანაბარი უფლებებით სარგებლობა და დადგინდებს, დაცულია თუ არა მოქალაქეთა გამოხატვის, შეკრების, გაერთიანებისა და გადაადგილების თავისუფლება. როგორც წესი, თავისუფლების ეს ფორმები ქვეყნის კონსტიტუციითა გამჭარებული და მათ არჩევნების პერიოდში საარჩევნო კანონი განსაკუთრებულად იცავს. აღნიშნულ უფლებებს ასევე ითვალისწინებს ეუთო-ს წინაშე ნაკისრი გალდებულებები და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები და მათი დაცვა ყოველთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს კანონმდებლობითა და პრაკტიკით.

წინასაარჩევნო დღის მონიტორინგი ცენტრალურ დონეზე სადამკვირვებლო კოორდინაციისა და ანალიზის ჯგუფის წევრთა, ხოლო რეგიონალურ დონეზე რეგიონალურ დამკვირვებლებთა მიერ უნდა ხორციელდებოდეს. რეგიონალურ დამკვირვებლებს, როგორც ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფის ინფორმატორებს, წინასაარჩევნო დღის მიმდინარეობის ამსახველი ყველა დეტალის შესახებ ამომწურავი და უტყუარი ინფორმაციით უზრუნველყოფა მოეთხოვბათ, რისთვისაც ისინი სათანადო ინფორმირებული უნდა იყონენ, გააჩნდეთ კარგი კავშირები და წინასაარჩევნო პერიოდის ანგარიშების სტრუქტურას იცნობდნენ.

წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკურ პარტიებთან, კანდიდატებთან, შესაბამის საარჩევნო და სახელისუფლებო პირებთან ინტენსიური შეხვედრებისა და საარჩევნო კამპანიის მასობრივ შეკრებებზე/შეხვედრებზე დასწრების გზით, რეგიონალურმა დამკვირვებლებმა საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულ მოვლენებს თვალყური უნდა ადგენონ. მათ ასევე შეუძლიათ, დაუკავშირდნენ უსაფრთხოების თანამშრომლებს, ადგილობრივ მედიას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, კანდიდატის/პარტიის მხარდამჭერებსა და საზოგადოების წარმომადგენლებს. ყოველკირული, განსაკუთრებულ შემთხვევათა ამსახველი და ყოველი მასობრივი პოლიტიკური შეკრების/შეხვედრის ამსახველი ანგარიშების მომზადება და ცენტრალურ ოფისში გადაგზავნა რეგიონალურ დამკვირვებლებს, ინფორმაციის შეჯერების გზით, ქვეყანაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის შესახებ საერთო სურათის შექმნის საშუალებას მისცემს.

დამკვირვებლები, შესაძლოა, უშუალოდ არ იყვნენ ანგარიშებში მოყვანილი ფაქტების თვითმხილვები, ამიტომ მათ უნდა გადამიტიწმონ პრეტენზიები და ისეთი ანგარიში მოამზადონ, რომელიც დაზუსტებულ ინფორმაციას დაემყარება. სისხლისსამართლებრივი შემთხვევისაგან განსხვავებით, სადაც ჩვენების გადამოწმება საფუძვლიანი გვჭის მიღმა მტკიცებულებას საჭიროებს, საარჩევნო დამკვირვებლებს, ინფორმაციის უტყუარობაში დასარწმუნებლად, ფაქტების, განსხვავებული და სანდო წყაროების მეშვეობით, გადამოწმება შეუძლიათ. დამკვირვებლებმა ყოველთვის უნდა მიუთიონ, არიან თუ არა საკუთარ ანგარიშებში მოვანილი ფაქტების თვითმხილვები, თუ მათ ინფორმაცია გადმოცემით მიიღეს. უკანასკნელის შემთხვევაში, საჭიროა ისინი ინფორმაციის წყაროს სანდობასა და უტყუარობაში დარწმუნდნენ.

## ა. შესველები პოლიტიკურ პარტიებთან და კანდიდატებთან

სადამკვირვებლო კოორდინაციისა და ანალიზის ჯგუფის წევრები და რეგიონალური დამკვირვებლები ძირითად პოლიტიკურ როგორც საპარლამენტო ასევე არასაპარლამენტო, მაგრამ აქტიური მხარდაჭერის ქონება, პარტიებს უნდა შეხვდნენ, რათა მათი საარჩევნო კამპანიის შესახებ ინფორმაცია მოიპოვონ და პარტიის ყველა პრობლემური საკითხი გაიზიარონ. პოლიტიკური პარტიის მიერ კონკრეტული პრეტენზის წამოყენების შემთხვევაში, რეგიონალურმა დამკვირ-

ვებლებმა ადნიშნული პრეტენზია სხვა წყაროების მეშვეობით უნდა გადაა-მოწმონ. იმ შემთხვევაში, თუკი პარტიამ საჩივრით მიმართა სასამართლოს ან საარჩევნო კომისიას, დამკვირვებლებმა საჩივრის წერილობითი ასლები უნდა მოიპოვონ და საჩივართა განხილვის პროცესის მონიტორინგი შესაბამისად გა-ნახორციელოდ. პოლიტიკურ პარტიებთან შეხვედრისას, დამკვირვებლებს უნდა ახსოვდეთ, რომ პარტიებსა და მათ მხარდამჭერებს, შესაძლოა, ამომრჩეველთა მხარდაჭერის მოპოვების საკუთარი გეგმა ჰქონდეთ. საპრეზიდენტო არჩევნე-ბისას სადამკვირვებლო კოორდინაციისა და ანალიზის ჯგუფი ყველა წამყვან კანდიდატს უნდა შეხვდეს. საპარლამენტო და ადგილობრივი არჩევნების დროს რეგიონალურ დამკვირვებლებს მოლიანი პოლიტიკური სპექტრის სხვადასხვა კანდიდატთან შეხვდრა მოეთხოვებათ.

## პ. შესხვადობი მედიასთან

სადამკვირვებლო კოორდინაციისა და ანალიზის ჯგუფს მედიასთან ურთიერ-თობა მე-9 თავში მოცემული აღწერილობის შესაბამისად მოეთხოვება. რეგიო-ნალური დამკვირვებლები მედიის წარმომადგენლებს ადგილობრივ დონეზე უნდა შეხვდენ, რათა სრული ინფორმაცია მოიპოვონ მედიის საკუთრების, სარეადაქციო ხაზის, მომხმარებლისა და მედიის წარმომადგენელთა მისამართით განხორციელებული აგრესიისა და შეზღუდვის შემთხვევათა შესახებ. ადგი-ლობრივ მედიასთან შეხვედრები ხელს შეუწყობს აგრეთვე სხვადასხვა განაცხა-დებების ჯვარედინ გადამოწმებას, ასევე არჩევნების კანდიდატებთან, საარჩევნო ადმინისტრაციასთან და საარჩევნო პროცესში ჩართულ სახელმწიფო სტრუქტუ-რებთან ჟურნალისტებისა და გამომცემლების დამოკიდებულების შეფასებას. ცენტრალური ოფისიდან განსაკუთრებული ნებართვის მიღების გარეშე რეგიო-ნალურ დამკვირვებლებს საარჩევნო პროცესის შესახებ მედიასთან ყველანაირი კომენტარის გაკვთება კერძალებათ.

## პ. შესხვადობი საჯარო მოხელეებთან

სადამკვირვებლო კოორდინაციისა და ანალიზის ჯგუფის წევრები რეგიო-ნალურ დამკვირვებლებთან ერთად საჯარო მოხელეებს უნდა შეხვდნენ, რათა სადამკვირვებლო პროგრამისათვის აუცილებელი ინფორმაცია მოიპოვონ. ყველა შეხვედრის მსგავსად, დამკვირვებლებმა საჯარო მოხელეთა დროის დაზოგვის მიზნით, კითხვები წინასწარ უნდა მოამზადონ.

საარჩევნო პერიოდში დამკვირვებლებმა სახელისუფლებო პირთა საქმიანობა-სთან დაკავშირებით შესაძლოა პრეტენზიები და საჩივრები მიიღონ. მაგალითად, შესაძლებელია გაკეთდეს პრეტენზია იმის თაობაზე, რომ ესა თუ ის ოფი-ციალური პირი უკანონოდ ცდილობდა, ხელი შეეშალა ამა თუ იმ კანდიდატისა, თუ პარტიის საარჩევნო კამპანიისათვის, ან აქტიურად ლობირებდა კონკრეტულ

კანდიდატს ან პარტიას. მსგავსი პრეტენზიის უტყუარობის დაღვენა რთულია, მაგრამ ისინი სერიოზულ განაცხადებად აღიქმება და ზემომწევნით გამოკვლევას საჭიროებს, ამასთანავე მოიაზრება, როგორც არჩევნების შესახებ საერთაშორისო ვალდებულებებისა და ადგილობრივი კანონმდებლობის მკაცრი დაწლევება და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაზე მიუთითებს.

ოფიციალური პრეტენზიებით საჯარო მოხელეთა ქმედებების შესახლოა ასევე მიმართონ: აროგურორს, პოლიციას, სასამართლოსა ან საარჩევნო კომისიას. მსგავს სიტუაციებში დამკირვებლებმა თვალიური უნდა ადგინონ განხილვის პროცესს და შესაბამისი ანგარიშები მოამზადონ. არსებობს შემთხვევები, როდესაც თვითმმართველები ინფორმაციის გამხელისაგან თავს იკავებენ, ხოლო ამა თუ იმ საჯარო მოხელის ქმედებების ან უმოქმედობის მსხვერპლთ სამართალისა და დარღვეული უფლებების აღდგენის არ სჯერათ. მართალია, დამკირვებლებს, დაზარებულობისა და უფლებების აღდგენის არ სჯერათ. მართალია, დამკირვებლებს, დაზარებულობისა და უფლებების აღდგენის არ სჯერათ. მათ არ შეუძლიათ იძულებით მიაღწიონ მიზანს. მსგავს შემთხვევებში მნიშვნელოვანია, რომ დამკირვებლებმა მაქსიმალურად გადაამოწმონ პრეტენზიები და ზუსტად შეარჩიონ დრო იმისთვის, რათა ბრალდებულ მხარეს თვითგამოხატვის საშუალება მიეცეს. ბრალდებულ მხარესთან კონფრონტაციის ნებისმიერი გადაწყვეტილება ცენტრალურ თვისთან შეთანხმებით უნდა მოხდეს. ბრალდებულ მხარესთან შეხვედრისას დამკირვებლებმა მუდმივად უნდა იზრუნონ ინფორმაციის წყაროების გასაიდუმლოებასა და თავის დაცვაზე.

## დ. კამპანიასთან დაკავშირებული ლონისმიერების მონიტორინგი

ცენტრალურ დონეზე პარტიებისა და კანდიდატების საქმიანობათა განრიგი სა-დამკირვებლო კოორდინაციისა და ანალიზის ჯგუფმა უნდა აწარმოოს, ხოლო ქვედა დონეზე – რეგიონალურმა დამკირვებლებმა, რომლებსაც ცენტრალურ თვისთვის აღნიშნულ განრიგთა ასლების გადაგზავნა უვალებათ. ეს საშუალებას მისცემს დამკირვებლებს, მთამზადონ ანგარიშები თითოეული კანდიდატის მიერ ჩატარებულ შეკრებებსა და შეხვედრებზე, რომლებიც საარჩევნო კამპანიას უკავშირდება და დახმარება გაუწიონ სადამკირვებლო კოორდინაციისა და ანალიზის ჯგუფსა და რეგიონალურ დამკირვებლებს საკუთარი საქმიანობის დაგეგმვაში. დამკირვებლებმა უვალი იმ დონისმიერების ამსახველი ანგარიში უნდა მოამზადონ, რომელსაც ესწრებოდნენ. საჭიროა, შემუშავდეს სტანდარტული ფორმა, რომელიც გამოსაყენებლად მოსახერხებელი იქნება და შემდეგ ინფორმაციას გააერთიანებს:

- მასობრივი პოლიტიკური შეკრების/შეხვედრის/ლონისმიერის ორგანიზატორი პარტიის/კანდიდატის სახელწოდება/სახელი;
- დონისმიერის დრო (დასაწყისი და დასასრული), თარიღი და ადგილი;
- სპეციალისტის სახელები და თანამდებობები, მაგ. პარტიის ლიდერი, სიაში მყოფი კანდიდატი (ანუ არის თუ არა სიაში ეს პიროვნება) და ა.შ.

- ➔ ღონისძიების დამსწრეთა საგარაულო ოდენობა;
- ➔ იყო თუ არა შეხვედრა/ღონისძიება ჩაშლილი და დადებითი პასუხის შემთხვევაში, ვის მიერ;
- ➔ იყო თუ არა გამოყენებული ზეწოლა დასწრების თვალსაზრისით;
- ➔ ადგილი დამკვირვებლისათვის განხილული თემებისა და ნებისმიერი შენიშვნის ჩასანიშნად; და
- ➔ გამოყენებული იყო თუ არა სპიკერების მიერ სხვა პარტიების/კანდიდატების/მხარდამჭერების მიმართ ძალადობის გამაღვივებელი გამონათქვამები.

იმ შემთხვევაში, თუკი დამკვირვებელთა აზრით რიცორიქა, რომელიც საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული ღონისძიების მსვლელობისას გამოიყენება, წამქუნებლებისა და კამპანიასთან დაკავშირებულ ძალადობას აღვივებს, დამკვირვებლები ვალდებული არიან, სპიკერის მონოლოგი სიტყვა-სიტყვით ჩაიწერონ. თუკი სპიკერი საკუთარი საუბრით ძალადობას აღვივებს, რეგიონალური დამკვირვებელი ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ცენტრალურ მფისს.

დამკვირვებლებს ასევე მოეთხოვებათ საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული შეხვედრების, მასობრივი შეკრებებისა და სხვა ღონისძიებების უკანონოდ მოწყობის შესახებ მოხსენება. ხელისუფლების მიერ ამა თუ იმ ღონისძიების ჩატარების აქრძალვის შემთხვევაში, დამკვირვებლებმა აქრძალვის მიზეზები უნდა დადგინონ და მათი საფუძვლიანობა შეაფასონ.

## ე. უსაფრთხოების სამსახურების მმართვათა მონიტორინგი

საარჩევნო კამპანიისა და არჩევნების პროცესის მსვლელობისას უსაფრთხოების სამსახურებს როგორც კანდიდატთა და ამომრჩეველთა დაშინების შემთხვევეთა აღკვეთა, ასევე მიუკარძოებელი მოქმედება ევალებათ. დაშინებამ, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა იქონიოს კანდიდატებსა და ამომრჩევლებზე, როდესაც იგი უსაფრთხოების სამსახურების შერიდან ხორციელდება. მაშინ როდესაც დაშინების შემთხვევათა აღნუსხვა ზოგადად გამნებელებულია, დაშინების ის ფართოდ გაგრცელებული ფორმები, რომელებსაც განსაკუთრებით უსაფრთხოების სამსახურები იყენებენ, აშკარად ვლინდება.

დამკვირვებლებმა სიზუსტით უნდა დააფიქსირონ და შეაფასონ დაპატიმრებისა თუ დაკავების ყველა ის შემთხვევა, რომელიც არჩევნებს უკავშირდება. არჩევნების მსვლელობისას პოლიტიკურ აქტივისტთა დაკავება-დაპატიმრების პრეცედენტები სერიოზულ ქმედებად მოიაზრება და, შესაძლოა, მანიშნებელი იყოს იმისა, რომ საარჩევნო პროცესი არ მოდის შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან.

### 8. კამპანიის დანახარჯებისა და ფყაროვანის ასევე შემოწირულობების მოცულობის მონიტორინგი

საკითხები, რომლებიც საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულ ფინანსებსა და დანახარჯებს უკავშირდება მზარდ ინტერესს აღძრავს ეუთო-ს რეგიონში და მის გარეთ. მოქალაქეებს აინტერესებთ, თუ ვინ უზრუნველყოფს ფინანსური მხარდაჭერით მათ პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს, რა მასშტაბებისაა აღნიშნული მხარდაჭერა და როგორ იხარჯება თანხები. შესაბამისად, ადგილობრივი სადამკირვებლო ჯგუფები სულ უფრო და უფრო აქტიურად მიუთოთებენ იმის აუცილებლობაზე, რომ დეტალურად უნდა მოხდეს საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული დანახარჯებისა და ფულადი შემოწირულობების წყაროთა შესწავლა. აღნიშნულთან დაკავშირებით მომზადებული ანგარიშები შესაძლოა გამოყენებულ იქნას იმისათვის, რათა გამჭვირვალობისა და ანგარიშების გაუმჯობესების მიზნით, კანონში ცვლილებების შეტანის პროცესი დაჩქარდეს.

საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული ფინანსებისა და დანახარჯების საკითხთა მონიტორინგი, როგორ წესი, სირთულეს წარმოადგენს. მაშინაც კი, როდესაც საარჩევნო კანონმდებლობით სახელმწიფო დაწესებულებები ან საარჩევნო კომისია ვალდებულია, მინოტორინგი გაუწიოს საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულ ფულად შემოწირულობებსა და დანახარჯებს, აღნიშნული სტრუქტურებისათვის ეს პროცესი რთულად მოიაზრება. კანდიდატების, პარტიებისა და მხარდაჭერთა მთლიანი დანახარჯები (კ.წ. მესამე მხარის დანახარჯი) ყოველთვის არ აღინუსება და კანდიდატთა თუ პარტიათა მისამართით განხორციელებული ფულადი შემოწირულობების წყაროების დებალური შემოწმება, სახელმწიფო დაწესებულებების, ან საზოგადოების მიერ/მხრიდან, უსიამოვნო პროცესად აღიქმება.

ადგილობრივმა სადამკირვებლო ჯგუფებმა უნდა გაიაზრონ ის სირთულეები და პოტენციური საფრთხეეც კი, რაც საარჩევნო პროცესის ამ ასკექტის მონიტორინგისას წარმოშვება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მათ, სახელმწიფო დაწესებულებებისაგან განსხვავებით, საგამომძიებლო უფლებები არ გააჩნიათ.

საარჩევნო კანონმდებლობით პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს შესაძლებელია საკუთარ დანახარჯებზე ანგარიშებისა ეკისრებოდეთ. მსგავს შემსვევაში, როგორც წესი, შემოწირულობის წყაროს (ან დანახარჯის საგანი) შესახებ ინფორმაციისა და ოპერაციის თარიღისა და თანხის გაცხადება მოითხოვება. პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს შესაძლოა ასევე მოეთხოვოთ საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით ცალკე საბანკო ანგარიშის გამოყენება. თუკი საარჩევნო კანონმდებლობა აღნიშნულ მოთხოვნებს ითვალისწინებს, დამკირვებლებმა ამ კანონმდებლობის დაცვის მონიტორინგი უნდა განახორციელონ. მათ ასევე მოეთხოვებათ იმის დადგენა, არის თუ არა ფინანსური ანგარიშები სრული, ზუსტი და გაწერილ ვადებში შესრულებული, ხომ არ ხორციელდება პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების

დისკრიმინაცია და რა დონეზე ხდება კანონის დროულად გამოყენება.

იმ შემთხვევაში, თუკი კამპანიასთან დაკავშირებულ დანახარჯებზე სამართლებრივი შეზღუდვებია დაწესებული, დამკირვებლებმა მსგავსი შეზღუდვების გონივრულობა უნდა დაადგინოს და განსაზღვროს, რამდენად საკმარისია ის დანახარჯები, რომლებიც კანდიდატებისა და პარტიებისათვისაა ნებადართული, მათი უფექტიანი საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად. დამკვირვებლებმა უნდა მოიძიოს პარტიებისა და კანდიდატების მოსაზრებები ამ საკითხებთან დაკავშირებით.

როდესაც საარჩევნო კანონმდებლობა პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს საკუთარ დანახარჯებზე ანგარიშებას არ აკისრებს, ადგილობრივ დამკვირვებლებს შეუძლიათ ამ დანახარჯების საჯარო ობიექტის მონიტორინგი, როგორიცაა ტელევიზია, რადიო, პრესა, სარეკლამო ბილბორდები, პარტიის პოსტერები და მასობრივი ლიტერატურა და ეს ყოველივე, მათი ღირებულების დადგენის მიზნით. შესაძლებელია ასევე დადგინდეს საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული დონისძიებების, განსაკუთრებით მასშტაბური საჯარო შეკრებების, ღირებულება.

გაცილებით მარტივი და უფექტიანია ფასიანი რეკლამის მონიტორინგი. რეკლამის ხანგრძლივობა და გაშვების დრო ან პრესაში მისი განთავსების ადგილი და მოცულობა იზომება და ფასებიც შესაბამისად დგინდება (იხ. მე-9 თავი). მსგავსი კალკულაციები პარტიის ან კანდიდატის დანახარჯების საკრთო დონის გამოსათვლელად შეიძლება იქნეს გამოყენებული. პოსტერებზე და პარტიის შესახებ სხვა მასალებზე დანახარჯების მონიტორინგი შედარებით რთულია, ვინაიდან ასეთ დროს ინფორმაციის ერთადერთ, ლოგიკურად სანდო წყაროს ის გამომცემელი წარმოადგენს, რომელმაც მოახდინა აღნიშნული მასალების დაბეჭდვა. მოცემულ შემთხვევაში, ინფორმაციის მიღება, პირველ რიგში, პარტიის ან კანდიდატისგან არის საჭირო. გამომდინარე იქნედან, რომ საარჩევნო კანონმდებლობა ხშირად ნებისმიერ ნაბეჭდში პოლიტიკური პარტიის სახელწოდების ან კანდიდატის სახელის, ასევე გამომცემლის დასახელების მითითებას მოითხოვს, ეს ადგილობრივ დამკვირვებელს საშუალებას აძლევს, ნაბეჭდის ტირაჟისა და ღირებულების შესახებ ინფორმაცია მიიღოს. იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნული ინფორმაცია მიუწვდომელია, ერთადერთ გემოსავალს ხელთარსებული პოსტერების დათვლა და დაბეჭდილი მასალის ხარისხის საფუძველზე, ღირებულების დადგენა წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროცესი ხანგრძლივ დროს უკავშირდება და არც თუ ისე ამომწურავია, დანახარჯების მაჩვენებლების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას მაინც ქმნის.

## ადგილობრივი ორგანიზაციები და მათი მიზანის უზრუნველყოფა

### საარჩევნო კამანის ფინანსების იპოვები

1999 წლის ნოემბერში, რუმინეთში, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ, პოლიტიკური პარტიების მიერ საარჩევნო კამანისათვან დაკავშირებული ფონდების წყაროებსა და გამოყენებასთან მიმართებით, საზოგადოების უნდობლობის საგანგაშო მაჩვენებლები გამოავლინა. აღნიშნული პრობლემის საჯაროდ შესწავლისა და განხილვის მიზნით, ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფმა, სახელწოდებით, ასოციაცია დემოკრატიისათვის (PDA), ჩამოაყალიბა ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც 2000 წლის ადგილობრივი არჩევნების დროს აღნიშნული პრობლემის შესწავლა დაევალა.

ასოციაციის წარმომადგენლებმა გამოკითხეს თითოეული პოლიტიკური პარტია და მათი სარეკლამო აგენტები, რათა შეეგროვებინათ ინფორმაცია შემოწირულობების წყაროების, დანახარჯების ტიპებისა და თანხების შესახებ. მათ გამოოვალეს მედიის სხვადასხვა საშუალებებში გასული რეკლამის დრო და მოცულობა და გამოიყავანეს ხარჯები. ზოგიერთი პარტია მეტი ენთუზიაზით თანამშრომლობდა ჯგუფთან, ვიდრე სხვა პარტიები, განსაკუთრებით შემოწირულობების წყაროებთან დაკავშირებით. მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ასოციაციამ მოახერხა კამანისათვან დაკავშირებული დანახარჯების იმ ნაწილების განსაზღვრა, რომლებიც არასწორად იმართებოდა. აღნიშნულის შესახებ გამოქვეყნებული ანგარიშის საფუძველზე, ასოციაციამ ლობირება გასწია საარჩევნო კამანის ფინანსებთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში ცვილელების შეტანას, რაც მიზნად ისახავდა გამჭვირვალობისა და ანგარიშების გაუმჯობესებას.

საარჩევნო კამანისათვან დაკავშირებული შემოწირულობების წყაროთა მონიტორინგი კიდევ უფრო რთულია, ვინაიდან ინფორმაციის კველაზე საწილა წყაროდ თავად პოლიტიკური პარტიები და კანდიდატები გვევლინებიან. როდესაც საარჩევნო კანონმდებლობა პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს შემოწირულობათა წყაროების სააშკარაოზე გამოტანას არ ავალდებულებს, ნაკლებსა-გარაუდოა მათი მხრიდან ამ ინფორმაციის ნებაყოფლობით გაცხადება. მსგავს შემოხვევებში მოპოვებული, გადაუმოწმებელი ინფორმაცია შესაძლებელია სპე-კულირებული იყოს. მიუხედავად ამისა, ასოციაციის გამოცდილება ცხადყოფს, რომ პარტიებთან და კანდიდატებთან დაკავშირება, შემოწირულობათა წყაროების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღების მიზნით, უშედეგო არ არის.

৬. সাক্ষৰণমণিৰ রহস্যস্থানীয় ১৮০০৪০৩০১০০০  
গীতগুলোৱাৰ মনোভূমিতে<sup>13</sup>

ზოგიერთ ქვეყანაში საარჩევნო კანონმდებლობა პოლიტიკურ კანდიდატებს სახ-  
ელმწიფო რესურსების გამოყენების საშუალებას აძლევს, რაც გულისხმობს  
სახელმწიფო სექსიდიების, კონკრეტული სახელმწიფო რესურსების გამოყენება-  
სა და საჯარო შეხვედრების მოსაწყობად მთავრობის კუთხით შენობებისა და  
მედიის საშუალებების ხელმისაწვდომობას. აღნიშნული რესურსები არჩევნების  
კანდიდატებს შესაძლოა თანაბრად გადაუნაწილდეთ. მოცემულ შემთხვევაში  
დამკირვებლებს ევალებათ შეამოწმონ, არის ოუ არა რესურსები თანაბრად  
ხელმისაწვდომი პარტიებისა და კანდიდატებისათვის. რესურსებით უზრუნვე-  
ლყოფა შესაძლებლია კონკრეტული კრიტერიუმების საფუძველზე განხორციელ-  
დეს, მხგავს შემთხვევაში დამკირვებლებმა უნდა შეაფისონ:



სახელისუფლებო პარტიის კერძადებათ სახელმწიფო რესურსების ოგოორც ადამიანურის, ისე მატერიალურის, ბოროტად გამოყენება. დემოკრატიის პირობებში მიღებულ წესად ითვლება ის, რომ ხელისუფლების საკუთრებით ქვეყნის უფლება მოსახლე თანაბარი უფლებით სარგებლობდეს. შესაბამისად, სამთავრობო მანქანები, საოფიციურო როტო და ტელეკომუნიკაციის საშუალებები პარტიული მიზნებისათვის არ უნდა იქნეს გამოყენებული, თუკი სხვა კანდიდატებსაც მსგავსი პრივილეგიები არ მიენიჭებათ. უფრო მეტიც, არჩევნების ადმინისტრირებაში უშუალოდ მონაწილე თანამდებობის პირებს (მაგ. საარჩევნო კომისიის წევრები, საარჩევნო უბნებში მომუშავე პირები, მოსამართლეები და უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები) მიუკერძობობის შენარჩუნების განსაკუთრებული გალდებულება აკისრიათ. სხვა საჯარო მოხელეებმა, რომლებიც არჩევნების ადმინისტრირებაში არ არიან უშუალოდ ჩართულები, არ უნდა გამოიყენონ საკუთარი ძალაუფლება ან გავლენა და ჩაერიონ საარჩევნო პროცესის მსგავსობაში.

საარჩევნო პრივილეგიის მოსაპოვებლად პატრონაჟის, საზოგადოებრივი სამუშაოებისა და შესაბამისი პროგრამების გამოყენება მთავრობის არასწორი საქმი-

13 შრი ლანგაში მოქმედმა ორგანიზაციამ, სახელმწიფოდათ – ადამიანითა უფლებათა ინსტიტუტი, განახორციელდა 2001 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას მმართველი პარტიების მიერ სახელმწიფო რესურსების არამისამართებელი გამოყენების მინისტრინგი, რომელიც პროგრესის – „სახელმწიფო საკუთრებული დაცვის პროგრამა“ – ფარგლებში განხორციელდა. ინსტიტუტის დასკრინი ევროკავშირის სადაც კითხვები მისამა არჩევნების შესახებ საკუთარ ანგარიშში დამტკიცა. ანგარიშში ანგარიშში სელექციას აღდომა ავტორულს:

[http://www.europa.eu.int/comm/external\\_relations/sri\\_lanka/election\\_report/index.htm](http://www.europa.eu.int/comm/external_relations/sri_lanka/election_report/index.htm)

ანობის კიდევ ერთი მაჩვენებელია. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი პროგრამების განხორციელებისას მიღებული შედეგების იდენტიფიცირება და შეფასება სირთულეს წარმოადგენს, საჭიროა ყურადღება მიექცეს იმას, თუ ვის სახელს უკავშირდება მსგავსი პროგრამების შედეგად მიღებული სარგებელი, პოლიტიკურ პარტიას ან კანდიდატს, თუ მთავრობას. შესაძლებელია ასევე დოკუმენტების საფუძველზე იმის განსაზღვრა, ეს პროგრამები ხომ არ დაფინანსდა ან დაიწყო განხორციელება უშუალოდ არჩევნების წინ.

ზოგიერთ ქვეყანაში მმართველი პარტიები და კანდიდატები, ეროვნულ ან ქვეეროვნულ დონეზე, სახელმწიფო სახრების საჯუთარი ინტერესებისთვის გამოყენებაში არიან შემნებულნი. მინისტრთა და სხვა ოფიციალური პირთა ქვევის კოდექსისა და სახელმძღვანელო პრინციპების არსებობისას დამკვირვებლებს მათი დაცვის კონტროლი მოეთხოვებათ. მსგავსი დოკუმენტების არარსებობის შემთხვევაში დამკვირვებლებმა უნდა გაიარონ მომზადება და ფლობდნენ ინფორმაციას საარჩევნო პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო ხარჯების გამოყენებისა და კანონიერების შესახებ.

სახელმწიფო რესურსების გამოყენების მონიტორინგი განსაკუთრებულ სიფრთხილეს საჭიროებს. დამკვირვებლებმა რესურსების ბოროტად გამოყენების ყველა გადამოწმებული შემთხვევა სიფრთხილით, დეტალურად და ზუსტი ფორმით უნდა აღნუსხონ. შესაძლებელია ასეთ ბოროტად გამოყენებულ რესურსთა გალერეაციაც.

განსახილებელ პრობლემას წარმოადგენს ასევე ზეწოლა სამხედრო პერონალსა და საჯარო მოხელეებზე მათ მიერ ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის ან კანდიდატისათვის სმის მიცემის მიზნით, რაც, როგორც წესი, აღნიშნულ პირთა ხელმძღვანელობიდან მომდინარეობს. მსგავსი შემთხვევები მოელ რიგ ქვეყნებში იქნა დაფიქსირებული, რაც ადამიანის უფლებათა დარღვევაზე მიანიშნებს. დეტალურ გამოძიებას საჭიროებს ისეთი შემთხვევები, როგორიცაა პრეტენზიების წამოყენება სამუშაო ადგილზე უკანონო საარჩევნო კამანის წარმოების შესახებ, ზეწოლა და დაშინება, პოლიტიკური ორიენტაციის სამსახურთან დაკავშირება და „ხმის მოსყიდვა“ უფასო პროდუქციითა და მომსახურებით (განურჩევლად იმისა, სახელმწიფო ფონდებიდან ფინანსდება თუ არა) უზრუნველყოფის გზით.

## თ. პოლიტიკური პარტიების და პარტეიების მონიტორინგი

არჩევნები კონკურენტი პოლიტიკური გაერთიანებებისათვის ძალადობის დაგმობის გზით პოლიტიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლის შესაძლებლობაა, თუმცა ძალადობის ფაქტებს, სამწუხაოროდ, ადგილი რიგ შემთხვევებში აქვს. ასეთ დროს კონფლიქტის მართვისა და მოგვარების პასუხისმგებლობა ხელისუფლების შესაბამის წარმომადგენლებს აკისრიათ. ადგილობრივმა დამკვირვებლებმა ეს მჭიდროდ უნდა აკონტროლონ.

ადგილობრივ სადამგირვებლო ჯგუფებს საარჩევნო ძალადობის აღკვეთის პროცესში პოზიტიური როლის შესრულებაც შეუძლიათ. წარმატებულ იდეას, რომელიც მათ კონფლიქტური სიტუაციების აღკვეთის მიზნით შეიმუშავეს, პოლიტიკური პარტიათა/კანდიდატთა შეკრების ორგანიზება წარმოადგენს, რათა მათ შორის მიღწეულ იქნეს შეთანხმება ქცევის იმ კოდექსთან დაკავშირებით, რომელიც საარჩევნო პერიოდში მოქცევას უდევს საფუძვლად. მსგავსი კოდექსების აღსრულების ნაკლები ალბათობის მიუხედავად, მათი დაცვის მონიტორინგი და გადამოწმებული დარღვევების საჯაროდ განხილვა შესაძლებელია. საბეჭისეუროდ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობა ეუთო-ს რეგიონისათვის ნაკლებად არის დამახასიათებელი.

## ჩერნოგორიას ადგილობრივი დამკვირვებლები პოლიტიკურ პარტიათა შორის ძალის კოდექსის შემთხვევაში

ჩერნოგორიაში, 2001 წლის ადგილობრივი არჩევნების წინამოსამზადებელ პერიოდში არაერთი კომენტატორი თუ მოქალაქე საარჩევნო კამპანიის ძალადობაში გადაზრდის შესაძლებლობის გამო სულ უფრო და უფრო მეტ შეშვითებას გამოხატავდა. კონფლიქტის წარმოქმის თავიდან ასაცილებლად ადგილობრივი სადამკირვებლო ჯგუფის, მოქალაქეები დემოკრატიული გარდაქმნისათვის (Citizens for Democratic Transition, CDT), წევრებმა ჩერნოგორიეს კველა პოლიტიკური პარტია მოიწვიეს, რათა განხილათ ძალადობის თავიდან აცილების შესაძლო გზები.

ჯგუფის წინადადებით, პარტიებს სელი უნდა მოეწერათ ქცევის კოდექსზე, რომელიც კარგი პრატიკის მონახას წარმოადგენდა და ითვალისწინებდა გამოთქმების ან იმ სხვა საშუალებების გამოყენებისათვის თავის არიდებას, რასაც ძალადობის ან სიძულევილის გაღვივება შეეძლო. გარეგეული დისკუსიის შემდეგ, ყველა პარტია, ერთის გამოკლებით ხელმოწერას დათანხმდა. ქცევის ეს კოდექსი ამავდროულად განსაზღვრავდა იმ კრიტერიუმებს, რომელი კრიტერიუმებითაც საარჩევნო დამკირვებლებს კოდექსის დაცვის მონიტორინგი შეეძლოთ. კოდექსის დარღვევის რამდენიმე ფაქტის დაფიქსირებისა და ჯგუფის მიერ მათი საჯაროდ გაცხადების მიუხედავად, ძალადობას ადგილი არ ჰქონია.

არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობის მონიტორინგის მეთოდოლოგია საარჩევნო დებატების მონიტორინგის მეთოდოლოგიის იდენტურია. რეგიონალურმა დამკირვებლებმა ან სადამკირვებლო კოორდინაციისა და ანალიზის ჯგუფის წევრებმა ძალადობის შემჩნევის შემთხვევაში უნდა შეაგსონ „კრიტიკული შემთხვევის ფორმა“, რომელშიც მითითებულია:

- შემოხვევის ადგილი, საარჩევნო თუ აღმინისტრაციული უბნის მითითებით;
  - მსხვერპლი (მსხვერპლები);
  - დამნაშავე(ები) (თუქი ცნობილია);
  - შემოხვევის თარიღი;
  - შემოხვევის ხასიათი, თვითმხილველთა და პოლიციისა ანგარიშების ჩათვლით;
  - მიმდინარეობს თუ არა გამოძიება პოლიციის მხრიდან? და
  - შემოხვევის კლასიფიკაცია.

დამკვირვებლებს ინფორმაციის შეგროვების პროცესში მიუკერძოებლად მოქმედება მოეთხოვებაო, ასევე გასაუბრება მაქსიმალურად ბევრ თვითმხილველთან და, საჭიროების შემთხვევაში, პოლიციასთანაც.

არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობის ხასიათისა და სიხშირის ანალიზისა, შემთხვევის ქლასიფიკაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. აღნიშნულის განხორციელების ერთი გზა სერიოზულ და ნაკლებად მძიმე შემთხვევათა იდენტურიცირებაა. სერიოზულ შემთხვევათა კატეგორიაში შედის: მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა, გაუპატიურება, გაუპატიურების მცდელობა, სხეულის მძიმე დაზიანება, მასობრივი არეულობა, ხანძრის გაჩენა, ქურდობა და თავდასხება. ნაკლებად მძიმე შემთხვევათა ქვეშ მოიაზრება: მუქარა, საჯუთრების დაზიანება და წაქეზება<sup>14</sup>. დამკვირვებლებს მსგავსი შემთხვევების კონტროლი ევალებათ. ისინი უნდა დარწმუნდნენ, რომ დამნაშავეები კანონის წინაშე წარდგებიან, მაგრამ არ უნდა ხაერიონ ოფიციალურ გამოყენებაში.

არჩევნების პერიოდში დანაშაულის ფართოდ გავრცელებამ, შესაძლოა, ადგილობრივი სადამკირვებლო ჯგუფის მიერ არჩევნების შესახებ ძალზედ ნებარიური დასკვნის მომზადება განაპირობოს. აღნიშვნულის გათვალისწინებით, საჭიროა კველა შემთხვევის გარკვევით დოკუმენტირება და შემოწმება. გარდა ამისა, სპეციალურად განცალკევდეს საარჩევნო/პოლიტიკურ მფარველობასთან კავშირში მყოფი და არმოში კრიმინალური და სხვა არაპარნობრივი საქმიანობის მიმართ.

Digitized by srujanika@gmail.com

მიუხედავად იმისა, რომ დამკირვებელთა უურადღება არჩევნების პროცესზეა ფოკუსირებული და არა პოლიტიკურ საკითხებზე, ამგვარი ქმედება შევლა შემთხვევაში აუცილებლობას არ წარმოადგინს.

14 අඝිත්සුවයි මැතිවෙළඳගීම් සේකාරු දාමාච්ඡිටි නොරුම්පාලිසාත්වීස මු. ජ්‍රි ලාංජිල් සාර්ථකීය දාලාංගම්බ මෙන්ඩ්රින්ගිස් පූර්විත (The Centre for Monitoring Election Violence (CMEV)), ශ්‍රී ලංකාව යි. <http://www.cnpalanka.org>

ზოგიერთმა ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფმა, შესაძლოა, კონცენტრირება, არატექნიკური ფორმით, არჩევნების პოლიტიკური ასპექტების დაკვირვებაზე მოახდინოს. მაგალითად, მიზანშეწონილად იქნეს მიწნეული ისეთ პოლიტიკურ საკითხებზე მონიტორინგი, როგორიცაა:

- საარჩევნო კამპანია საკითხებზე არის ორიენტირებული, თუ პიროვნულზე;
- საარჩევნო კამპანიის დროს რომელმა საკითხებმა დაიმსახურა მეტი ყურადღება;
- რა დონეზე იყვნენ კანდიდატები და პარტიები ნებატიური კამპანიის წარმოებაში ჩართული;
- კანდიდატების საარჩევნო პროგრამაში რა ადგილი ეჭირა ქალებთან, უმცირესობებთან, ინვალიდებთან და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან დაკავშირებული საჭირბოროტო საკითხების განხილვას;
- ითამაშა თუ არა რელიგიასთან დაკავშირებულმა საკითხებმა გარკვეული როლი საარჩევნო კამპანიის დროს;
- პოსტ-კონფლიქტურ საზოგადოებაში არჩევნების პროცესში ქვეყანა გააერთიანა თუ მის დანაწევრებას შეუწყო ხელი;
- შეიმჩნეოდა თუ არა რეგიონალური კამპანიის დროს შესამჩნევი განსხვავებები.

ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფებმა პროცესზე კონცენტრირების მიუხედავად, აუცილებლად უნდა გააითვალიშონ კამპანიასთან დაკავშირებული პოლიტიკური გარემო და არაერთი საკითხი, რაც კამპანიის უმთავრეს ასპექტებად მოიაზრება. მაგალითად, მათვის მიზანშეწონილი იქნება ამომრჩეველთა მიერ საარჩევნო საკითხების ცოდნისა და გაზრდების დონის მონიტორინგი, ასევე დაკვირვება იმაზე, თუ რამდენად სწორად განასხვავებენ ამომრჩევლები პარტიებისა და კანდიდატების პოზიციებს. მიზანშეწოლით აგრეთვე იმის შეფასება, თუ რა ფორმით აწარმოებენ პარტიები და კანდიდატები საკუთარი კამპანიას, მაგ. საარჩევნო მარათონების, დებატების, კარდაკარ აგიტაციის, ელექტონული საშუალებების გამოყენებით და ა.შ. და რომელი მათგანი ხასიათდება განსაკუთრებული უფექტიანობით. თუ ამომრჩეველთა ინტერესი არჩევნებისადმი დაბალია, ეს, შესაძლო, ნიშანვდეს იმას, რომ ამომრჩევლები არჩევნებს სათანადო მნიშვნელობას არ ანიჭებენ, რომ კანდიდატები ელექტორატს საჭირო ინფორმაციას ევრ აწვდიან ან ამომრჩეველს არ სჯერა, რომ მის მიერ გაკუთებული არჩევანი რაიმე შედეგს გამოიდებას.

**9**

## მაღია მონიტორინგი

ა. მაღია მონიტორინგის მნიშვნელობა . . . . .	89
ბ. მაღია მონიტორინგის მიზანი . . . . .	90
გ. მაღიასთან დაკავშირებული საკანონმდებლო განის ჯეფასება . . . . .	91
დ. რადიომაუწყებლობისა და გეზღითი მმენის მონიტორინგი . . . . .	91
ე. ზანიანი პოლიტიკური რეპლაცია და ამომრჩეველთა გადათლების მონიტორინგი . . . . .	97
ვ. მაღიასა და შურიცალის სტეპის დაშინების უარავგის მონიტორინგი. . . . .	97

- შემუშავდეს მედიის მონიტორინგის პროცესამა, რომელიც გააერთიანებს მედიით გაშუქების რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, რათა განისაზღვროს შეუძლიათ თუ არა კანდიდატებს კამანიის პერიოდში მისაღები და სამართლიანი ფორმით მიუწვდებოდეთ ხელი მედიის საშუალებებზე;
- განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სახელმწიფო/საზოგადოებრივი მედიის მიერ კანდიდატთა სამართლიანი და მიუკერძოებელი ფორმით გაშუქების დონის შეფასებას;
- შემოწმდეს მედიის საშუალებებზე განხორციელებული ნებისმიერი შეზღუდვის ან ძალადობის საგარაუდო ფაქტი.

## პ. მედია მონიტორინგის მიზანებია<sup>15</sup>

ინდივიდის უფლება, ისარგებლოს გამოხატვის თავისუფლებით, გაეროს ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის მე-19 მუხლითაა განმტკიცებული. ეუოოს რეკორდის მონაცილე ქვეყნებმა კოპნაცენტის დოკუმენტის მე-9 პუნქტით გაამჭარეს ის აზრი, რომ „უფლებას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა, კომუნიკაციის უფლების ჩათვლით“.<sup>15</sup> გარდა ამისა, მე-7 პუნქტის თანახმად, პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს მედიის საშუალებებზე თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, უნდა მოუწვდებოდეთ ხელი. შეუძლებელია დემოკრატიის აუგვაცება, თუკი მოქალაქებს არ ექვებათ ინფორმაცია, რომლის საფუძველზე ისინი სავალდებულო არჩევანს გააქცევენ და მთავრობაში საკუთარ წარმომადგენელს აირჩევენ. შესაბამისად, შეუძლებელია მედიის განვითარება, თუკი მაუწყებლობაში სახელმწიფო არამართლობობის ჩაერევა, ჟურნალისტებს დააშინებენ ან ცენზურის ქვეშ მოაქცევენ.

დემოკრატიისა და თავისუფალი პრესის ხანგრძლივი ტრადიციების მქონე ქვეშებში არსებობს გარანტიები, რომლებიც სიტყვის, პრესისა და ინფორმაციის თავისუფლებას უზრუნველყოფს და მოქალაქეთა სათანადო დონეზე ინფორმირებულობას აადგილებს. უფრო მეტიც, განვითარებული დემოკრატიის პირობებში პროცესითად ჟურნალისტებს ხშირად შემუშავებული აქვთ პროფესიული ქავევის წესები, რომლებიც არაობიერებულობის ადგვთას უზრუნველყოფს. ქვეშებში, სადაც დემოკრატია ფეხს იკიდებს, მსგავსი სტანდარტებისა და ტრადიციების უმეტესობა ნაკლებადაა განვითარებული. შესაბამისად, გაცილებით მნიშვნელოვანია მსგავს ქვეშებში მოქალაქებმა მედიის პროფესიონალიზმი და ობიექტურობა მოითხოვონ. ხოლო მედიის პროცესით განვითარების კანდიდატების, კანდიდატების, საჯარო მოხელეთა და საზოგადოებრივი საქმეების გაშუქების მონიტორინგი განახორციელოთ.

15 აგნიშნულ თავში მოყვანილი უაქტები კურდობა საერთაშორისო ურთიერთობათა ეროვნულ-დამკარტიული ისტორიუტების (NDI) გამოცემას, სახელმწიფო „მედიის მოხილობის გარდასაცავი არჩევნების დროს: NDI-ს თანამდევრული სახელმძღვანელო“, რომელიც 2002 წელს რობერტ ნინისის ავტორობით გამოქვეყნდა. აღდილობრივი სადამკირვებლო ჯგუფებისთვის მედიის მონიტორინგის შესახებ დამატებით ინფორმაციის მისაღებად, რესოურსებულია აღნიშვნელი გამოცემით სარგებლობა. რომელიც მედია-მონიტორინგის პროცესის განხორციელების დებადურ დაწერილობას მოიცავს. დამატებით, XIX მუნიციპალიტეტის თან შემცნელებელი სახელმძღვანელო პრინციპი მედიის მონიტორინგისა და სტანდარტების შესახებ: გარდამავალი დემოკრატიის ქვეშებში არჩევნების მაუწყებლობის სახელმძღვანელო პრინციპი, 1994წ.; და სამარჩევო ანგარიშება - მედია მონიტორინგის პრატიცეკული გ ზამკლევი, 1998წ. ინფორმაცია აღნიშნული გამოცემების შესახებ შეგვიძლიათ იხილოთ XIX მუნიციპალიტეტის კებელის კენტვერზე: <http://www.article19.org>

როგორც ელექტრონულ, ისე ბეჭდვით მედიას საზოგადოებრივ აზრზე დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. სამართლიანი არჩევნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მასასიათებელს მედიის საშუალებების, განსაკუთრებით კი ტელევიზიის, თანაბარი უფლებით გამოყენება უნდა წარმოადგენდეს. შესაბამისად, არჩევნებისას, საარჩევნო დაკვირვების პროცესის მნიშვნელოვან კომპონენტებად მოიაზრება როგორც მედიის მიერ არჩევნების გაშუქება, ისე მედიის თავისუფლების მონიტორიგი, რაც სისტემატური და ობიექტური ფორმით უნდა ხორციელდებოდეს.

თუმცა დამკირვებლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ კერძო და საზოგადოებრივ მედიას, შესაძლოა, მუშაობის რადიკალურად განსხვავებული პრინციპები პქონდეს. საზოგადოებრივ მედიას, ბეჭდვითს, თუ ელექტრონულს, ყოველთვის მოქმედოვება ელექტორატისათვის დაბალისებული და მიუკერძოებული ინფორმაციის მიწოდება, რაც, როგორც წესი, ბეჭდვითი მედიის ან საჯარო მაუწყებელთა შესახებ კანონითა და/ან წესდებით არის განმიტკიცებული, რისი არარასებობის შემთხვევაშიც კი, საზოგადოებრივი მედიის დაბალისებულ მუშაობას ეუთო-ს წინაშე ნაკისრი გალებულებები (კონკრეტული, მ-7 მუხლი) მოითხოვს. აღნიშნული გალებულებების თანახმად, კანდიდატებმა ხელისუფლების მიერ უზრუნველყოფილი თანაბარი უფლებების პირობებში უნდა იძროვლონ, ხოლო სახელმწიფო პოლიტიკამ კამპანიის სამართლიან გარემოში მიმდინარეობა უნდა უზრუნველყოს. ადგილობრივი კანონმდებლობა, პარტიებისა და კანდიდატებისადმი დაბალისებული მიღების უზრუნველყოფის მიზნით, შესაძლოა, ითვალისწინებდეს დებულებებს, რომლებიც საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას კერძო მაუწყებელთა მუშაობის პრინციპებს დარეგულირებს. ხანდახან აღნიშნული მარეგულირებელი ხორმები შეიძლება ბეჭდვით მედიასაც შექმნა. მსგავსი კანონებისა და მარეგულირებელი ხორმების არარსებობის შემთხვევაში, შესაძლოა, არც საერთაშორისო სტანდარტები არსებობდეს, რომლებიც კერძო მედიას დაბალისებული მუშაობის პრინციპების გამოყენებას დაავალდებულებდა. მაგალითად, პოლიტიკური პარტიის გაზიონირებული შესაძლებელია ამ პარტიის პლატფორმად მოიაზრებოდეს და სხვა კერძო გაზიონირებისათვის კონკრეტული კანდიდატებისა და პარტიების მხარდაჭერა არაგონიურულად არ ჩაითვალოს.

## გ. მედია მონიტორინგის მიზანი

არატექნიკური მედიის მონიტორინგის მიზანია:

- უზრუნველყოფილ იქნეს საარჩევნო კამპანიის დროს მედიის თავისუფლების დამოუკიდებელი და სარწმუნო შეფასება;
- უზრუნველყოფილ იქნეს საარჩევნო კამპანიის დროს მედიის ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციის გაშუქების ობიექტურობის დამოუკიდებელი და სარწმუნო შეფასება;
- საჯარო გახდეს მედიაზე განხორციელებული ზოწოლა და დაშინების ფაქტები;
- მოეწოდოთ შეურნალისტებს, გამომცემლებსა და მედია საშუალებათა მესაკუთრებებს, დაიცვან ფაქტების დაბალისებული ფორმით გაშუქების წესები, მოერიდონ სიძულვილის გამომხატველ საუბარსა და სხვა საშუალებების გამოყენებას, რასაც ძალადობისა და სიძულვილის გაღვიძება შეუძლია; და

- ხელი შეეწყოს მედიასთან დაკავშირებულ კანონმდებლობასა და მარგებულირებელ ნორმებში პოზიტური ცვლილებების განხორციელებას ისე, რომ ისინი შესაბამისობაში მოვიდეს საქრთაშორისო სტანდარტებთან.

## ბ. მედიასთან დაკავშირებული საპაროცენტო გაზის შეფასება

მედია მონიტორინგის დაწყებამდე დამკავირვებლები სადამკვირვებლო კოორდინაციისა და ანალიზის ჯგუფის სამართლებრივი მრჩევლების დახმარებით იმ კანონებსა და მარგებულირებელ ნორმებს უნდა გაეცნონ, რომლებიც მედიის მუშაობას არებულირებს. შესწავლილ უნდა იქნეს კანონმდებლობა, შესაბამისი კოსტიტუციური დებულებები და მარგებულირებელ ორგანოებთან დაკავშირებული აქტები. სასარგებლო იქნება აგრეთვე შეხვედრები უშუალოდ მარგებულირებელ ორგანოებთან, როგორებიცაა მედია- სტანდარტების უწყება, ლიცენზირების უწყება, სიხშირის ლიცენზირების უწყება ა.შ. აღნიშვნულ ორგანოებს მედიაზე საგრძნობლად დიდი მარგებულირებელი უფლება გააჩნიათ და ამდენად მათი როლისა და ფუნქციების ნათლად გააზრება საქმაოდ მნიშვნელოვანია. მიზანშეწონილი იქნება საარჩევნო დავების ცხრილებში (იხილეთ მუ-3 და მუ-4 თავები) მათი ფუნქციების აღწერილობათა ჩართვა და მედია-დებატების ცალკე კატეგორიად გაშვება.

## დ. რაჭიომაუწყებლობისა და გენდრიტი მედიის მონიტორინგი

მედიის მონიტორინგი არჩევნების დღემდე, სულ ცოტა, ერთი თვით ადრე უნდა დაიწყოს და საბოლოო შედეგების გამოცხადებისთვის დასრულდეს, იდეალურ შემთხვევაში კი – მაქსიმალურად ადრე, სასურველია, საარჩევნო აღმინისტრაციის მხრიდან არჩევნებისათვის მზადებამდე და გაგრძელდეს იქამდე, სანამ არჩევნებში გამარჯვებულები საკუთარი უფლება-მოვალეობების განხორციელებას შეუდგებიან. არჩევნების შემდგომ პერიოდში მონიტორინგის გაგრძელება დამკავირვებლებს საშუალებას მისცემს, სამოქალაქო საზოგადოებასთან უფრო ძარღვის ურთიერთობა დაამყარონ, მხარი დაუჭირონ მედიის თავისუფლებასა და იმუშაონ სამომავლო არაობიექტურობის აღკვეთის კუთხით.

მედიის მონიტორინგის საწყის ეტაპს მედიის საშუალებების, როგორც მონიტორინგის ობიექტების, შერჩევა წარმოადგენს. ობიექტების შერჩევას განსაზღვრავს:

- სადამკავირვებლო ჯგუფისათვის ხელმისაწვდომი ფინანსური და საკადრო რესურსები;
- წინა არჩევნებისას ინფორმაციის გაშუქების გამოცდილება და ცოდნა;
- ჩასატარებელი არჩევნების ტიპი: საპრეზიდენტო, საპარლამენტო, თუ ადგილობრივი;
- ქვეყნის მასშტაბით მედიის საკუთრება და სტრუქტურა;
- მედიის სხვადასხვა საშუალებების მომხმარებელთა, მკითხველთა და მსმენელთა ტიპისა და რაოდენობის შესახებ ხელთარსებული ინფორმაცია;
- ინფორმაცია ტელევიზიისა და რადიოს საკუთრების შესახებ; და

→ მედიის საშუალებები, რომლებიც ეროვნულ უმცირესობათა მოთხოვნებს იცავენ.

მონიტორინგის ობიექტთა შეჩრევისას მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ის, თუ რა საშუალებით მიიღო ამომრჩევებისა ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მან საკუთარი არჩევნი გააკეთა. ამდენად სამიზნეს ყველაზე პოპულარული სატელევიზიო გადაცემები, რადიო შოუები და გაზეთები უნდა წარმოადგენდეს.

ეუთო-ს რეგიონში ტელევიზიის გაცილებით მეტი ზეგავლენა აქვს, ვიდრე რადიოსა და პრესას. პრიორიტეტს, გამომდინარე მიუკარძოებლობის დაცვის აუცილებლობიდან, მთავარი სახელმწიფო არხისა და მის მიერ გადმოცემული ინფორმაციის მონიტორინგი უნდა წარმოადგენდეს. მონიტორინგი უნდა ჩაუტარდეს სხვა სატელევიზიო არხებსაც, რომლებსაც საკმაოდ დიდი დაფარვა აქვთ. მათ რიცხვში, შესაძლებლობიდან გამომდინარე, უნდა შედიოდეს აგრეთვე რეგიონალური სატელევიზიო არხები და მედიის საშუალებები, რომლებიც აწ. „ცხელ წერტილებში“ ფუნქციონირებენ. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მედიის იმ საშუალებათა მონიტორინგს, რომლებიც ეროვნულ უმცირესობათა მოთხოვნებს იცავს, განსაზღვრებით იმ შემთხვევაში, თუკი ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა ეჭვებელ დგას ან წამყვანი კანდიდატები/პარტიები ეროვნულ უმცირესობათა რიგებიდან არიან.

მედიის მონიტორინგით დგინდება, თუ რა სიხშირითა და ხარისხით ხდება კანდიდატების, პოლიტიკური პარტიების, საარტენო ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და სხვა „შესაბამისი სუბიექტებისათვის“ საეთერო დროის გამოყოფა. მონიტორინგისათვის შესაბამის სუბიექტებს უნდა წარმოადგენდენ ის პირები, რომლებიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობენ ამომრჩეველთა შორის. ადგილობრივი სადამკირევებლო ჯგუფი, შესაძლოა, იმ თემებითა და პოპულერებითაც დაინტერესდეს, რომლებიც ელექტორატისათვის აქტუალურია. მსგავსი თემებისა და პორტფლეუბების განხილვაზ შესაძლებელია დიდი როლი ითამაშოს არაობიექტურობისა და თვითკრიტიკის დონის განსაზღვრაში. ასევე მნიშვნელოვანია პოლიტიკური კამათის მიმდინარეობის შეფასება, როდესაც პარტიებისა და კანდიდატების მოსაზრებებს უშუალოდ უპირისპირდებიან პოლიტიკური ოპონენტები. შესაბამის სუბიექტებად და თემებად (შესაბამისობის შემთხვევაში უნდა შეირჩეს ის, რომელიც ვარსკვლავითა მონიშნული) მოიაზრება:

- პრეზიდენტი;
- პრეზიდენტის სპიკერი ან კანცელარია;
- მთავრობა;
- პრემიერ-მინისტრი;
- წამყვანი მინისტრები (კენელა, თუკი მათ არჩევნებში მონაწილეობა სურთ);
- პოლიტიკური პარტიის ლიდერები;
- პოლიტიკური პარტიები და უპირატესი კანდიდატები;
- რეგიონალური მთავრობელები\*;
- არჩეული მერები\*;
- ადგილობრივ აღმასრულებელ ორგანოთა ხელმძღვანელები\*;
- გაფილული პარტიები\* (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

- წამქეზებლური გამონათქვამები და სიძულვილის გამომხატველი საუბარი\*;
- ეროვნული უმცირესობები და „უმცირესობათა ენებზე გაშუქება\*;
- „კამპანიის სიჩუმის“ პერიოდი\*;
- საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგთა გაშუქების შეზღუდვა\*;
- პარტიისა და კანდიდატის ფასიანი რეკლამა\*;
- ამომრჩეველთა განათლებისაკენ მიმართული კამპანია\*;
- აღგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფი\*.

მედიაზე დამკირვებლებმა ერთმანეთისაგან უნდა გამიჯნონ კანონმდებლობით გათვალისწინებული „თავისუფალი საეთერო დრო“ და სხვა ტიპის მაუწყებლობა. აღნიშნულთან მიმართებით, დამკირვებლებმა უნდა შეაფასონ შემდეგი:

- იქნა თუ არა დაცული თავისუფალი საეთერო დროის დებულებები;
- იყო თუ არა მაუწყებლობის „პირობები“ უკეთი თემასთან მიმართებით ერთნაირი (მაგალითად, გადაცემის დრო);
- იყო თუ არა ისინი გადმოცემული მაყურებელთათვის, სავარაუდოდ, მისადებ დროსა და ფორმატში; და
- შეუწყო თუ არა სელი თავისუფალი ეთერის გადაცემებმა მოქალაქეებს, კანდიდატებთან მიმართებით გარკვეული პოზიციის ჩამოგალიბებაში.

მედია მონიტორინგის დროს გამოყენებული მეთოდოლოგია ახალ პროგრამებში/ გადაცემებში შერჩეული თემებისა და სუბიექტების გაშუქების ხარისხობრივ და რაოდენობრივ ანალიზს გულისხმობს, რათა დაგენდეს, რამდენად დაცულია დაბალანსებული და მიუკერძოებელი უკრნალისტიკის ძირითადი პრინციპები.

ბეჭდვითი მედიის რაოდენობრივი ანალიზი კონკრეტული სუბიექტებისა და თემებისათვის დათმობილი აღილის კვადრატულ სანტიტეტრებში გაზომვას გულისხმობს. სამაუწყებლო მედიის რაოდენობრივი ანალიზი კი შემდეგნაირად ხორციელდება: წამომით იზომება მთლიანი დრო, რომელიც ტელეგრაფით ან რადიოთი კონკრეტული სუბიექტის გაშუქებას დაეთმო. მსგავსი პრინციპით იზომება ის, თუ რამდენჯერ იქნა ესა თუ ის პირი სენტული ან დამოწმებული სხვა პირის მიერ.

კონკრეტული სუბიექტებისათვის დათმობილი დროის გაზომვისა და აღნუსხვისას დამკირვებლებს, იმის მიხედვით, თუ როგორ ხდება ამა თუ იმ სუბიექტის წარმოდგენა, შეუძლიათ შეაფასონ დამატებითი ფაქტორები, რამაც შეიძლება შედარებით აქტუალური პრობლემები გამოკვეთოს. ამა თუ იმ პარტიის ზოგიერთი კანდიდატი ან წარმომადგენელი შეიძლება პირდაპირ ეთერში გამოდიოდეს და პირადად ისაუბროს მაშინ, როდესაც სხვები მოხსენიებული იყვნენ ან მათი განცხადების გადმოცემა ან შეჯერება სხვა პირმა მოახდინოს. სამაუწყებლო საინფორმაციო გამოშვებებთან მიმართებით დროის გაზომვის სხვადასხვა ფორმა არსებობს. იზომება:

- კონკრეტულ სუბიექტთან (ზემოთ აღწერილი) დაკავშირებული ისტორიის სრული სანგრძლივობა წამებში;
- ეკრანზე კანდიდატის/პარტიის წარმომადგენელთა გამოსვლისა და საუბრის სრული სანგრძლივობა წამებში;

- კანდიდატის ან პარტიის წარმომადგენლის ეთერში უსიტყვო გამოჩენის ხანგრძლივობა წამებში (დროის გაზომვის ეს ფორმები წინა ფორმებისაგან იმით განსხვავდება, რომ სუბიექტთა სხვადასხვანაირად გამოსახულების ვარიანტებს წარმოადგენს);
- კანდიდატის ან პარტიის წარმომადგენლის, გამოსახულების გარეშე, ხმოვანი გამოსვლის ხანგრძლივობა წამებში;
- მაუწყებლობისას ინფორმაციის განთავსების თანმიმდევრობა.

ხარისხობრივი ანალიზი გადმოცემის ტონის შეფასებას გულისხმობს, კერძოდ იმას, თუ რა ფორმით ხდება თემის ან პრობლემის გამოხატვა, პოზიტიურად, ნეგატიურად თუ ნეიტრალურად. ხარისხობრივი ანალიზი ასევე ითვალისწინებს გაშუქების სიზუსტისა და მანიპულირების სავარაუდო მცდელობების განსაზღვრას. უზუსტობისა და მანიპულირების შემთხვევებად მოიაზრება:

- საზოგადოებრივი გამოკითხვის გამოყენება პარტიების ან კანდიდატების დისკრიმინაციისთვის;
- იმ ასალი ამბების გაუშუქებლობა, რაც პოზიტიურად ან ნეგატიურად იმოქმედებდა კანდიდატებისა და პარტიების შესახებ ჩამოყალიბებულ შეხედულებებზე;
- ისტორიის, დაუსაბუთებელი ფაქტის სახით, გადმოცემა;
- შურინალისტის მიერ საკუთარი შესედულების ან პარტიული და კერძო ინტერესების, როგორ ინფორმაციის, გაშუქება.
- სარკასტული, მნიშვნელობას მოკლებული, არაპროფესიონალური ან შეურაცხმეობელი გამოთქმების, კომენტარებისა და აღწერილობების გამოყენება;
- კამერით მანიპულირება, მაგალითად პარტიის მასობრივი თავყრილობების ან კანდიდატთა შეკრებების, რელობასთან შეუსაბამოდ ხანგრძლივი ან შემოკლეული ფორმით, ჩვენება; და
- ფოტოებისა და ხმოვანი ეფექტების გამოყენება პოლიტიკური კანდიდატების მხარდაჭერის, მათზე ნეგატიური ზემოქმედების ან დაცინვის მიზნით.

საინფორმაციო პროგრამების გარდა მედიის მონიტორინგის ობიექტებს შესაძლოა წარმოადგენდეს: კანდიდატთა დებატები, თოქ-შოუები და გადაცემები აქტუალურ თემებზე. კანდიდატთა დებატების ანალიზი მიზნად უნდა ისახავდეს იმის შეფასებას, თუ რამდენად სამართლიანი იყო ზოგადი წესების ფონზე კანდიდატის მიმართ დამოკიდებულება და, თავის მხრივ, რამდენად მიზანშეწონილად ითვლებოდა „დებატების ეს წესები“. თოქ-შოუებისა და აქტუალური თემებზე გადაცემების მიზანია, აქტუალური საკითხების ცოდნისა და საკუთარი შეხედულების სხვებისათვის გაზიარება. ერთი გადაცემით, შეფასების პროცესთან მიმართებით ჩამოყალიბებული აზრის შექმნა ყოველთვის არ ხდება, მაგრამ სერიათა შემთხვევაში ეს შესაძლებელია. მსგავს გადაცემებში გამოყენებული წამქეზებლური გამონათვალიში და სიძულვილის გამომხატველი საუბარი საფუძლიან მონიტორინგს საჭიროებს.

ბეჭდით მედიაში ერთმანეთისაგან განსხვავებულად უნდა მოიაზრებოდეს, ერთი

მხრივ, სარედაქციო სტატიები, ავტორიტეტებები და წერილები, ხოლო, მეორე მხრივ, ახალი ამბების გაშუქება. სტატიებისა და წერილების ანალიზს შეუძლია გაზეთის არაობიექტურობის გამოკვეთა (კონკრეტული პარტიებისა და კანდიდატების სასარგებლო ან საწინააღმდეგო სტატიები და წერილები) მაშინ, როდესაც ზოგადად ინფორმაციის გაშუქება ობიექტურობას უნდა ემსახურებოდეს.



არჩევნების პერიოდში ხელისუფლების საქმიანობის გაშუქება როგორც პრობლემას წარმოადგენს. მედიის საშუალებებით მოქალაქეებმა ხელისუფლების მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების შესახებ შესაბამისი ინფორმაცია უნდა მიიღონ, მაგრამ ამ ინფორმაციის გაშუქება მმართველ პარტიას ან კოალიციას ძალაუწეურად მხრადამჭერთა აგიტაციის აშკარა უპირატესობით უზრუნველყოფს. ასეთ დროს მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს „სახელმწიფო სამსახურთან დაკავშირებული განცხადებები“ და „პოლიტიკასთან დაკავშირებული განცხადებები“. ეს უკანასკნელი თანამდებობის პირთა მხრიდან, მათი ხელაბალი არჩევნების ხელშეწყობის მიზნით, კეთდება. „სახელმწიფო სამსახურთან დაკავშირებული განცხადებები“, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს ლეგიტიმაციის მიზნით მთავრობის საქმიალდებულ, მაგალითად, ოფიციალური სტატისტიკის გამოქვეყნებისას მაშინ, როდესაც „პოლიტიკასთან დაკავშირებული განცხადებები“ არჩევნების პროცესში კოალიციის ან მმართველი პარტიის სასარგებლოდ საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენას ემსახურება.

რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზის მაჩვენებლები მონიტორინგისათვის სპეციალურად შექმნილ ფორმებში უნდა აისახოს და ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში გადაიგზავნოს, სადაც ინფორმაცია მარტივად გასაგები გრაფიკული პრესტრაციის სახეს მიიღებს, როგორიცაა სვეტური და სექტორული დიაგრამები. მთლიანი მასალა, კასეტები და გაზეოთები უნდა დაარქივდეს საგარაუდო შემოწმებების განხორციელების მიზნით, თუკი სამომავლოდ შედეგები ჰქონება.

უტყუარი და სისტემატიურად განხორციელებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზით დამაჯერებლად შეიძლება იმაზე საუბარი, ეძლეოდა თუ არა უკელა სუბიექტს მედიის საშუალებებით საკუთრი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა და, შესაბამისად, იყო თუ არა ინფორმაციის დაბალანსებული ფორმით გამუქება უზრუნველყოფილი. საინფორმაციო პროგრამების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონიტორინგის შედეგად მომზადებული ცხრილები ნაჩვენებია ქვემო. ეს ის კონკრეტული მაგალითებია, რომლებიც სახელმწიფო არხის მიერ ინფორმაციის ტენდენციური, მოქმედი პრეზიდენტის სასარგებლოდ, გაშუქებას ცხადყოფს.

9. გელია მონიტორინგი

სახელმწიფო ფინანსთა კანდიდატთა მძღვანელიანი ბაზუმების პროცენტული განხვევება



სახელმწიფო ფინანსთა კანდიდატთა მძღვანელიანი ბაზუმების ტოლი

## **2. ზასიანი პოლიტიკური ოპელაშისა და ამომრჩევებთა განათლების მონიტორინგი**

ფასიანი პოლიტიკური ოპელაშის მონიტორინგი საჭირო, მაგრამ შრომატევადი პროცესია. ელექტრონული მედია განუწყვებლივ უნდა მოწმდებოდეს, რადგან სარეკლამო განცხადებები დღის ნებისმიერ დროს უძინებება იქნეს განთავსებული (თუკი ეს კანონითაა დაშვებული). ანალიზით გამოვლინდება რეკლამების შინაარსი, განისაზღვრებან სუბიექტები, რომლებიც შეტვირთების მთავარ სამიზნებს წარმოადგენენ, დადგინდება გამოყენებულია თუ არა წამქენებლური გამონათქმები და სიძულევილის გამომხატველი საუბარი და გაირკვევა ამომრჩევლისადმი კანდიდატებისა და პარტიების ძირითადი შეტყობინების შინაარსი. პოლიტიკური ოპელაშის მონიტორინგით შესაძლებელი იქნება ფასიანი რეკლამის რაოდენობრივი მაჩვენებლის შესახებ სარწმუნო ინფორმაციის მიღებაც, საიდანაც შემდგომ გამოითვლება დახარჯული თანხის სავარაუდო ოდენობა (იხ. შესაბამისი ნაწილი საარჩევნო კამპანიის ფინანსების მონიტორინგის შესახებ).

ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფის მიერ, შესაძლოა, საჭიროდ ჩაითვალოს ამომრჩევლის განათლებისა და საზოგადოების ინფორმირებისაკენ მიმართული კამპანიის მონიტორინგი იმ შემთხვევაში, თუკი ეჭვება დგას საარჩევნო პროცესის ან/და არჩევნების ობიექტის როლისა და ფუნქციის გააზრების დონე. მსგავს მონიტორინგს შესაძლოა ასევე გააჩნდეს განსაკუთრებული მნიშვნელობა მაშინ, როდესაც ამომრჩეველთა სიებთან და არჩევნებში მონაწილეობის დაბალ მაჩვენებლებთან დაკავშირებული პროდლემები არსებობს. ამომრჩევლის განათლებისა და საზოგადოების ინფორმირებისაკენ მიმართული კამპანიის მონიტორინგით ასევე შესაძლებელია სასარგებლო ინფორმაციის მიღება ეროვნულ უმცირესობათა ინფორმირებულობის დონის შესახებ და იმის დადგენა, ხდება თუ არა ინფორმაციის მიწოდება მათხავე ენებზე და ხომ არ შეინიშნება მიკერძოებულობის ელემენტები.

## **3. მედიისა და ჟურნალისტების დაზინვანის ფაქტების მონიტორინგი**

ადგილობრივ სადამკვირვებლო ჯგუფს ქურნალისტებთან და შედია-ორგანიზაციების წარმომადგენლებთან კავშირების დამყარება და მათთან რეგულარული შეხვედრების მოწყობა უვალება, რაც მიზნად უნდა ისახავდეს ჯგუფის მიერ აღნიშნულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებისათვის მედიის მონიტორინგის პრინციპების გაცნობას და მათგან ქვეყანაში მედიის სტრუქტურისა და მისი საკუთრების, ასევე მედიაზე ზეწოლისა და შევიწროების ფაქტების, შესახებ ინფორმაციის მიღებას. შევიწროების ტიპურ ფორმებად, რაც მედიის თვითკონტროლის დამკეიდრებას ისახავს მიზნად, მოაზრება როგორც ძალადობა ან პირდაპირი პილიტიკური რეპრესია, ასევე შევიწროების ნაკლებად პირდაპირი ფორმა, როგორიცაა უსაფუძლო საგადასახალო შემოწმება; ლიცენზირებული დაგა; გაზეობის განადგურება და მათი დასტრიბუციის აღკვეთა. ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფმა შევიწროების ფაქტების შესახებ პრეტენზიების სარწმუნობა და სიზუსტით აღწერა უნდა უზრუნველყოს. თითოეული შემთხვევა დეტალურ აღწესხვასა და მიღობას საჭიროებს. შევიწროების ფაქტება შესაძლოა მედია-ორგანიზაციებისა და ჟურნალისტების მიერ სარჩელის შეტანა გამოიწვიოს. მოცემულ შემთხვევაში შესაძლო დავას თვალი ისევე უნდა მიღებნოს, როგორც არჩევნებთან დაკავშირებულ სხვა სადაცვა შემთხვევებს (იხ. მე4 თავი).

10

სის მიზანისა და  
სის დათვლის  
პროცესზე  
დაკვირვება

- ა. სის მიზანისა და სის დათვლის პროცესზე დაკვირვება ..... 100  
ბ. სის პრაღლური დაქამება ..... 107

- ➔ დადგინდეს ჩასატარებელი დაკვირვების ტიპი და მასშტაბი;
- ➔ უსრუნველყოფილ იქნეს დამკირვებელთა გადაზმადება საარჩევნო პროცეს-დურებში, ანგარიშგების ფორმატსა და ქცევის კოდექსში;
- ➔ უსრუნველყოფილ იქნეს ყველა ღონისძიება დამკირვებელთა სრული ლოგი-სტიკერი და მეთოდოლოგიური მხარდაჭერა;
- ➔ შეიქმნას ანგარიშგების თანმიმდევრული სტრუქტურა;
- ➔ უსრუნველყოფილ იქნეს ანგარიშის ფორმათა დროული დაბრუნება და ანა-ლიზი.

თოთქმის ყველა ადგილობრივ სადამკვირვებლო ჯგუფს განუხორციელებია ხმის მიცემისა და დათვლის პროცესზე დაკვირვება, ხშირად საქმაოდ წარმატებულადაც. თუმცა, უნდა აღნიშნოს, რომ ამ პროცესში მონაწილეობის მისაღებად ათასობით მოხალისე საუბნო დამკირვებლის მობილიზაცია როგორც ადგი-ლობრივ, ისე რეგიონალურ ღონისძიება, კადრების დიდი რაოდენობით მოხმარებას ჟაკარტიულდება, რაც ხშირად სხვა სადამკვირვებლო საქმიანობების ხარჯზე ხორ-ციელდება. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებლობას წარმოადგენს ადგილობრი-ვი სადამკვირვებლო ჯგუფის მიერ იმის გააზრება, თუ რა უნდა წარმოადგენდეს არჩევნების დღეს დაკვირვების ობიექტს და როგორ უნდა წარიმართოს ეს პრო-ცესი ეფექტიანად.

სასურველია, მაქსიმალურად შექმიდროებულ ვადებში მოთხოვნათა განაზღვრის ეტაპზე დაისვას შემდგენ კითხვები:

- ➔ უნდა იმოძრაონ თუ არა დამკვირვებლებმა სხვადასხვა უბნებში, თუ უნდა აკონტროლონ ერთ-ერთი?
- ➔ უნდა განახორციელონ თუ არა დამკვირვებლებმა მთელი დღის მანძილზე ეწ. „სტატიკური ჯგუფებით“ ერთ საარჩევნო უბანში ხმის მიცემისა და ხმა-თა დათვლის პროცესის კონტროლი?
- ➔ უნდა განახორციელონ თუ არა დამკვირვებლებმა, ეწ. „მობილური ჯგუფე-ბით“ სხვადასხვა საარჩევნო უბანში ხმის მიცემის პროცესის კონტროლი?
- ➔ დამკვირვებლოთა სტატიკური ჯგუფები უნდა განთავსდნენ თუ არა საარჩევ-ნო უბნების „ცხელ წერტილებში“?
- ➔ უნდა წარმოადგენდეს თუ არა მიზანს თითოეულ საარჩევნო უბანში შედე-გებზე დაკვირვება და მათი აღნუსხვა?
- ➔ უნდა წარმოადგენდეს თუ არა მიზანს ერთ კონტრებულ საარჩევნო უბანში შედეგებზე დაკვირვება და მათი აღნუსხვა?
- ➔ რა ფინანსური და ადამიანური რესურსებია ხელმისაწვდომი?
- ➔ როგორ უნდა დაბალიანიდეს არჩევნების დღემდე გრძელვადიანი დაკვირვება, ერთი მხრივ, და არჩევნების დღისათვის კადრების აყვანა და ტრენინგი, მეო-რე მხრივ?

## ა. ხილ მიუხისა და ხევის დათვლის პროცესზე დაკვირვება

იდეალურ შემთხვევაში, დამკვირვებლებმა, ხმის მიცემისა და დათვლის პროცესზე დაკვირვებისას, წევილად უნდა იმუშაონ. ასეთ დროს უსაფრთხოების გარდა ორ ადამიანს შორის, დამოუკიდებლად განხორციელებული დაკვირვების შედეგების, ურთიერთგაზიარება და გადამოწმება არის უზრუნველყოფილი. თუმცა, ადამიანური რესურსების ნაკლებობიდან გამომდინარე, შესაძლოა, ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფმა ერთი დამკვირვებლის დამოუკიდებლად მუშაობა მიიჩნიოს მიზანშეწონილად.

დამკვირვებლები საკუთარი მოვალეობების შესრულებისათვის სრულყოფილად უნდა მოქმედონ, რაც გულისხმობს გადამზადების პროგრამის გავლას, საარჩევნო კანონმდებლობისა და სხვა წესებისა და მარეგულირებელი ნორმების ცოდნასა და ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფის მიერ მომზადებული სადამკვირვებლო ანგარიშის ფორმების შევსებისა და დაბრუნების წესებთან გაცნობას. მათ მაცცრად უნდა დაიცვან ქცევის კოდექსი, იცოდნენ, თუ რა სფეროში უნდა განახორციელონ დაკვირვება და ფლობდნენ ინფორმაციას საარჩევნო უბნების განლაგებისა და ხმათა დათვლის ცენტრების ადგილმდებარებობის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუკი დამკვირვებლები ერთ საარჩევნო უბანზე არიან მიმაგრუბული და ამ უბანში ხორციელდება ხმის მიცემისა და დათვლის პროცესი, ისინი ვალდებული არიან აღნიშნულ პროცესს ბოლომდე დაესწრონ. როდესაც დამკვირვებლები მობილურ ჯგუფებში მუშაობენ, მათ სულ ცოტა ნახვარი საათი უნდა გააჩარონ თითოეულ საარჩევნო უბანში. დაკვირვებისას მთავარი ხარისხია და არა რაოდენობა. საარჩევნო უბანში ხმის დათვლის პროცესის დასრულებისას დამკვირვებლებს მოეთხოვებათ შედეგების ოქმის ასლის მოპოვება და დაკვირვების შედეგების ამსახველი და სხვა საარჩევნო მასალებისა და ბიულეტენების დამაჯამებელ ცენტრებში გადაგზავნის თანხლება.

დამკვირვებლებმა მკაცრად უნდა დაიცვან მიუკერძოებლობის წესები, არცერთ შემთხვევაში არ უნდა გამოვალინონ არაობიექტურობა და პირადი დამოკიდებულება, როგორც პოლიტიკური პარტიების კანონდატებისა და ხელისუფალი პირებისადმი, ისე არჩევნებთან დაკავშირებული ნებისმიერ საკითხის შესახებ. დამკვირვებლებმა არ უნდა ატარონ პარტიული სიმბოლოები ან გამოიყენონ ფერები. მათ მოვალეობების შეუმჩნევლად შესრულება და საარჩევნო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებში ჩაურევლობა მოეთხოვებათ. შეუსაბამობის შემჩნევისას დამკვირვებლებმა აღნიშნულის შესახებ საარჩევნო უბანში მომუშავე პირებს უნდა აცნობონ, მაგრამ არასოდეს უნდა განახორციელონ მათი გადაწვეტილებების იგნორირება ან გასცენ ბრძანებები. ყველა გადაწყვეტილება უნდა ემუარებოდეს კარგად დოკუმენტირებულ, ფაქტობრივ და შემოწმებად მტკიცებულებას.

მოვალეობების შესრულებისას დამკვირვებლებს თვაზიანად მოქცევა მოეთხოვებათ. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ დაკვირვების პროგრამის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ ადგილობრივ სადამკვირვებლო ჯგუფს წარმოადგენენ. საარჩევნო უბანში გამოცხადებისას მათი მოვალეობაა, გაუცნონ უბნის თავმჯდომარეს და სხვა მომუშავე პი-

რებს, აგრეთვე პარტიებისა და კანდიდატების ადგილზე მყოფ წარმომადგენლებსა და, დასწრების შემთხვევაში, საქრთაშორისო დამკვირვებლებს, ასევე გაესაუბრონ მხარდამჭერებს, რათა შეაფასონ, რამდენად ენდობიან ისინი არჩევნების პროცესს და შეიტყონ, ხომ არ ყოფილა მათი მხრიდან რამებ დარღვევა შემჩნევილი. შესვეულებები მისაღებად მათი დამაჯერებლობის შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს. დამკვირვებლებს უნდა ახსოვდეთ, რომ ზოგიერთი პირი, შესაძლოა, ეცადოს, რომ ინფორმაცია საკუთარი სურვილისამგრ წარმოაჩინოს, ამიტომ სიტუაციის დაბალისებული ფორმით შეფასებასა და განსჯას დიდი მნიშვნელობა აქვს. კარგი აზრია, შესაძლებლობის შემთხვევაში, თითოეული ჯგუფიდან ინდივიდების ჯგარედინად გამოკითხვა.

ხმის მიცემისა და დათვლის პროცესზე დაკვირვებისას გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები:

#### → **საარჩევნო უბანთან მიმართებით:**

- არის თუ არა საარჩევნო უბანი იოლად მისაგნები?
- არის თუ არა საარჩევნო უბანი ადგილად მისაღირობი?
- ხომ არ შეინიშნება უბანში, მასთან ან მის გარშემო საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული მასალები ან აქვთ გორბა?
- ხომ არ ფიქსირდება დაშინების, მოსყიდვისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევები?
- ხომ არ იმყოფებიან საარჩევნო უბანში უფლებამოსილების არმქონე პირები?
- იქცევა თუ არა უსაფრთხოების პერსონალი ჯეროვნად?
- ხომ არ უბიძებენ ამომრჩეველს გარკვეული ფორმებით კონკრეტული არჩევანის გაცემებისაკენ?

#### → **საარჩევნო უბნების თანამშრომლებთან მიმართებით:**

- არიან თუ არა საარჩევნო უბნების თანამშრომლები სათანადოდ მომზადებული და ხმის მიცემისა და დათვლის პროცესზე შესახებ ინფორმირებული?
- საუბრობენ თუ არა თავისუფლად საკუთარ მოვალეობებზე?
- ასრულებენ თუ არა საკუთარ მოვალეობებს პირნათლად?
- ესწრება თუ არა კომისიის კუელა დანიშნული წევრი არჩევნების პროცესს, ან ხომ არ ყოფილა რომელიმე მათგანის კომისიის შემადგენლობაში ყოფნის პრევენციის პრეცედენტი?

#### → **მასალებთან მიმართებით:**

- არის თუ არა ბიულეტენები საკმარისი ოდენობით?
- იყო თუ არა ბიულეტენები დაცული საარჩევნო უბანში მიტანიდან უბნის გახსნამდე პერიოდში?
- არის თუ არა საარჩევო კუთხი საარჩევნო უბანში მომუშავე ყველა პირის მხედველობის არეში?
- არის თუ არა ბიულეტენები იოლად შესავსები; რამდენი ბიულეტენი მიიღო საარჩევნო უბანმა დასაწყისისათვის?

#### → **ამომრჩეველთა სიასთან მიმართებით:**

- რამდენი ამომრჩეველი ფიქსირდება სულ ამომრჩეველთა სიის მიხედვით და

რამდენმა მისცა უკვე ხმა (აღნიშნული ზოგად წარმოდგენის შექმნის არჩევნების პროცესის მსვლელობაზე)?

- ხომ არ შეინიშნება ამომრჩეველთა სიაში ბევრი ამომრჩევლის გამოტოვების შემთხვევები?
- ხომ არ მოიცავს ამომრჩეველთა სია ჭარბ სახელებსა და გვარებს?
- არის თუ არა ყველა ამომრჩეველი საარჩევნო ოლქის რეზიდენტი?

→ **ხილის მიცემის პროცედურებთან მიმართებით:**

- არის თუ არა ხმის მიცემის პროცედურის ფარულობა უზრუნველყოფილი?
- მოეთხოვებათ თუ არა ამომრჩევლებს ხმის მიცემამდე პირადობის მოწმობის ჩვენება?
- არის თუ არა ამომრჩეველთათვის ბიულეტენების დარიგების პროცესი ეფექტური და დაცული?
- დასმულია თუ არა ბიულეტენებზე საარჩევნო უბნის ოფიციალური ბეჭედი და/ან უბნის ოფიციალური პირის (პირების) ხელმოწერა?
- ეძლევა თუ არა ხმის მიცემის უფლების მქონე ყველა პირს ხმის მიცემის საშუალება?
- ხომ ეძლევა ხმის მიცემის უფლების არმქონე ნებისმიერ პირს ხმის მიცემის საშუალება?
- ახორციელებენ თუ არა ამომრჩევლები ხმის მიცემას უკანონოდ საარჩევნო კაბინების მიღმა?
- არის თუ არა „ოჯახური“ ხმის მიცემა (ერთზე მეტი პირი კაბინაში) დაშვებული?
- ხომ არ ეძლევათ ამომრჩევლებს დასაშვებზე მეტი ბიულეტენები?
- არსებობს თუ არა საარჩევნო ყუთში ბიულეტენების ჩავრის მტკიცებულებები?
- იცნობენ თუ არა ამომრჩევლები ხმის მიცემის პროცედურებს?
- უწევენ თუ არა საჭიროების შემთხვევაში სათანადო ფორმით დახმარებას ამომრჩევლებს?
- შეინიშნება თუ არა პროცესის აღმინისტრირების მეტისმეტი შეფერხება?
- არის თუ არა პროცესი კარგად მართული ოფიციალური საარჩევნო პირების მიერ?
- შეუძლიათ თუ არა პარტიების ან კანდიდატების დამსწრე წარმომადგენლებსა და ნდობით აღჭურვილ პირებს ხმის მიცემისა და დათვლის პროცესზე დაგვირებება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად?
- ხომ არ ხორციელდება პარტიების ან კანდიდატების წარმომადგენლებსა თუ ნდობით აღჭურვილ პირებზე დაშინება და ძალადობა?
- პარტიების ან კანდიდატების წარმომადგენლები თუ ნდობით აღჭურვილი პირები ხომ არ ცდილობენ ჩარევას ან ფაქტიურად ერევინ არჩევნების პროცესში, ან ცდილობენ ან ფაქტიურად არწმუნებენ, ან მუქარით აიძულებენ ამომრჩევლებს, ხმა მისცენ კონკრეტულ პარტიასა თუ კანდიდატს?

მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს ხმის მიცემის განსაკუთრებულ ფორმებს, როგორიცაა ხმის წინასწარი მიცემა, გადასაბარი ყუთით ხმის მიცემა, ჯარისკაცების, პატიმრებისა და სტაციონარის ავადმყოფების მიერ ხმის მიცემა:

- არის თუ არა ხმის წინასწარი მიცემა საქმარისად კონტროლირებული, დაცული და გამჭვირვალე?
- კონტროლირდება თუ არა სათანადოდ გადასატანი საარჩევნო ყუთის გამოყენება?
- იმ შემთხვევაში, თუგი გამოყენებაშია ამომრჩეველთა დამატებითი ხია, ხადაც ფიქსირდებიან ის ავადმტოვები და მოხუცები, რომლებიც ხმის მიცემას სახლის პირობებში ახორციელებან, ხომ არ შეინიშნება მათი უზველოდ ჭარბი გავარები აღნიშნულ ხიაში?
- მიეწოდათ თუ არა ჯარისკაცებს, პატიმრებსა და სტაციონარის ავადმყოფებს საქმარისი რაოდენობის საარჩევნო მასალა მათ მიერ საფუძვლიანი არჩევანის გასაკეთებლად?
- ჩაუტარდათ თუ არა ჯარისკაცებს, პატიმრებსა და სტაციონარის ავადმყოფებს განსაკუთრებული ამომრჩევლის რეგისტრაცია?
- მიეკათ თუ არა ჯარისკაცებს, პატიმრებსა და სტაციონარის ავადმყოფებს დაშინების გარეშე, ფარული ხმის მიცემის საშუალება?
- მოეთხოვებათ თუ არა ჯარისკაცებს საკუთარი ოფიცირების თანდასწრებით ხმის მიცემა?
- ხომ არ უბარებენ ოფიცირები საკუთარ ჯარისკაცებს ინსტრუქტაჟს ხმის მიცემასთან დაკავშირებით?

➔ **ხმის დათვლის პროცედურასთან მიმართებით:**

- ხორციელდება თუ არა ხმათა დათვლა გამჭვირვალე ფორმით?
- აქვთ თუ არა დამკვირვებლებს ან პარტიებისა და კანდიდატების წარმომადგენლებსა და ნდობით აღჭურვილ პირებს აღნიშნულ პროცესზე დასწრების შესაძლებლობა, მისი ყველა ასპექტის შემოწმების მიზნით?
- როგორ ხდება ჩაგდებული ბიულეტენებისა და დარეგისტრირებული ამომრჩევების, რომლებმაც არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს, რაოდენობების ურთიერთშედარება?
- ხორციელდება თუ არა ბიულეტენების თანმიმდევრულად და დაცული ფორმით დათვლა?
- ინახება, უქმდება, თუ ნადგურდება დათვლის შემდეგ გამოუყენებელი ბიულეტენები?
- აკეთებენ თუ არა ოფიციალური საარჩევნო პირები ბიულეტენებზე მინიშნებებს?
- ხორცილებლება თუ არა ძალადაკარგული ბიულეტენების სათანადოდ და თანმიმდევრულად შემოწმება და სხვა ბიულეტენებიდან მათი გამორჩევა?
- ხომ არ არის ძალადაკარგულ ბიულეტენთა რაოდენობის მაჩვენებელი მეტისმეტად მაღალი?
- ხდება თუ არა საჩივრების სათანადო წესით განხილვა?
- ხომ არ ცდილობენ ან ფაქტურად ერეგიან ხმათა დათვლის პროცესში პარტიის წარმომადგენლები თუ ნდობით აღჭურვილი პირები?
- ესწრება თუ არა ხმის დათვლის პროცესს კონკრეტული პირი უკანონოდ და, თუ ესწრება, რა მიზნით?

➔ **შედეგების შეჯამებასა და ტრანსპორტირებასთან მიმართებით:**

- ხმის დათვლის პროცესის დასრულებისას, ხორციელდება თუ არა შედეგების

ბის შემაჯამებელი ოქმის სწორად შევსება და ყველა სავალდებულო პირის მიერ მისი ხელმოწერა?

- ხმის დათვლის პროცესის დასრულებისას, შეუძლიათ თუ არა დამკვირვებლებსა და პარტიის/კანდიდატის ნდობით აღჭურვილ პირებსა თუ წარმომადგენლებს ოქმის ასლების მოთვება?
- ქვეჭრდება თუ არა შედეგები ან შედეგების ამსახველი ოქმი საჯაროდ?
- არის თუ არა ზემდგომ საარჩევნო კომისიაში ოქმების, ბიულეტენებისა და საარჩევნო მასალების ტრანსპორტირების პროცესი გამჭვირვალე და დაცული?
- აღნიშნული საარჩევნო მასალები უშეალოდ ზემდგომ საარჩევნო კომისიაში მიაქვთ თუ სხვა მისამართზე?

ხმის მიცემისა და დათვლის პროცესთა წარსული გამოცდილების შეჯერება არჩევნების დღის პროცედურულ ანალიზთან დამოუკიდებელ სადამკვირვებლო ჯგუფს საშუალებას უნდა აძლევდეს, განახლევროს აღნიშნული პროცესების რომელ ასპექტებს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადება. მაგალითად, წარსული გამოცდილებით, განსაკუთრებულ პრობლემებად შეიძლება მოიაზრებოდეს ზოგიერთ ადგილას მრავალჯერადი ხმის მიცემის პროცესი და საარჩევნო მასალების უზნებში დაგვიანებით მიტანის შემთხვევათა არსებობა.

მოთხოვნები იმ საანგარიშო ფორმებში უნდა აისახოს, რომლებიც დამკვირვებლებისათვის მათ მიერ ხმის მიცემისა და დათვლის პროცესის მონიტორინგის დროს შესავსებად მომზადდა. გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საანგარიშო ფორმები გასაგები, ლაკონური და იოლად შესავსები იყოს. კრედიტი კითხვარი (ფორმა), რომელიც უამრავ სხვადასხვა შესაძლო პასუხის მქონე კითხვებს შეიძლება მოიცავდეს, საკმაოდ სანგრძლივ დროს მოითხოვს კომპიუტერში შესავანად და დასამუშავებლადაც როგორია, რამაც, შესაძლოა, აგრეთვე ფორმების დაბრუნებისას ქადალდების დაგროვება და უფრო მეტიც, საკომუნიკაციო სისტემის გადატენიროვა გამოწვიოს. საანგარიშო ფორმების შემუშავებისას, ავტორებმა მხედველობაში უნდა იქმნიონ ის, რომ ისინი დამკვირვებლებისათვის მარტივად გასაგები უნდა იყოს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად შეიძლება ჩაითვალოს არჩევნების დღემდე ფორმების რამდენიმე დამკვირვებელზე შემოწმება და იმის დადგენა, თუ რამდენად გასაგებად და მარტივად შესავსებად მოიაზრება ისინი ადრესატებისათვის.

საანგარიშო ფორმები უნდა მოიცავდეს კითხვებს, რომლებიც „კი“ ან „არა“ ტიპის პასუხებს მოითხოვს, ასევე დამატებით კითხვებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება პრობლემათა ინტენსივობის განსაზღვრა. აღნიშნული მიღომის ამსახველი მაგალითა:

აპალიტი 1: სარისხობრივი კოსტევანი	ხომ არ დაგიფიქსირებიათ ერთი პირის მიერ ხმის განმეორებითი მიცემის ფაქტი?	<input type="checkbox"/> კი	<input type="checkbox"/> არა
დადებითი პასუხის შემთხვევაში, რამდენჯერ იქნა აღნიშნული ფაქტები ოქმების მიერ შემჩნეული?		(ციფრული მიზანი)	

შესაძლებლობის შემთხვევაში ისეთი, სხვადასხვა შესაძლო პასუხის მქონე, კითხვები, როგორიცაა, „რა ზომებს მიმართა საარჩევნო კომისიაში იმ პირებთან მიმართებით, რომლებიც არ იყითხებოდნენ ამომრჩეველთა სიებში?“, თავიდან უნდა იქნეს აცილებული. დიდი მოცულობის ტექსტის ანალიზი როგორია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ათასობით ფორმაა დასამუშავებელი. იმ შემთხვევაში, თუკი მსგავსი კითხვების გამოყენება აუცილებლობას წარმოადგენს, დამკირვებლების წერილობით შენიშვნებს ფორმაში რამდენიმე სავარაუდო პასუხი უნდა ჩაენაცვლოს, რისი მაგალითიც ნაჩვენებია ქვემოთ:

**მაგალითი 2:  
ზონაშიარ  
მომზადებული  
კითხვები**

რატომ არ გაიხსნა საარჩევნო უბანი დროულად?

(მონიშეთ შესაბამისი პასუხიები)

- |   |   |
|---|---|
| <p>საარჩევნო მასალები ადგილზე <input type="checkbox"/> არ იყო?</p> <p>საარჩევნო კომისიის ყველა <input type="checkbox"/> წევრი ადგილზე არ იყო?</p> | <p>საარჩევნო უბანს საფრთხე <input type="checkbox"/> ემუქრებოდა?</p> <p>საარჩევნო კომისიის წევრები <input type="checkbox"/> ვერ შევიდნენ შენობაში?</p> |
|---|---|
- სხვა (გთხოვთ, მოუთითოთ) \_\_\_\_\_

არსებობს მესამე ვარიანტიც, ასევე პრატჩტიკული ხასიათის კითხვა. დამკვირვებლებმა მოცემული გარიანტებიდან უნდა შეარჩიო ერთ-ერთი, რაც კველაზე უკეთ გამოხატავს მათ შეფასებას სიტუაციასთან მიმართებით. მაგალითი ნაჩვენებია ქვემოთ. მსგავი ტიპის კითხვის გამოყენება განსაკუთრებით სასარგებლო შეიძლება იქოს საარჩევნო უბნის ზოგადი დახასიათებისას. ფორმების ავტორები უნდა ერიდონ კენტი, მაგალითად სამი, ან ხუთი ვარიანტის მითითებას, რადგან გამოცდილებით დამკვირვებლები უპირატესობას ყოველთვის შეა მაშვენებელს ანიჭებენ.

**მაგალითი 3:  
ოთხ-  
ვარიანტიანი  
კითხვები**

როგორ შეაფასებდით საარჩევნო უბანში განხორციელებული ხმის

მიცემის პროცესის ზოგად მიმღინარეობას?

(შემოხაზეთ თქვენი მოსაზრების შეფასების ხაუკუთხმოვა ვარიანტი)

დარღვევების	შეინიშნებოდა	შეინიშნებოდა	შეინიშნებოდა
შემთხვევები	რამდენიმე	მცირე რაოდენობის	ბევრი
არ ყოფილა	უმნიშვნელო	სერიოზული	არსებითი
	დარღვევება	დარღვევები	დარღვევა

გადამზადების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დამკვირვებელთათვის იმის ახსნას, რომ მათ აუცილებლად უნდა შეავსონ გარკვევით და გადასცენ ფორმები შესაბამის პირს ან მიიტანონ ისინი დანიშნულების ადგილას. მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩაითვლება მათი მოვალეობების განხორციელება დასრულებულად.

იმ შემთხვევაში, თუკი ადგილობრივ სადამკირვებლო ჯგუფს მაქსიმალურად ბევრი ინფორმაციის შეგროვება მიაჩნია მიზანშეწონილად, ასეთ დროს ანგარიშის გაცილებით კომპლექსური სისტემის შემუშავება შეიძლება. მაგალითად, შესაძლებელია ცალკე ფორმების გამოყენება საარჩევნო უბნის გახსნისას, დილას და შეადლისას განხილულებული ხმის მიცემის პროცესზე დაკვირვებისას და ხმათა დათვლის დროს. მსგავს შემთხვევაში ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ თავს გაართმევს გაზრდილი მოცულობის საანგარიშო ფორმებისა და ინფორმაციის დამუშავებას.

ინფორმაცია საანგარიშო ფორმებიდან სწრაფად და სიზუსტით უნდა იქნას შექვანილი ელექტრონულ მონაცემთა პაზაში, რაც საინფორმაციო ანალიტიკოსის ზედამხედველობის ქვეშ მყოფმა გამოცდილმა ჯგუფმა უნდა განახორციელოს. შესაძლებელია კარგი სოციოლოგის ან სტატისტიკოსის დახმარების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუკი ადგილობრივ სადამკირვებლო ჯგუფს ანალიტიკური პროგრამული უზრუნველყოფის დამოუკიდებლად შემუშავება არ შეუძლია. იდეალურ შემთხვევაში საინფორმაციო ანალიტიკოსებმა და საანგარიშო ფორმების დიზაინერებმა ერთად უნდა იმუშაონ, რათა შეძლონ ისეთი ფორმების შემუშავება, რომლებიც მაქსიმალურად ცოტა კითხვების საფუძველზე დიდი მოცულობის ინფორმაციის მოპოვების შესაძლებელობას უზრუნველყოფს.

ადგილობრიგმა სადამკირვებლო ჯგუფმა დამკირვებლები შეიძლება საჩივრის ფორმებითაც უზრუნველყოს, რაც დამკირვებელთა და მოქალაქეთა მხრიდან საარჩევნო უბნის პერსონალის მიმართ ოფიციალური საჩივრების დასაფიქსირებლად გამოიყენებოდეს. დამკირვებლებმა მსგავსი ფორმების ასლები ცენტრალურ ოფისში უნდა გადააგზავნონ, რათა ნებისმიერ სავარაუდო ქმედების მონიტორინგი ჩაუტარდეს. ალტერნატივას შეიძლება წარმოადგენდეს დამკირვებელთა მიერ ადგილობრივი განხილვებისას სერიოზული დარღვევების შესახებ დეტალების წარმოდგენა, რაც ხელს შეუწყობს მნიშვნელოვანი პრობლემების ტიპის, სისტემისა და ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას.

ადგილობრივი განხილვებისას წარმოდგენილი ინფორმაცია, საჩივრის ფორმათა ანალიზი და ხმის მიცემისა და დათვლის პროცესების შემოწმების ფორმები დროულად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, წინასწარი განცხადების მოსამზადებლად, რაც იდეალურ შემთხვევაში, არჩევნების დღიდან 48 საათში უნდა განხორციელდეს. ხანდახან შეუძლებელია ან არაპრაქტიკულად მოიაზრება შესაბამისი ჯგუფის მიერ ყველა უბნის შესახებ ინფორმაციის სისტემაში დროული ასახვა. მსგავს შემთხვევებში წინასწარი განცხადების მოსამზადებლად საჭიროა ამოქრებილ, ხოლო საბოლოო ანგარიშისათვის უკლებლივ ყველა ფორმას ჩაუტარდეს ანალიზი.

## პ. ხმების პარალელური დაჯამება<sup>16</sup>

ხმათა პარალელური დაჯამების (parallel vote tabulation-PVT) მიზანია პოლიტიკური პარტიების, კანდიდატებისა და საზოგადოებრიობის სარწმუნო ინფორმაციით უზრუნველყოფა, რაც მათ შედგების დეგრიტიმურობის შეფასებაში დაეხმარება. ხმათა პარალელური დაჯამების დროულად დაწყებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რამეთუ მისი ორგანიზება ზეგავლენას ახდენს ქვეყანაში დამკირვებელთა გადანაწილებაზე.

სურვილი ვეღლა საარჩევნო უბნის შედგების შეგროვებისა, შესაძლებელია არსებობდეს, მაგრამ რეალურად აღნიშნულის განხორციელება დიდი რაოდენობით საკადრო და საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებას მოითხოვს, რისი უზრუნველყოფაც შეუძლებელია. ასეთ დროს მეთოდურად შედგენილი, საარჩევნო უბნების, შერჩევითი ფორმა, შესაძლოა, ზუსტი ინფორმაციის წარო გახდეს და სწორად შედგენის შემთხვევაში, ადგილობრივ სადამკვირვებლო ჯგუფს საერთო შედგების სარწმუნო პროცენტირების შესაძლებლობას უქმნიდეს.

ადგილობრივა სადამკირვებლო ჯგუფმა შერჩევითი ფორმის მოცულობა და ფორმატი კომპეტენტულ სოციოლოგებთან, სტატისტიკოსებთან ან სოციოლოგიური კვლევის ორგანიზაციებთან უნდა შეათანხმოს. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იმ ადგილებში, სადაც ამორჩევლები ეროვნულ უმცირესობებს შეაღდგენენ, გამოიყენება გაცილებით ვრცელი შერჩევითი ფორმები, რომლებიც საარჩევნო უბნების 10%-ს მოიცავს. საპირისპირო შემთხვევაში მოხმარებაშია მცირე ფორმები, რაც საყოველთაო არჩევნების საქმაოდ სარწმუნო და ზუსტ შედეგებს უზრუნველყოფს. მუნიციპალური ან მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნებისას განსაკუთრებული უურადვება უნდა მიექცეს შერჩევითი ფორმის მოცულობასა და ფორმატს საუბნო ან ელექტორატის დონეზე, რასაც ადგილობრივი ნიუანსების მხედველობაში მიღება განაპირობებს.

კომპიუტერული პროგრამის მოსამსახურებლად და ფორმაში შესატანი საარჩევნო უბნების შესარჩევად ხმათა პარალელური დაჯამების განმახორციელებელი ჯგუფისთვის აუცილებელია ზუსტი ინფორმაციის მოპოვება ყველა საარჩევნო უბნის ელექტორატის რაოდენობის, ადგილმდებარებისა და მოცულობის შესახებ. საარჩევნო უბნების შედეგები, ხმათა პარალელური დაჯამებისთვის, ადგილობრივი დამკირვებლებმა დამკირვებლების სიზუსტით უნდა ასახო მარტივ, ერთგვერდიან ანგარიშში.

მაშინ, როდესაც კანონმდებლობა ადგილობრივ დამკირვებლებს არ ანიჭებს საარჩევნო უბნებში ხმათა დათვლის პროცესზე დამკირვების უფლებამოსილებას, ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფმა საკუთარ დამკირვებლებს საარჩევნო უბნების გარეთ გამოკრული შედეგების ამსახველი დოკუმენტების ასლე-

16 ხმათა პარალელური დაჯამების შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. ხმათა სწავლიდა და არჩევნებზე დაკირვება, NDI-ს სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოებებისა და პროდიუსერი პარტიებისთვის, სერტაციისთვის ურთიერთობათა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტრუმენტის (NDI) 2002 წლის გამოცემა.

ბის საფუძველზე, საარჩევნო უბნების შედეგების ჩაწერა უნდა დაავალოს. შესაძლებელია შედეგთა ამსახველი ღოკუმზებების ასლების მოპოვება საარჩევნო უბნის ქომისის ან პოლიტიკური პარტიის/კანდიდატის წარმომადგენლებისაგან, რომლებიც საარჩევნო უბნებში ხმათა დათვლის პროცესს ესწრებიან.

ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფმა, შესაძლოა, მიზანშეწონილად ჩათვალოს ანგარიშების/კომუნიკაციის სისტემების წინასწარი ტესტირება ხმათა პარალელური დაჯამების განხორციელებამდე, როთაც უზრუნველყოფილი იქნება მეთოდოლოგიის გამართულობა და რაც წარმოაჩენს ჯგუფის მიერ ხმათა პარალელური დაჯამების ობიექტურად განხორციელების შესაძლებლობას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საარჩევნო გაყალბების შემთხვევათა იდენტიფიცირებას. გამომდინარე იქნებან, რომ ხმათა პარალელური დათვლის შედეგების გამოქვეყნების ვადებს დიდი მნიშვნელობა აქვს, ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფმა გამოცხადების დრო წინასწარ უნდა განსაზღვროს.

## ადგილობრივი სერგი დამპირგებლები ხმათა პარალელურ დაჯამებას ხელისშემატებულ პირობებში აპონიელება

1997 და 2000 წლებს შორის პერიოდში სერბულ არასამთავრობო ორგანიზაციას სახელწოდებით CeSID, ხელისუფლების მსრიდან სერბეთში მიმდინარე არჩევნებზე დაკვირვება აეკრძალა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ორგანიზაციაშ მიიღო გადაწყვეტილება, განხორციელებისა ხმათა პარალელური დაჯამება 2000 წლის სექტემბრის ფედერალური არჩევნების დროს, რისთვისაც საარჩევნო უბნების გარეთ განალიაგა საქუთარი მოხალისებრი, რომლებსაც პარტიის წარმომადგენლებთან გასაყიდვება და დათვლის შემდგომ საჯაროდ გამოქვეყნებული შედეგების შეფასება დაევალათ.

არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე პოლიციის მიერ ორგანიზაციის შტაბინასა და რეგიონალურ ფილიებში ჩატარებული რეიდების გამო და საკუთარი მოხალისების უსაფრთხოების მიზნით, CeSID-მ მიზანშეწონილად მიიჩნია ხმათა პარალელური დაჯამების სიცორთხილით განხორციელება. შემუშავდა დამხმარე სერვერების მეშვეობით ტელეფონითა და ინტერნეტით კომუნიკაციის რთული, მაგრამ უკიდურესად უსაფრთხო საშუალება. საბოლოო ინსტრუქციებისა და ფორმების გაცემა უშუალოდ არჩევნების წინ მოხდა.

ორგანიზაცია CeSID, მის მიმართ მუშაობის ადგენერის არაერთი მცდელობის მიუხედავად, არჩევნების მომდევნო დღის დილის 4:30 საათისათვის უკვე ფლობდა დაახლოებით 1096 საარჩევნო უბნის შედეგებს, რომლებიც გამარჯვებას კოშტუნიცას უწინასწარმეტყველებდა და ეწინააღმდეგებოდა ფედერალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოცემებს შედეგებს, რომელთა თანახმად, ლიდერობდა მილო-შევიზი და საჭიროდ იყო მიწნეული არჩევნების მეორე ტურის ჩატარება. სერბეთის საზოგადოებრიობაშ უარყო ფედერალური საარჩევნო კომისიის შედეგები, რასაც კომისიის მიერ განსხვავებული შედეგებისა და კოშტუნიცას პრეზიდენტად გამოცხადება მოჰყვა.



**11**

ხეათა დაჯამუჩის,  
გადაგზავნისა და  
ცაგოლოვო შალებების  
გამოცხალების პროცე-  
სების მონიტორინგი

- a. ხეათა დაჯამუჩის მონიტორინგის მნიშვნელობა. . . . . 111
- b. შალებების კოდინურობის გადაგზავნის პროცესის მონიტორინგი. . . . . 112
- c. არჩევნების დღის შემდგომ მოვლენათა მონიტორინგი. . . . . 112

- უზრუნველყოფილ იქნეს ხმათა დაჯამების პრინციპებისა და შედეგთა გადაცემის ცოდნა;
- შეიქმნას სისტემა, რომელიც ხმათა დაჯამებისა და შედეგთა გადაცემის მონიტორინგს ყველა დონეზე უზრუნველყოფს;
- მონიტორინგი გაეწიოს არჩევნების შემდგომ დღის მოვლენებს, განსაკუთრებული არჩევნების შედეგების გასაჩივრებლის ნებისმიერ კანონიერ შემთხვევას.

## **ა. ხმათა დაჯამების მონიტორინგის მნიშვნელობა**

შედეგების დაჯამებისა და გადაცემის პროცესებისათვის განსაკუთრებითად დაშახასიათებელი შეცდომები და მანიპულირება, ამიტომ ადგილობრივ სადა ამკირვებლო ჯგუფს საარჩევნო პროცესის ამ ასპექტების სისტემატიური და ზედმიწევნითი მონიტორინგი ევალება. ადნიშნულ პროცესებზე დამკვირვებელობა უშუალოდ დასწრებას შედეგების მანიპულირებისაგან დაცვა უდავოდ შეუძლია.

მონიცემებს ხმათა რაოდენობის შესახებ ზოგიერთი სახელმწიფო არჩევნების დღის მანძილზე აქვეყნებს, რისთვისაც ხშირად კომპიუტერულ სისტემებს იყენებენ. ადგილობრივმა სადამკირვებლო ჯგუფმა აღნიშნულ მონაცემთა ასლები უნდა მოიკოვოს, რათა მოგვიანებით გადამოწმოს, ხომ არ ჰქონდა ადგილი ხმათა რაოდენობის მოულოდნელ ზრდას და ემთხვევა თუ არა მოცემული ინფორმაცია საარჩევნო უბნების შედეგების ამსახველ ოქმებს.

საარჩევნო უბნებში განხორციელებული ხმათა დათვლის შედეგები, როგორც წესი, რეგიონალურ საარჩევნო კომისიას ეგზავნება, სადაც რეგიონალური შედეგების გამოყვანა ხდება და ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის მათი ადგილობრივად გადაგზავნა ხორციელდება. სადამკირვებლო ჯგუფმა კარგად უნდა იცოდეს შედეგების გადაცემისა და გამოყვანის პრინციპები, ხოლო ხმის დაჯამებას ყველა დონეზე, მორიგეობის პრინციპით, საკუთარი წარმომადგენლები უნდა დაასწროს. თუმცი შესაძლებელია, შედეგების ერთი დონიდან მეორეზე გადაგზავნის პროცესს თანხმელები პირი უნდა აკონტროლდეს.

დამკირვებლებმა ხმათა დაჯამების პროცესის უკელა ეტაპის ოქმები და დაჯამების შედეგების ამსახველი დოკუმენტების ასლები უნდა მოიპოვონ. თუკი ისინი აღნიშნულის განხორციელებას ვერ შეძლებენ, მაშინ მათ გამოცხადებისას, უკელა ეტაპის შედეგების სკეციალურად მომზადებულ სააღრიცხვო ფორმებში ჩაწერა მოეთხოვებათ. დამკირვებლებმა აღნიშნული შედეგები საარჩევნო უბნებიდან, ასევე პარტიის/კანდიდატის ან სხვა ადგილობრივი და საერთაშორისო დამკირვებლებისაგან მოპოვებულ შედეგებს უნდა შეადარონ. დამკირვებლებს ასევე მოეთხოვებათ ანგარიშებია იმის შესახებ, თუ რამდენად სრულყოფილად ხორციელდება შედეგთა დაჯამებისა და გადაცემის ინსტრუქციებით გათვალისწინებული პროცედურები. მათ მოვალეობას შეადგენს აგრეთვე ხმათა გადათვლის უკელა შესაძლო პროცესზე დასწრება.

## 8. შეღების კომიუნიტეტით გადაგზავნის პროცესის მონიტორინგი

არსებობს ქვეყნები, სადაც ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წინასწარი შედეგები ელექტრონული ფოსტით ეგზაგნება. დამკირვებლებს ამ პროცესის მონიტორინგის განხორციელება მოეთხოვებათ. საუკეთესო შემთხვევაში თითოეული საარჩევნო უბნის შედეგებს კითხულობს საარჩევნო ოფიცერი, ხოლო მეორე პირს გადამოწმებული ინფორმაცია კომპიუტერში შეეკვს. ზოგიერთ ქვეყანაში მსგავს ინფორმაციას კომპიუტერიდან ბეჭდავენ და მასზე ხელს აწერენ, როგორც მიღებულ დოკუმენტზე. ასეთ დროს, დამკირვებლებმა ამ დოკუმენტის ასლი უნდა მოიპოვონ და კომპიუტერში შეეკანილი ინფორმაცია საკუთარ სააღრიცხვო ფორმებში დაფიქსირებულ ინფორმაციას შეადარონ. ადგილობრივ სადამკირვებლო ჯგუფს უფლება აქვს, ასევე მოითხოვოს შედეგების გადაცემისათვის გამოყენებული ელექტრონული პროგრამები, რათა ისინი არჩევნებამდე პროგრამისგან შეამოწმებინოს.

## 9. არჩევენების დღის შემდგომ მოვლენათა მონიტორინგი

არჩევნების შემდგომ დღებს ყოველთვის თან ახლავს დაძაბულობა და გაურკვევლობა, რასაც, როგორც წესი, არჩევნების შედეგთა დაგვიანებით გამოქვეყნება, მათ შესახებ არასრული ინფორმაციის ქონა, დაუკმაყოფილებელი პრეტენზიები და შედეგთა გამოცხადების შემდგომი პერიოდის შესახებ ვარაუდები განაპირობებს. ამიტომ, აღნიშნული დროის მოვლენებს ადგილობრივმა სადამკირვებლო ჯგუფმა ზედმიწევნითი მონიტორინგი უნდა გაუწიოს, მათ შორის, ხალხის მიერ არჩეულ კანდიდატთა საქმეში ჩაბმის პროცესს.

შესაძლებლობის შემთხვევაში, ადგილობრივ სადამკირვებლო ჯგუფს საარჩევნო უწყებათა წარმომადგენლების მიერ გამოქვეყნებული საბოლოო შედეგების გადამოწმება მოეთხოვება. საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, შედეგები არჩევნების შემდგომ, განსაზღვრულ პერიოდში, უნდა გამოქვეყნდეს. ნებისმიერი დაუშვებელი დაგვიანება ან საბოლოო შედეგების შეჯერებასთან, გადამოწმებასა და გამოცხადებასთან დაკავშირებული შეუსაბამობა უნდა დაფიქსირდეს და გამოძიებულ იქნეს.

ადგილობრივი სადამკირვებლო ჯგუფის მიერ შედეგების გადამოწმება ხელს შეუწყობს არჩევნების შედეგების მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბებასა და სერიოზული გადახრების შემთხვევაში, შედეგთა გაქრიტიკების შესაძლებლობას.

ეუთო-ს უმეტეს ქვეყნებში, კანონმდებლობა ითვალისწინებს პერიოდს, რომლის დროსაც პარტიებსა და კანდიდატებს არჩევნების შედეგების გასაჩივრება შეუძლიათ. გასაჩივრების შემთხვევები მე-4 თავში განხილული მეთოდოლოგიის საფუძველზე, მაცრად უნდა გაპონტროლდეს, რამეთუ ისინი ყველაზე სერიოზული კამათის მიზეზად მიაზრება. ადგილობრივი სადამკირვებლო ჯგუფები საკითხის სასამართლოში განხილების მსვლელობას უნდა დააკირდნენ და არ დაეყრდნონ მედიის ან მხარეთა ჩვენებებს.

არჩევნების შემდგომ პერიოდში დამკვირვებლებმა პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ პრობლემას თვალყური უნდა ადგენონ. ასეთ პრობლემებს შეიძლება წარმოადგენდეს: გადაცილებული ვადები, გადაწყვეტილების მიღების არასწორი პროცედურები, მტკიცებულებებისა და დარღვევების გამომიების დაგვიანებით განხსორციელება, დამკვირვებლების ან პოლიტიკური პარტიების გამსკვირვალობის შესუსტება და ა.შ. დამკვირვებლებს იმავდროულად მოქმედობათ არჩევნებში მონაწილეობისა და კონკრეტული კანდიდატისათვის ხმის მიცემის გამო, მოქალაქეებზე მიმართული შესაძლო აგრესიისა და ძალადობის ფაქტების შესწავლა ან საფრთხის გამოვლენა. მათ ასევე მოეთხოვებათ მედია-საშუალებების მოქმედებაზე დაკირვება, რათა საზოგადოება მოტყუებულ პოზიციაში არ აღმოჩენს.

ადგილობრივი სადამკირვებლო ჯგუფი მზად უნდა იყოს საერთაშორისო მანიპულაციის სისტემატიურ შემთხვევათა და იმ პრობლემათა შესასწავლით, რომლებიც არჩევნების შედეგებზე არსებითად მოქმედებს. შესაძლებელია ამ მიზნით სპეციალური ჯგუფების შექმნაც. ადგილობრივი სადამკირვებლო ჯგუფი ასევე უნდა შეხვდეს პოლიტიკურ პარტიებს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და ამომრჩევლებს, რათა მათთვის საჭირობო საკითხებს გაეცნოს, მიიღოს ინფორმაცია გაფალბების სავარაუდო ფაქტების შესახებ და, საჭიროების შემთხვევაში, მოიძიოს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია.

12

## ანგარიში ლა რეკომედაციაზე

ა. ანგარიშის მიღწევებია. . . . .	115
ბ. რეგიონალურ დამკვირვებელთა ანგარიშები . . . . .	116
გ. შემთხვევების ასახვა ანგარიშში . . . . .	118
დ. გაცვალებები . . . . .	118
ე. საპოლიტ ანგარიში . . . . .	119
ვ. ანგარიშის გამოცემა . . . . .	121

- შეუშავდეს ანგარიშების სტრუქტურა, რომელიც ხელს შეუწყობს საკვანძო საქითხების განსაზღვრასა და სადამკვირვებლო ჯგუფის წევრებისათვის აუცილებელი ინფორმაციის დროულად მიწოდებას;
- შემუშავდეს ანგარიშის ტიპები, კერძოდ, ყოველკვირეული, შემთხვევათა ამსახველი, საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულ მოვლენათა ამსახველი და არჩევნების დღის ანგარიშები;
- უზრუნველყოფილ იქნეს განცხადებებისა და ანგარიშების სიზუსტე, პროფესიონალურობა და შესაბამისი ორგანიზაციებისა და ინდივიდებისათვის მათი მიწოდება.

## პ. ანგარიშის მიზანება

ანგარიშებია არჩევნებზე დაკავირებების პროცესის მნიშვნელოვან ასპექტია მიიჩნევა. იგი უზრუნველყოფს დაკვირვების ობიექტის შესახებ საჯარო ჩაჯარების და მოიაზრება, როგორც სამომავლო არჩევნების დროს გამოსაყენებელი ინფორმაცია. საჯარო ანგარიშებისათვის საჭიროა შიდა ანგარიშების მომზადება და მათი ანალიზი, რაც განსაკუთრებულ ორგანიზებასა და საანგარიშო სისტემისათვის შემუშავებას საჭიროებს.

ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფმა საჯარო ანგარიშების არჩევნებამდე ან არჩევნების შემდგომ გამოქვეყნება უნდა გადაწყვიტოს. წინასაარჩევნო დღის ანგარიშებია ჯგუფს არჩევნების პროცესის შესახებ საკუთარი შეხედულების კონსტრუქციული ფორმით, საჭირო დროს ან რეგულარულად, გამოხატვის საშუალებას აძლევს. ადნიშნულ მიღებამას ბევრი ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფი იყენებს და მაინც, ზოგიერთი დამკვირვებელი საკუთარი მოსაზრებების გამოოქმედს არჩევნების შემდგომ ამჯობინებს. ნებისმიერ შემთხვევაში, ადგილობრივ სადამკვირვებლო ჯგუფს არჩევნების დასრულებისას წინასწარი განცხადებისა და საბოლოო ანგარიშის მომზადება ევალება. ეს ანგარიშები უნდა წარმოადგენდეს ჯგუფის მიერ საარჩევნო პროცესის კონკრეტულ შეფასებას.

სადამკირვებლო პროგრამის განხორციელებამდე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სხვადასხვა მოსაზრებები. საჭიროა წინასწარ განხორციელდეს აზრთა ეფექტიანი ურთიერთგაზიარება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება მომზადებს ამა თუ იმ სიტუაციის ამსახველი ანგარიში. უნდა განისაზღვროს სხვადასხვა ვარიანტი ყველა შესაძლო შედეგით. აღნიშნული საკითხების შესახებ წინასწარ ფიქრი და სტრატეგიისა და ტაქტიკის პერიოდული განხილვა ადგილობრივ სადამკირვებლო ჯგუფს ხელს შეუწყობს, მოპოვებული ინფორმაციის ეფექტიანად გამოყენებისათვის კარგად მოქმედოს.

## **ბ. რეგიონალურ დამპირგებელთა ანგარიშგება**

რეგიონალურ დამკირვებლებს წინასაარჩევნო დღის გარემოს ამსახველი სისტემატიკური ანგარიშების მომზადება მოეთხოვებათ. კრიტიკულ შემთხვევათა და საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულ მოვლენათა ამსახველი ფორმების გარდა, მათ კვირაში ერთხელ სისტემატიკური შემაჯამებელი ანგარიშიც უნდა მოაწადოონ. აღნიშნული ანგარიშის ფორმატი წინასწარ უნდა შემუშავდეს, რათა წინასწარვე განისაზღვროს სტანდარტული ანგარიშგების განხორციელების ტექნიკა. ანგარიშში უნდა აისახებოდეს კონკრეტულ პერიოდში განვითარებული მოვლენები. თითოეულ ნაწილს უნდა პერნდეს წინასწარ შერჩევითი სათაური. ფორმატი შესაძლოა შემდეგნაირად განისაზღვროს:

- **პოლიტიკური სიტუაციის ზოგადი მიმოხილვა:** კვირის მანძილზე რეგიონში არსებული პილიტიკური ვითარების მოკლე მიმოხილვა, კონკრეტული მოვლენების ან პრობლემების გაშექმება.
- **საარჩევნო ადმინისტრაცია:** ოფიციალურ საარჩევნო პირთა საქმიანობის გაშექმება – მუშაობები თუ არა ისინი გრაფიკით – საარჩევნო დღისათვის მზადება, ინფორმაცია საარჩევნო უბნების შესახებ, შესაბამისი საკითხები.
- **საარჩევნო დებატები:** კონკრეტული დებატების ამსახველი ანგარიშების გარდა, რეგიონალურმა დამკირვებლებმა აღნიშნულ ნაწილში წინა ანგარიშებში ასახული დებატების თემები უნდა ჩამოთვალონ და მათ რეგიონში გამოწვეული შესაძლო რეაქცია შეაფასონ.
- **ამომრჩეველთა განათლება:** ვინ რას აკეთებს, ვინ რა თებებზე მუშაობს და რა შედეგი აქვს აღნიშნულ პროცესს.
- **პოლიტიკური კამპანია:** რა საქმიანობას ეწევიან პარტიები/კანდიდატები, რა შეხვედრები მოაწევეს, აქვს თუ არა მათი ხელისშემლის ან დაშინების ფაქტებს ადგილი, მათი პრობლემები და მათი კამპანიისადმი საზოგადოების გამოხმაურება.
- **მედია:** როგორ აშექმებს რეგიონალური მედია საარჩევნო კამპანიას და უზ-

რუნველყოფს თუ არა კანდიდატებს მედიის საშუალებების სამართლიანი ხელმისაწვდომობით; არის თუ არა ინფორმაციის გაშუქება დაბალნებული; და რა რეაქცია აქვთ პარტიებს, კანდიდატებსა და საზოგადოებას არსებულ გაშუქებაზე.

- **სახელმწიფო ადმინისტრაცია:** უჭირავთ თუ არა სახელმწიფო ინსტიტუტებს ნეიტრალური პოზიცია კამანისათვის მიმართებით, ხომ არ მზადდება სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ ანგარიშები, რომლებიც საარჩევნო კამანისა დაბრკოლებებს უქმნის ან პარტიების/კანდიდატებისა და მათი მსარდამჭერების მიმართ პრივილეგირებულ დამოკიდებულებას გამოხატავს და იცავს თუ არა სახელმწიფო ორგანოები კანონს.
- **ამომრჩეველთა დაშინება/კონფლიქტი:** ჰქონდა თუ არა ადგილი პარტიების ან სხვათა მსრიდან ამომრჩეველთა დაშინების შემთხვევებს (მოყვანილ უნდა იქნეს კონკრეტული მაგალითები), პროგნოზირებადია თუ არა კონფლიქტი და დადგებითი პასუხის შემთხვევაში, რა კეთდება მსგავსი კონფლიქტების აღსაკვეთად, ყოფილა თუ არა კონფლიქტის/ძალადობის ფაქტები.
- **ქალთა მონაწილეობა:** არიან თუ არა ქალები საარჩევნო პროცესის დროს პირდაპირი ან არაპირდაპირი დისკრიმინაციის მსგავრპლი, რა პრობლემებზე საუბრობენ ისინი და მონაწილეობენ თუ არა არჩევნებში აქტიურად.
- **ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობა:** ქვეყნის ტერიტორიაზე ეროვნულ უმცირესობათა არსებობის შემთხვევაში, აქვთ თუ არა მათ არჩევნებში თავისუფლად მონაწილეობის უფლება, იდებენ თუ არა ისინი არჩევნებში მონაწილეობას და განიხილება თუ არა მათ მიერ დასმული კონკრეტული პრობლემები.
- **სხვა საყურადღებო საკითხები.**

ანგარიშები უნდა იყოს მოცულობით პატარა, გარკვევით დაწერილი და ფაქტობრივი. მოსაზრებების ნაცვლად ისინი უნდა ასახვადეს დაკვირვებისას დაფიქსირებულ და დამკირვებლისათვის მოხსენებულ ვაქტებს, ამ თრის მკვეთრი გამიჯვნით. განცხადების გაკეთების შემთხვევაში დამკვირვებელმა უნდა მიუთოოს იმ დამატებით წყაროზე, რომლითაც მოცემული ინფორმაციის გადამოწმება და დასაბუთება შეიძლება. ანგარიშები დაცული ფორმით უნდა მიეწოდოს სადამკირვებლო კოორდინაციისა და ანალიზის ჯგუფის კონკრეტულ წევრს, რომელსაც მათი წაკითხვა, განხილვა, აღრიცხვა და შეჯამება ევალება. დამატებითი კოთხვების შემთხვევაში, საკონტაქტო პირს აღნიშნული პიროვნება უნდა წარმოადგენდეს. შესაძლებლობის შემთხვევაში, რეგიონალური დამკირვებლები სისტემატიურ ბრიფინგებზე დასასწრებლად ცენტრალურ ოფისს უნდა სტუმრობდნენ. ზოგ შემთხვევაში, მიზანშეწონილია სხვადასხვა შემაჯამებელი ანგარიშების დამკვირვებლთათვის უკან დაბრუნება, რათა მათ ჩამოუყალიბდეთ გარკვეული აზრი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მოახდინონ ქმედებათა ხასიათის ამოცნობა.

## გ. შემთხვევების ასახვა ანგარიშზე

ცენტრალურ ოფისს უმოქლეს ვადაში უნდა ეცნობოს არჩევნებთან დაკავშირებული ნებისმიერი შემთხვევის შესახებ. ინფორმაცია მაქსიმალურად ლაპონური, გასაგები და გადამოწმებადი უნდა იყოს. დამკვირვებლები მოცემული ანგარიშების მოსამადებლად სპეციალურ ფორმატს უნდა იყენებდნენ. ანგარიშები უნდა იყოს მოკლე და მოიცავდეს კონკრეტულ ქვეთავებს:

- შემთხვევის დეტალური აღწერილობა;
- დამკვირვებელთა მიერ დაგვგმილი ღონისძიებები;
- ცენტრალური ოფისის მიერ განსაზღვრული ღონისძიებები.

## დ. განცხადებები

როგორც ადრე აღინიშნა, ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფმა, შესაძლოა, მიზანშეწონილად ჩათვალოს საარჩევნო პერიოდის მსვლელობისას შუალედური ანგარიშების მომზადება. არსებობს ალბათობა იმისა, რომ კონსტრუქციულობის მიუხედავად, მოცემული გადაწყვეტილება ვნებათადელვის საბაზი გახდეს. სარწმუნო და საფუძვლიანი ანგარიშებით შესაძლებელი გახდება საარჩევნო პროცესის ხარისხის შესახებ საზოგადოების მნიშვნელოვანი ინფორმაციით უზრუნველყოფა და საარჩევნო უკანონობისა თუ ძალადობის სამომავლოდ აღკვეთა.

უველავე მნიშვნელოვანი საჯარო კომენტარი, რომელიც ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფმა უნდა გააკეთოს, მიზანშეწონილია არჩევნების დასრულებისთანავე. ეს ის დროა, როდესაც ლოკალურად და ქვეყნის მასშტაბით ინტერესი არჩევნების შედეგებისადმი პიქს აღწევს. აღნიშნული განცხადება, რომელიც არის „წინასწარი“, ვინაიდან საარჩევნო პროცესის ყველა ასპექტის (მაგ. საჩივრები და განცხადებები) სისრულეში მოყვანამდე კეთდება, ანალიზს უნდა უკეთებდეს საარჩევნო პროცესის ყველა იმ მხარეს, რომელიც დაკვირვების არეალში მოხვდა. წინასწარ განცხადებას, დამატებითი კითხვებისა და ახალი ინფორმაციის გაფრცელების შემთხვევაში, შესაძლოა, მორიგი განცხადებები მოჰყვეს.

განცხადება სამ ძირითად ელემენტს უნდა ითვალისწინებდეს.

### 1. არჩევნების ძირითადი ელემენტების შეფასება:

- მომზადების ეტაპი;
- საკანონმდებლო პაზა;
- საარჩევნო აღმინისტრაცია;
- წინასაარჩევნო გარემო, მათ შორის, საარჩევნო კამპანია და მედია;
- საარჩევნო საჩივრები და განცხადებები;
- არჩევნების დღე;
- არჩევნების შემდომი პერიოდი, ხმათა დაჯამება და საბოლოო შედეგები.

## 2. საყურადღებო შემთხვევები:

- კერძო შემთხვევები, რამაც საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო და განსაკუთრებით, არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობის ფაქტები.

## 3. დასკვნა – არჩევნების ზოგადი შეფასება:

- საარჩევნო პროცესის მიმდინარეობის შეფასება – ხორციელდება ოუ არა აღნიშნული პროცესი დემოკრატიული არჩევნების შესახებ საერთაშორისო გალდებულებებისა და სტანდარტების, აგრეთვე შესაბამისი კანონმდებლობის დებულებებისა და განსაკუთრებით, საარჩევნო კანონისა და კონსტიტუციის დაცვით.

არჩევნების შემდგომი პერიოდის წინასწარ განცხადებას საზოგადოება ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფის ძირითად მიგნებად და დასკვნად მოიაზრებს. ამდენად, აუცილებელია მოცემული განცხადება იუოს გასაგები, მოკლე და არსის გამომხატველი. უძრავი დეტალისა და ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა მიზანშეწონილი არ არის. ვრცელი აღწერილობები და მაგალითები საბოლოო ანგარიშისათვის უნდა გამოიყენებოდეს.

დასასრულისათვის, სადამკვირვებლო ჯგუფმა, აღრეული კომენტარის გამო მედიის ზეწოლისა და საკუთარი მიგნებების განხილვისა და დასკვნების ანალიზის აუცილებლობის დაბალისება უნდა მოახდინოს. წინასაარჩევნო პერიოდის ამსახველი განცხადების ბევრი დეტალი შეიძლება არჩევნების დღის წინ მომზადებს, რაც შექხება დასკვნებს ხმის მიცემის, დათვლისა და დაჯამების პროცესთა შესახებ, მათი დამატება შესაძლებელია მას შემდეგ, რაც აღნიშნული პროცესების შესახებ ანგარიშებს ანალიზი გაუკეთდება. ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფმა საჭიროა შეიმუშავოს ანგარიშების სისტემა, რაც წინასწარი განცხადების დროულად წარმოდგენას შეუწყობს ხელს. ჯგუფის წევრებმა უნდა გააცნობიერონ, რომ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დიდ ყურადღებას მიიპყრობს არა მაშინ, როდესაც ისინი ნაადრევად გაკეთდება, არამედ მაშინ, როდესაც საზოგადოებისა და მედიის მხრიდან მათდამი ინტერესი განსაკუთრებით მაღალი იქნება, კონკრეტულად კი, უშუალოდ არჩევნების შემდგომ დღეებში.

## 3. საბოლოო ანგარიში

საბოლოო ანგარიში არჩევნების დასრულებიდან ორი თვის ვადაში უნდა გამოქვენდეს და მოიცავდეს საარჩევნო პროცესის ყველა იმ ასეუქტის დეტალურ ანალიზს, რომელსაც დაკირვება ჩატარდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ანგარიშის გარკვევით დაწერა, რათა იგი ადვილად გასაგები იყო იმათვების, ვინც საარჩევნო ექსპერტთა კატეგორიას არ მიეკუთვნება. აუცილებელია ანგარიშში გაკეთებულ თითოეულ განცხადებას თან ახლდეს გადამოწმებული მტ-

კიცებულება. დაუშვებელია ნებისმიერი საეჭვო ინფორმაციის გამოყენება. საბოლოო ანგარიში, საგარაულოდ, შემდეგ ნაწილებს უნდა მოიცავდეს:

- მოკლე შინაარსი;
- შესავალი და სამადლობელი სიტყვა;
- პოლიტიკური ფონი;
- საქანონმდებლო ბაზის ანალიზი;
- ამომრჩეველთა რეგისტრაციისა და/ან ამომრჩეველთა სიის შემოწმების შედეგების ანალიზი;
- საარჩევნო ადმინისტრაციის მონიტორინგი;
- კანდიდატთა რეგისტრაციაზე დაკვირვება;
- საარჩევნო კამპანიაზე დაკვირვება;
- მედია მონიტორინგი;
- ხმის მიცემის, დათვლისა და დაჯამების პროცესებზე დაკვირვება;
- ოფიციალური შედეგები და კომენტარები;
- საჩიგაროა განხილვა და გასაჩიგრების სისტემის ეფექტიანობა.
- რეკომენდაციები.

რეკომენდაციები უნდა იყოს სათანადოდ ფორმულირებული და საარჩევნო პროცესის გაუმჯობესების შესახებ კონსტრუქციულ მოსაზრებებს წარმოადგენდეს.

წერილობითი განცხადებებისა და ანგარიშების გარდა, ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფი, შესაძლოა, მიზანშეწონილად მიიჩნევდეს დასკვნებისა და რეკომენდაციების გაცნობის მიზნით, ოფიციალური საარჩევნო პირებისა და პოლიტიკური პარტიებისათვის, სამიქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო თანამეგობრობისათვის ზეპირი განცხადებების გაკეთებასაც. აღნიშნული განცხადებები ხელს შეუწყობს საარჩევნო პროცესის გაუმჯობესების შესახებ შეხედულებათა ურთიერთგაზიარებას, აგრეთვე ადგილობრივ სადამკვირვებლო ჯგუფსა და ძირითად მონაწილეებს, კერძოდ, ხელისუფლებასა და საარჩევნო ადმინისტრაციას შორის, ნდობის დამყარებას. ზეპირი ანგარიშები შესაძლებელია გაკეთდეს წერილობითი ანგარიშების საჯაროდ გაცნობამდე ან მას შემდეგ, არჩევნების პერიოდში ინტენსიურად ან არჩევნების შემდგომ სემინარზე მონაწილეთათვის, მათ შორის, ხელისუფლების ორგანოების, პარლამენტისა და საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის.

### **3. ანგარიშის გამრცელება**

განცხადებები და ანგარიშები ქვეყნის სახელმწიფო ენაზე (ენებზე) უნდა მომზადდეს. სასურველია, მათი თარგმნა უმცირესობათა ენებზე და ინგლისურად, საერთაშორისო დონეზე გასავრცელებლად. ისინი უნდა დაურიგდეს ადგილობრივ და საერთაშორისო მედიას, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, საელჩოებს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, პოლიტიკურ პარტიებს, კანდიდატებს, დონორებსა და საერთაშორისო თანამეგობრობას. განცხადებები და ანგარიშები ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფის ვებ-გვერდზეც უნდა გამოქვეყნდეს.

## ეუთო-ს ლემოქრატიული ინსტიტუტებისა და აღამიანის უფლებათა ოფიციალური შესახებ

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფიციალური (ODIHR) არის ეუთო-ს მთავარი ინსტიტუტი, რომლის დანიშნულებაა დაქმართოს მონაწილე სახელმწიფოებს, რათა მათ უზრუნველყონ „ადამიანის უფლებათა და ძირითად თვითმმართველობისა სრული პატივისცემა, კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვა, დემოკრატიის პრინციპების მხარდაჭერა და (...) დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნა, გაძლიერება და დაცვა, ისევე როგორც საზოგადოებაში ტოლერანტობის გავრცელება“ (პეტერ სამიტის დოკუმენტი, 1992წ.).

ODIHR-ი, რომელიც ვარშავაში (პოლონეთი) არის განთავსებული, 1990 წლის პარიზის სამიტზე შეიქმნა, როგორც თავისუფალი არჩევნების ოფიციალური მუშაობა 1991 წლის მაისში დაიწყო. ერთი წლის შემდეგ, ოფიციას სახელმწიფება შეიცვალა, რათა მასში ასახულიყო ვრცელი მანდატი – ადამიანის უფლებები და დემოკრატიზაცია. დღეს მას 100-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავს.

არჩევნებზე დაკვირვების სფეროში ODIHR-ი ევროპის წამყვანი ორგანიზაციაა. ყოველწლიურად ის კოორდინაციასა და ორგანიზებას უწევს ათასობით დამკვირვებელის განთავსებას, რათა შეაგასოს, თუ რამდენად შეესაბამება ეუთო-ს სივრცეში გამართული არჩევნები ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს. მისი უნიკალური მეთოდოლოგია საარჩევნო პროცესის დრმად შესწავლის საშუალებას იძლევა. დახმარების პროექტების მეშვეობით, ODIHR-ი წევრ სახელმწიფოებს მათი საარჩევნო სისტემის გაუმჯობესებაში ეხმარება.

დემოკრატიზაციის სფეროში ოფიციას საქმიანობა მოიცავს: კანონის უზენაესობას, სამოქალაქო საზოგადოებას, მოძრაობის თავისუფლებას, გენდერულ თანასწორობასა და ტრევიკინგს. ODIHR-ი ყოველწლიურად ახორციელებს მიზნობრივი დახმარების 100-ზე მეტ პროგრამას, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს დემოკრატიული სტრუქტურების განვითარებას.

ODIHR-ი ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა დაცვას ტექნიკური დახმარების პროცესებისა და ადამიანურ განზომილებათა საკითხების შესახებ ტრენინგის მეშვეობით. ოფისი აწარმოებს კვლევებს და ამზადებს ანგარიშებს ადამიანის უფლებათა სხვადასხვა საკითხებზე. გარდა ამისა, ოფისი ყოველწლიურად ორგანიზებას უწევს შეხვედრებს, რომლებიც მონაწილე სახელმწიფოთა მიერ ეუთო-ს ადამიანური განზომილებების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების განხილვას ეძღვნება. ტერორიზმის საწინააღმდეგო მოქმედებების კუთხით, ოფისი ადამიანური განზომილებების საკითხთა ცოდნის ხელშეწყობაზე მუშაობს და ახორციელებს პროცესებს, რომლებიც ტერორიზმის გამომწვევ მიზანებს ფუნდამენტურად განიხილავს.

ODIHR-ი წევრ სახელმწიფოებს რჩევით ეხმარება რომასა და სინტისთან დაკავშირებული პოლიტიკის გატარებაში. ის ხელს უწყობს რომასა და სინტის ოქმებში შესაძლებლობების გაზრდასა და კავშირების განვითარებას და მხარს უჭერს მათი წარმომადგენლობების მონაწილეობას სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ ორგანოებში. ოფისი ამავდროულად მუშაობს როგორც საინფორმაციო ცენტრი და რომასა და სინტის შესახებ მოქმედ ადგილობრივ და საერთაშორისო სუბიექტებს შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლას ემსახურება.

ODIHR-ის კველა საქმიანობა ეუთო-ს წევრ სახელმწიფოებთან, ეუთო-ს ორგანოებთან და პერიფერიულ ოფისებთან, ისევე როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჯიდრო კოორდინაციითა და თანამშრომლობით ხორციელდება.

აღნიშნულთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მოპოვება შეგიძლიათ ODIHR-ის ვებ-გვერდზე ([www.osce.org/odihr](http://www.osce.org/odihr)).

